



პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ
THIS PROJECT IS FUNDED BY THE EUROPEAN UNION



თსუ-ის ევროპული კვლევების ინსტიტუტი
INSTITUTE FOR EUROPEAN STUDIES OF TSU



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

ევროპისმცოდნეობის ქართული ჟურნალი GEORGIAN JOURNAL FOR EUROPEAN STUDIES


N 8-9

სპეციალური გამოცემა

შემუშავებულია ევროკავშირის ერასმუს+ ჟან მონეს პროექტის "ევროპისმცოდნეობის ინტერდისციპლინური საბაკალავრო პროგრამის დაარსება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში" (EUStBA) ფარგლებში

SPECIAL EDITION

Prepared within the frames of the European Union funded Erasmus+ Jean Monnet project "Establishing Interdisciplinary Bachelor's Programme in European Studies at Tbilisi State University" (EUStBA)



თბილისი
TBILISI
2021-2022

ევროპისმცოდნეობის ქართული ჟურნალი

Georgian Journal for European Studies

№ 8-9, 2021-2022

თბილისი

Tbilisi

ჟურნალის ამ სპეციალური ნომრის გამოცემა დაფინანსებულია ევროკავშირის ერასმუს+ ჟან მონეს პროექტის "ევროპისმცოდნეობის ინტერდისციპლინური საბაკალავრო პროგრამის დაარსება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში" /'EUStBA' 2020-2022 ფარგლებში

ჟურნალის შექმნა დაფინანსდა ევროკავშირის მიერ ENPI/2012/306-124 პროექტის ფარგლებში
მთავარი რედაქტორები:

ნინო ლაპიაშვილი

ივ. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ევროპული კვლევების ინსტიტუტის დირექტორი, მონვეული აკადემიური პერსონალი
ინტერდისციპლინური ევროპისმცოდნეობის სადოქტორო, ორმაგი ხარისხის სამაგისტრო
(ვილნიუსის უნივერსიტეტი-თსუ, ვიდემუეს გამოყენებითი მეცნიერებების
უნივერსიტეტი-თსუ)
და ჟან მონეს საბაკალავრო პროგრამების დამფუძნებელი
დემოკრატიზაციასა და ადამიანების უფლებებში ევროკომისიის რეგიონული სამაგისტრო
პროგრამის
საქართველოს ეროვნული კოორდინატორი და მოდულის ავტორი/ გლობალური კამპუსი/
კავკასია

ქერი ენ ლონგჰარსტი

ივ. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ევროპული კვლევების ინსტიტუტის ევროპისმცოდნეობის ჟან მონეს
საბაკალავრო პროგრამის შემუშავების ექსპერტი
პროფესორი, კოლეჯუმ ცივიტას, სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებები,
ვარშავა. ჟან მონეს კათედრის ხელმძღვანელი

დანიელა ურსე

ივ. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ევროპული კვლევების ინსტიტუტის ევროპისმცოდნეობის ჟან მონეს
საბაკალავრო პროგრამის შემუშავების ექსპერტი, მონვეული პროფესორი
ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების
თანახელმძღვანელი
ასოცირებული პროფესორი, სოციოლოგიის დეპარტამენტი, ბუქარესტის უნივერსიტეტი

სარედაქციო საბჭოს წევრები:

მერაბ აბდალაძე

ივ. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ევროპული კვლევების ინსტიტუტის ევროპის ეკონომიკური ინტეგრაციის მიმართულების
ხელმძღვანელი, მონვეული პროფესორი
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ვასილ კაჭარავა

ივ. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ევროპული კვლევების ინსტიტუტის ევროპის ისტორიისა და კულტურის მიმართულების

ხელმძღვანელი, მონვეული პროფესორი

ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების
თანახელმძღვანელი

ივ. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი,
პროფესორი

ნათია ლაპიაშვილი

ივ. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ევროპული კვლევების ინსტიტუტის ევროკავშირის სამართლის მიმართულების

ხელმძღვანელი, მონვეული პროფესორი

ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების
თანახელმძღვანელი

კავკასიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

თამაზ ზუბიაშვილი

ივ. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ევროპული კვლევების ინსტიტუტის მიგრაციის მიმართულების

ხელმძღვანელი, მონვეული პროფესორი

ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების
თანახელმძღვანელი

ივ. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

მთარგმნელი და კორექტორი: მარიამ ქველაძე

„ევროპისმცოდნეობის ქართული ჟურნალი“ სამეცნიერო ხასიათის გამოცემაა, რომელიც დაფუძნდა 2015 წელს ევროკავშირის ფინანსური დახმავებით. ჟურნალში განთავსებული სტატიების შინაარსი ახ ასახავს ევროკავშირის მოსაზრებებს, მათზე პასუხისმგებელი აჩიან მხოლოდ სტატიის ავტორები

Edition of this special publication was financed under Erasmus+ Jean Monnet Project action titled as “Establishing Interdisciplinary Bachelor’s Programme in European Studies at Tbilisi State University”/ EUSStBA 2020-2022

The journal was established with the support of the European Union under the project ENPI/2012/306-124.

Editors in Chief:

Nino Lapiashvili

Director of the Institute *for* European Studies of

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Invited Professor

Founder of the interdisciplinary Doctoral, Double Degree Masters (Vilnius University-TSU, Vidzeme University of Applied Sciences-TSU)

and Jean Monnet Bachelor’s Programmes in European Studies at TSU

National Programme Director (Georgia) of the Regional Masters Programme in

Human Rights and Democratization /Global Campus/Caucasus at TSU

Kerry Anne Longhurst

External Advisor to the development of Jean Monnet Undergraduate European Studies Programme at the

Institute *for* European Studies of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Professor at Collegium Civitas, Warsaw. Jean Monnet Chair

Daniela (Pescaru) Urse

Key Staff to the development of Jean Monnet undergraduate European Studies Programme at the

Institute *for* European Studies of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Invited Professor

Co-head of the Bachelor, Master and Doctoral programmes in European Studies

Professor of the Department of Sociology, University of Bucharest

Members of the Board:

Merab Abdaladze

Head of the EU Economic Integration Module at the Institute *for* European Studies of

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Invited Professor

Associated Professor of International Black Sea University

Vasil Kacharava

Head of the Europe Culture and History Module at the Institute *for* European Studies of

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Invited Professor

Co-head of the Bachelor, Master and Doctoral programmes in European Studies

Director of the Institute of American Studies and the Professor of the Faculty of Humanities at
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Natia Lapiashvili

Head of the EU Law Module at the Institute *for* European Studies of
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Invited Professor

Co-head of the Bachelor, Master and Doctoral programmes in European Studies

Associated Professor of the Caucasus University

Tamaz Zubiashvili

Head of the Migration Module at the Institute *for* European Studies of
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Invited professor

Co-head of the Bachelor, Master and Doctoral programmes in European Studies

Associated Professor of the Faculty of Business and Economics of

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Translator and Corrector: Mariam Kveladze

“Georgian Journal for European Studies” is a bilingual scientific edition that was established in 2015 with the support of the European Union. The contents of this publication are the sole responsibility of the authors and can in no way be taken to reflect the views of the European Union

ევროკომისიის მხარდაჭერა წინამდებარე პუბლიკაციის გამოცემაზე არ წარმოადგენს მისი შიგთავსის მოწონებას. პუბლიკაციაში ასახულია მხოლოდ და მხოლოდ ავტორთა შეხედულებები და ევროკომისია არ შეიძლება იყოს პასუხისმგებელი მასში მოცემული ინფორმაციის ნებისმიერი ფორმით გამოყენებაზე

The European Commission's support for the production of this publication does not constitute an endorsement of the contents, which reflect the views only of the authors, and the Commission cannot be held responsible for any use which may be made of the information contained therein

სარჩევი

Table of Contents

1. იაკობ ლაჩაშვილი ბრექსიტის შემდგომი მოლაპარაკებები: შემთხვევის შესწავლა	9
Iakob Lachashvili Post-Brexit Negotiations: A Case Study	27
2. ივიკო ხავთასი ბრექსიტი – საპარლამენტო სუვერენიტეტით მოტივირებული უთანხმოება	41
Iviko Khavtasi Brexit – An act of Resentment in the name of Parliamentary Sovereignty	51
3. ფლორიან ოლივერ ბინდერი ბრექსიტის მხარდაჭერის განმსაზღვრელ ფაქტორთა ვარიაცია – „გასვლის“ და „დარჩენის“ მომხრე რეგიონების საძიებო კვლევა	59
Florian Oliver Binder Variation in Determinants of Support For Brexit – An Explorative Study of ‘Leave’ & ‘Remain’ Regions	81
4. თათია დოლიძე „ჩვენ“ „სხვების“ წინააღმდეგ: ბალტიისპირეთის ქვეყნებისა და საქართველოს გზები ევროპისკენ“ (1991-2004)	99
Tatia Dolidze Us vs Other: the Baltic States’ and Georgia’s Pathways to Europe (1991-2004)	110
5. მარიამ ხურცილავა შემოქმედებითი ეკონომიკა – ქართული და ესტონური კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების მოდელები	119
Mariam Khurtsilava Creative Economy – Georgian and Estonian Cultural and Creative Industries’ development models	133
6. ავა ვუდი პოლონური პოპულიზმი და ევროპის საბჭო: პოლონეთის მიერ ვალდებულებების ვერ შესრულება და მისი შედეგები	145
Ava Wood Polish Populism and the Council of Europe: How Poland is Failing to Adhere to its Core Obligations and What it Means	163
7. აითან მერდან ჰაჯიევა და ნინო ჯავახიშვილი ეთნიკურად აზერბაიჯანელი ქალების სოციალური ინტეგრაცია საქართველოში	178
Aytan Merdan Hajiyeva and Nino Javakhishvili Social Integration of Ethnic Azerbaijani Women in Georgia	192

8.	სალომე აბულაძე	
	უმალესი განათლების ხელმისაწვდომობა, როგორც პატიმრების რეაბილიტაციის საშუალება: საქართველოს შემთხვევის ანალიზი	204
	Salome Abuladze	
	Access to Higher Education as a Means of Rehabilitation for Prisoners: The Case of Georgia	215
9.	ინგა კაზარიან	
	უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო პირობების უფლება: შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის რეგულაციები და მათი იმპლემენტაცია საქართველოში (სამშენებლო ინდუსტრიის მაგალითი)	225
	Inga Kazarian	
	The Right to Safe and Healthy Working Conditions: Regulation and Implementation of Occupational Safety and Health in Georgia (Example of the Construction Industry)	242
10.	ნინო ლაპიაშვილი	
	ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ სამართლის ტელეოლოგიური ინტერპრეტაციის მეთოდის გამოყენების შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის ევოლუცია: ზოგიერთი გამორჩეული ავტორის მოსაზრების მიმოხილვა	255
	Nino Lapiashvili	
	Evolution of the scholarship on the teleological method of legal interpretation by the Court of Justice of the EU: Some of the most prominent voices reviewed	256

1. ბრექსიტის შემდგომი მოლაპარაკებები: შემთხვევის შესწავლა

აბსტრაქტი

მოცემული კვლევა ბრექსიტის შემდგომ მოლაპარაკებებს ლიბერალური ინტერგავერნმენტალიზმის ფრეიმში აანალიზებს. საკითხის შესახებ მცირე შესავლისა და კვლევის დიზაინის შემდგომ, სტატიაში ლიბერალური ინტერგავერნმენტალიზმის მიმოხილვაა მოცემული. შემდეგ აღწერილია ევროკავშირისა და გაერთიანებულ სამეფოს შორის მოლაპარაკებების პროცესი, გაერთიანებული სამეფოსა და ევროკავშირის რამდენიმე სახელმწიფოს (გერმანია, საფრანგეთი, ირლანდია და ესპანეთი) პოზიციები; ასევე მოცემულია მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმების დეტალები. შემდგომ, ბოლო სექციაში, აღნიშნული ინფორმაცია ლიბერალური ინტერგავერნმენტალიზმის მეშვეობითაა გაანალიზებული და მოცემულია მოლაპარაკებების პროცესის ახსნა დაწყებული ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ეროვნული პრეფერენციების ფორმირებით, გაგრძელებული სახელმწიფოთაშორისო და გაერთიანებულ სამეფოსთან მოლაპარაკებებით/„ვაჭრობით“ (bargaining), და დასრულებული ლიბერალური ინტერგავერნმენტალიზმის მესამე ეტაპით – ინსტიტუტების როლით.

საკვანძო სიტყვები: ბრექსიტის მოლაპარაკებები, ლიბერალური ინტერგავერნმენტალიზმი, სავაჭრო/მოლაპარაკებების ძალა, ეროვნული პრეფერენციები, გასვლის შეთანხმება

შესავალი

2016 წელს გამართულ რეფერენდუმზე გაერთიანებულმა სამეფომ ევროკავშირის დატოვებას მხარი მცირე სხვაობით დაუჭირა – 51.9% ევროკავშირის დატოვების მომხრე იყო, ხოლო 48.1% – მოწინააღმდეგე (BBC, 2016). რეფერენდუმის შედეგების გათვალისწინებით, გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრმა, ტერეზა მეიმ, 2017 წლის 29 მარტს 50-ე მუხლი (ევროკავშირიდან გასვლის შესახებ) აამოქმედა, თუმცა, აღნიშნული გადაწყვეტილება ბევრმა ნაჩქარევად შეაფასა (Payne, 2017). ამით ოფიციალურად დაიწყო გაერთიანებული სამეფოს ევროკავშირიდან გასვლის პროცესი და შესაბამისად, მოლაპარაკებების პერიოდიც. ის ითვალისწინებდა გასვლის შეთანხმების პირობებისა და ყოვლისმომცველი ჩარჩოს შემუშავებას მომავალი, ბრექსიტის შემდგომი, ურთიერთობებისთვის (Politico, 2017), რომელსაც უნდა მოეცვა ყველა სფერო, მათ შორის, (თავისუფალი) ვაჭრობის ხელშეკრულება და რამდენიმე კომპლექსური საკითხი, რომელიც შემდგომ სექციებში იქნება განხილული. გასვლის შეთანხმების მოლაპარაკების პროცესი 2019 წლის ბოლომდე გაჭიანურდა, რა პერიოდშიც ადგილი ჰქონდა ინტენსიურ ვაჭრობას/გარიგებებს, შეფერხებებს, პოლიტიკურ დრამასა და შეთანხმების ნაწილების ხელახალ მოლაპარაკებებს (BBC, 2019). მოლაპარაკებები კრახის პირას იყო, მაგრამ საბოლოოდ, ე.წ. „შეთანხმების გარეშე (“no-deal”) სცენარი“ თავიდან იქნა აცილებული და გასვლის შეთანხმება მიიღწა. ვაჭრობისა და თანამშრომლობის შეთანხმებას ხელი ერთი წლის შემდეგ, 2020 წლის 30 დეკემბერს მოეწერა (Landler & Castle, 2020).

ბრექსიტი წლების განმავლობაში ანალიზისა და აკადემიური კვლევის ფოკუსი იყო და მის შესახებ მრავალი კვლევა ჩატარდა, მაგრამ ის ჯერ კვლავ შედარებით ახალი ფენომენია და მისი ზოგიერთი ასპექტი დამატებით გამოკვლევას საჭიროებს. მათ შორის, ბრექსიტის გამომწვევი მიზეზები – ე.ი. რამ მისცა რეფერენდუმში ბიძგი „დატოვების კამპანიას“ (Leave campaign) და რა ცვლადებმა და განმსაზღვრელმა ფაქტორებმა განაპირობა ხალხის არჩევანი – ფაქტობრივად, ამომწურავადაა შესწავ-

¹ სტატია მომზადდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტის ინგლისურენოვანი ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის კურსის „ევროკავშირის მმართველობა და პოლიტიკა, ევროინტეგრაციის თეორიები“ ფარგლებში ნინო ლაჩაშვილის ხელმძღვანელობით, ელექტრონული ფოსტა: klachashvili@gmail.com

ვლილი. ასევე, ბოლო დროს ბრექსიტის შედეგები, ფართოდ გავრცელებული კვლევის თემა გახდა და საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროინტეგრაციის თეორიები აქტიურად იქნა გამოყენებული აღნიშნული საკითხების განსახილველად. თუმცა, ბრექსიტის შემდგომი მოლაპარაკებების პროცესისთვის (ასევე, მოიხსენიება, როგორც ბრექსიტის მოლაპარაკებები), გარკვეულწილად, ნაკლები ყურადღებაა დათმობილი და ის უკვე შემუშავებული თეორიების მეშვეობით საფუძვლიანად არაა გაანალიზებული.

აქედან გამომდინარე, მოცემული კვლევა მიზნად ისახავს, ამ კუთხით წვლილი შეიტანოს და გაანალიზოს ბრექსიტის მოლაპარაკებები ევროინტეგრაციისა და საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული ქრილით. კერძოდ, რათა ახსნას ორი მხარის (გაერთიანებული სამეფოსა და ევროკავშირის) პოლიტიკა და ქმედებები, მოცემული ნაშრომი აანალიზებს ბრექსიტის მოლაპარაკებებს – როგორც პროცესს, ისე შედეგებს. კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის დიზაინი და მეთოდები და ის წარმოადგენს შემთხვევის შესწავლას (case study), კერძოდ, შემთხვევის შესწავლის ახსნით ტიპს. კვლევა მოიცავს 2017 წლის 29 მარტიდან, როდესაც გაერთიანებულმა სამეფომ შეთანხმების – ხელშეკრულება ევროკავშირის შესახებ (Treaty on European Union) – 50-ე მუხლი აამოქმედა და შესაბამისად, მოლაპარაკებების პროცესი დაიწყო, 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს, როდესაც გაერთიანებულ სამეფოსა და ესპანეთს შორის გიბრალტარის საკითხის შესახებ წინასწარი შეთანხმება მიიღწა და ერთი დღით ადრე ევროკავშირსა და გაერთიანებულ სამეფოს შორის ვაჭრობისა და თანამშრომლობის შეთანხმება გაფორმდა. კვლევის პროცესში გამოყენებულია აკადემიური წიგნები და სტატიები, გაერთიანებული სამეფოსა და ევროკავშირის ინსტიტუტების განცხადებები და ოფიციალური დოკუმენტები, მოსაზრებითი ტიპის სტატიები და ახალი ამბების წყაროები. კვლევის მიზნის მისაღწევად და მოლაპარაკებების პროცესის ახსნისთვის ნაშრომში გამოყენებული მთავარი თეორიული/ანალიტიკური ჩარჩო ლიბერალური ინტერგავერნმენტალიზმია.

თეორიული ჩარჩო – ლიბერალური ინტერგავერნმენტალიზმი

აღნიშნული სექციის მიზანია თეორიული ჩარჩოს მიმოხილვა – მისი ძირითადი იდეისა და მახასიათებლების გამოკვეთა, რომლებიც ნაშრომში ანალიზისთვის იქნება გამოყენებული. როგორც შესავალშია აღნიშნული, ლიბერალური ინტერგავერნმენტალიზმი მოცემულ კვლევაში მთავარ ანალიტიკურ ჩარჩოს წარმოადგენს.

ლიბერალური ინტერგავერნმენტალიზმი – ინტერგავერნმენტალიზმის ერთ-ერთი მიმართულება – 1990-იან წლებში ჩამოყალიბდა. ის ევროკავშირის ინტეგრაციის თეორიებში ერთ-ერთი დომინანტური თეორია გახდა, რომელიც ხშირად მოიხსენიებოდა, როგორც „საბაზისო თეორია“ (“baseline theory”) ან „დიდი თეორია“ (“grand theory”), რომელიც სხვა თეორიების ტესტირებისას შესაძარებლად და შესაფასებლად გამოიყენება. ის, ასევე, წარმოადგენს „დიდ თეორიას“, რომელიც სხვა რამდენიმე თეორიაზე დაყრდნობითაა აგებული, ძირითადად საშუალო ზომის თეორიებზე, როგორცაა რაციონალური ინსტიტუციონალიზმი, ასევე, ზოგადად პოლიტიკური მეცნიერების თეორიები, ნეოფუნქციონალიზმი (თუმცა, ნაკლები დოზით) და კლასიკური ინტერგავერნმენტალიზმი, რომელიც სტენლი ჰოფმანის შექმნილია (Moravcsik & Schimmelfennig, 2018, pp. 67-68).

ლიბერალური ინტერგავერნმენტალიზმი ენდრიუ მორავჩიკმა განავითარა, რომელმაც 1990-იან წლებში გამოქვეყნებულ სტატიებში² განვითარებულ იდეებსა და ჰიპოთეზებს თავი თავის მთავარ წიგნში – „The Choice for Europe: Social Purpose and State Power from Messina to Maastricht – მოუყარა (Parsons, 1998, pp. 74). მორავჩიკის თანახმად, „ცენტრალური არგუმენტი... არის ის, რომ ევროპული ინტეგრაცია საუკეთესოდ შეიძლება იყოს ახსნილი როგორც ეროვნული ლიდერების მიერ გაკეთებული რაციონალური არჩევნების სერია“ (Moravcsik, 1998, pp. 18). ეს, ფაქტობრივად, გულისხმობს, რომ ლიბერალური ინტერგავერნმენტალიზმი ევროკავშირის განიხილავს, როგორც მთავრობათაშორის ორგანიზაციას, სადაც გადაწყვეტილებები მიიღება წევრ ქვეყნებს შორის მოლაპარაკებების შედეგად (სახელმწიფოთაშორისი ვაჭრობა). წევრი ქვეყნების წარმომადგენლები აწარმოებენ მოლაპარაკებებს/ვაჭრობენ შიდა პოლიტიკის პრეფერენციებზე დაყრდნობით და შედეგი დიდწილად დამოკიდებულია ვაჭრობაში მათ ძალასა და ბერკეტებზე. ლიბერალური ინტერგავერნმენტალიზმის შეხედულებისამებრ, შემდგომი ინტეგრაცია წევრი ქვეყნების მიერ სუვერენიტეტის ნაწილის ზესახელმწიფოებ-

² მაგალითად, იხილეთ “Negotiating the Single European Act: National Interests and Conventional Statecraft in the European Community” და “Preferences and Power in the European Community: A Liberal Intergovernmentalist Approach”.

რივი ინსტიტუტისათვის გადაცემის/დელეგირების სახით ხდება, როდესაც წევრი სახელმწიფოს ეკონომიკურ ინტერესებს შორის თანხვედრაა (Cini, 2019, pp.77).

მორავჩიკი მიუთითებს სამ ფაქტორზე, რომლებიც სახელმწიფოთა რაციონალურ არჩევანზე ახდენს გავლენას: „ქვეყნის შიდა ძლიერი მოთამაშეების ეკონომიკური ინტერესები“, „თითოეული სახელმწიფოს შედარებითი ძალა საერთაშორისო სისტემაში“ და „საერთაშორისო ინსტიტუტების როლი სახელმწიფოთაშორისო ვალდებულებების სანდოობის ხარისხის გაძლიერებაში“ (Moravcsik, 1998, pp. 18). სხვა სიტყვებით რომ ითქვას, მორავჩიკი ავითარებს თეორიას, რომელიც დაფუძნებულია მთავრობათაშორის დაშვებებზე, რომ ევროინტეგრაციის პროცესში გადაწყვეტილების მიღება ხდება წევრი ქვეყნების მიერ, რომლებიც რაციონალური აქტორები არიან და განიხილავენ სამი სხვადასხვა დონის ფაქტორებს – სახელმწიფოთაშორისს, შიდასახელმწიფოებრივს და ინსტიტუციურს. პირველი ორი, ასევე, არის რობერტ პუტნამის "ორდონიანი თამაშის" შრეების – თეორია, რომელიც, მიშელ ცინის აზრით, არის "საწყისი წერტილი ლიბერალური ინტერგავრმენტალიზმის გასაგებად". ცინი ლიბერალურ ინტერგავრმენტალიზმში მოთხოვნისა და მიწოდების მხარეებს განასხვავებს – მოთხოვნა მომდინარეობს ქვეყნის შიდა აქტორებიდან და მიწოდება სახელმწიფოთაშორისო მოლაპარაკებების პროცესებიდან (Cini, 2019, pp. 76-77); და პუტნამის თეორიაზე დამატებით, ლიბერალური ინტერგავრმენტალიზმი, როგორც რეგიონული ინტეგრაციის თეორია, ასევე, მოიცავს ინსტიტუციურ დონეს.

მორავჩიკი ამტკიცებს, რომ როდესაც ევროპული ინტეგრაციის პროცესში სახელმწიფოები რაციონალურ არჩევანს აკეთებენ, ხელმძღვანელობენ შედარებით სტაბილური და წინასწარ კარგად განსაზღვრული ინტერესებით. ამ და მანამდე ნახსენები დაშვებებიდან გამომდინარე, მორავჩიკი გამოყოფს წევრ ქვეყნებს შორის მოლაპარაკების სამ ფაზას: „ეროვნული პრეფერენციების ფორმირება, სახელმწიფოთაშორისო მოლაპარაკებები/ვაჭრობა და საერთაშორისო ინსტიტუტების არჩევანი (Moravcsik, 1998, pp. 18).

დასაწყისისთვის, ლიბერალური ინტერგავრმენტალიზმი სახელმწიფოებს უნიტარულ აქტორებად განიხილავს, რომელთა საგარეო პოლიტიკა შიდა დაინტერესებულ მხარეებს შორის მოლაპარაკების პროცესის მიხედვით განისაზღვრება. თავის მხრივ, შიდა დაინტერესებული მხარეები საკითხების მიხედვით განსხვავდებიან (Moravcsik & Schimmelfennig, 2018, pp. 69-70). მაშასადამე, ეროვნული პრეფერენციების ფორმირება არის ინტერესთა ჯგუფებს შორის შეჯიბრის პროცესი, რათა მათი სასურველი პოლიტიკა სახელმწიფოთაშორისო მოლაპარაკებებში მთავრობის პოზიციად იქცეს (Cini, 2019, pp. 77). მორავჩიკმა ჩაატარა სიღრმისეული შემთხვევის შესწავლები (case studies) და ემპირიულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით დაასკვნა, რომ ევროინტეგრაციის მიმართ სახელმწიფოთა ეროვნული პრეფერენციების განსაზღვრაში ეკონომიკური ინტერესები მთავარ როლს თამაშობს. მის თანახმად, შემთხვევათა უმეტესობა მიუთითებდა, რომ სახელმწიფოების გადაწყვეტილების უკან, რომ ინტეგრაციის პროცესი ჯერ დაწყებულიყო და შემდეგ გაღრმავებულიყო, კომერციული და ეკონომიკური მიზნების განხორციელებისა და შედარებითი უპირატესობების მიღწევის ინტერესი იდგა. მიუხედავად ამისა, ეკონომიკური ინტერესები არ არის ერთადერთი ცვლადი, რომელიც ევროპულ ინტეგრაციაში სახელმწიფოთა ეროვნულ პრეფერენციებს განსაზღვრავს. არამედ, არსებობს სხვა ფაქტორები, განსაკუთრებით გეოპოლიტიკური და უსაფრთხოების საკითხები და იდეოლოგიური ასპექტები. მორავჩიკის მიერ გაანალიზებულ ყველა შემთხვევაში ეკონომიკური ინტერესები ვლიდნებოდა. თუმცა, შესწავლილ შემთხვევათა მნიშვნელოვან ნაწილში იდეოლოგიური და, განსაკუთრებით, გეოპოლიტიკური მიზეზებიც შეიმჩნეოდა; 15-დან სამ შემთხვევაში გადაწყვეტილებებზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია გეოპოლიტიკურმა ინტერესებმა (Moravcsik & Schimmelfennig, 2018, pp. 69-70). აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოებმა შეიძლება პრიორიტეტულად მიიჩნიონ გეოპოლიტიკური მიზნები და შესაბამისად შეცვალონ ეკონომიკური ინტერესები. თეორიული თვალსაზრისით, მორავჩიკს მოჰყავს ნეორეალისტური ახსნა, რომ ევროპული ინტეგრაციის საფუძველი ძალთა ბალანსი იყო – კერძოდ, საბჭოთა კავშირიდან მომდინარე საფრთხის დაბალანსება, სუპერ ძალების მიერ (აშშ და სსრკ) დომინირებულ საერთაშორისო სისტემაში ავტონომიური ევროპული ძალის პოლუსად პოზიციონირება და ეკონომიკურ შეჯიბრში ისეთ მეტოქეებთან ბალანსირება, როგორც, მაგალითად, იაპონია იყო (Moravcsik, 1998, pp. 24-34).

მეორე ეტაპის – სახელმწიფოთაშორისო ვაჭრობის ასახსნელად, ლიბერალური ინტერგავრმენტალიზმი რაციონალურ ინსტიტუციონალიზმს იყენებს. წევრი ქვეყნების ეროვნული პრეფერენციები ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგოა და, შესაბამისად, მათ ურთიერთსასარგებლო პოლიტიკის შესამუშავებლად თანამშრომლობა და მოლაპარაკება უწევთ. თუმცა, სახელმწიფოთაშორისო ვაჭრობის

შედეგების სარგებელი ქვეყნებისთვის შეიძლება განსხვავებული იყოს და ეს დამოკიდებულია მოლაპარაკებაში/ვაჭრობაში ძალასა და ბერკეტებზე. მოგებათა არათანაბარი გადანაწილება გამოწვეულია ევროკავშირის ფენომენით, რომელსაც ასიმეტრიული ურთიერთდამოკიდებულება ჰქვია. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც სახელმწიფოს (ან ზოგიერთ მათგანს) არ სურს გარკვეული პოლიტიკის სფეროში არსებული სტატუს-ქვოს შეცვლა, უფრო სავარაუდოა, რომ აღნიშნული აქტორები ეცდებიან სრული პროცესის საბოტაჟს, რათა გარკვეული დათმობები მიიღონ. როგორც მოლაპარაკების ზოგადი წესი, ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის სახელმწიფოთაშორისო ვაჭრობისას ინფორმაცია ღირებული აქტივია და მას, ვინც სხვისი ეროვნული პრეფერენციებისა და განხილული საკითხისადმი ინსტიტუტების დამოკიდებულების შესახებ ინფორმაციას ფლობს, წარმატების მეტი შანსი აქვს. ვაჭრობის პროცესის შესასწავლად თავის წიგნში – Choice of Europe – მორავჩიკი განიხილავს ორ განზომილებას – ეფექტიანობასა და მოგების განაწილებას, ასევე, ყურადღებას ამახვილებს ორ საპირისპირო თეორიაზე – შესახელმწიფოებრივი ვაჭრობა და მთავრობათაშორისი ვაჭრობა. განხილულ შემთხვევებზე დაყრდნობით, მორავჩიკმა დაასკვნა, რომ სახელმწიფოთა შორის მიღწეული შედეგები შეესაბამება მათ ფარდობით ძალას, რომელიც ასიმეტრიული ურთიერთდამოკიდებულების კონტურებს ასახავს: სახელმწიფოებმა, რომლებმაც ევროინტეგრაციიდან ყველაზე მეტი სარგებელი მიიღეს, იყვნენ ის სახელმწიფოები, რომლებიც ყველაზე მეტ კომპრომისზე მიდიოდნენ, და საპირისპიროდ, ვინც ყველაზე ნაკლებად ისარგებლა ინტეგრაციით ან ადაპტაციისა და ალტერნატივების მაღალი ხარჯები ჰქონდა, „მიდრეკილი იყო იმისკენ, რომ მეტი გავლენა მოეხდინა პირობების დაწესებისთვის“. ამ დაშვებების საპირისპიროდ, ფედერალიზმისა და ნეოფუნქციონალიზმის ზეეროვნული მოლაპარაკების/ვაჭრობის თეორიები მიიჩნევენ, რომ არსებობს „ინფორმაციული ასიმეტრიები“ და ხაზს უსვამენ „ზეეროვნული პოლიტიკური მენარმეების“ (“supranational political entrepreneurs”) ან „იდეური მენარმეების“ (“ideational entrepreneurs”) როლს (მაგალითად, ევროკომისიის პრეზიდენტები). ამ იდეების მიხედვით, სახელმწიფოებს წარმატებული მოლაპარაკებებისთვის ინფორმაცია და იდეები აკლიათ, რასაც „იდეურ მენარმეებს“ აქვთ. თუმცა, ლიბერალური ინტერგავერმენტალიზმი უშვებს, რომ სახელმწიფოთაშორისო ვაჭრობის პროცესში, სწორედ, ზეეროვნული მესამე მხარეები არ ფლობენ საკმარის ინფორმაციას და ეფექტიანი შეთანხმებების წარმატებით გაფორმებისთვის ისინი საჭირო არ არიან. მორავჩიკმა დედუქციის მეთოდით ემპირიულ შემთხვევებზე დაყრდნობით დაასკვნა, რომ ტრანზაქციის ხარჯები არც იმდენად დიდია, რომ მესამე მხარის მედიაციის საჭიროება არსებობდეს და ასევე სახელმწიფოები, როგორც წესი, ამჯობინებენ თავად იკისრონ იდეების მიმწოდებლისა და მენარმის როლი. მიუხედავად ამისა, მორავჩიკი წერს, რომ ზოგიერთმა შემთხვევამ, მაგალითად, ერთიანი ევროპული აქტის მიღებამ აჩვენა, რომ მოლაპარაკება/ვაჭრობის პროცესში ზეეროვნული მენარმეები შესაძლოა ეფექტიანობისთვის საჭირო მაინც გახდნენ (Moravcsik & Schimmelfennig, 2018, pp. 70-71).

საბოლოოდ, ლიბერალური ინტერგავერმენტალიზმი ხსნის წევრ ქვეყნებს შორის მოლაპარაკების მესამე და ბოლო ეტაპს – საერთაშორისო ინსტიტუტების არჩევანს (ინსტიტუციური არჩევანი). ლიბერალური ინტერგავერმენტალიზმის თანახმად, საერთაშორისო ინსტიტუტები, ზოგადად, გრძელვადიანი საერთაშორისო თანამშრომლობისთვისაა საჭირო. აქედან გამომდინარე, წევრი სახელმწიფოები თავიანთი სუვერენიტეტის ნაწილს გადასცემენ ზენაციონალურ ინსტიტუტს, რადგან მათ შეუძლიათ მიიღონ ზომები ისეთ შემთხვევაში, როდესაც ქვეყნებს შეთანხმებიდან გადახვევის მიდრეკილებები გაუჩნდებათ და ასევე, გაუთვალისწინებელი ეფექტების შემთხვევაში. რაც მთავარია, ზენაციონალური ინსტიტუტები იძლევიან გარანტიას, რომ მეორე ეტაპზე (სახელმწიფოთაშორისო მოლაპარაკება/ვაჭრობა) მიღწეული მოგების განაწილება შენარჩუნდება; თანამშრომლობის ხელშეწყობისა და გაურკვევლობის შემცირებით მინიმუმამდე დაიყვანება ტრანზაქციის ხარჯები; ჩამოყალიბდება მექანიზმი, რომ წევრმა ქვეყნებმა გააკონტროლონ ერთმანეთის ქმედებები, ხოლო დარღვევის შემთხვევაში – დაანესონ სანქციები, რითაც შეთანხმებული გარიგებების შესრულება უზრუნველყოფილი იქნება. არსებობს ევროკავშირისთვის უფლებამოსილების დელეგირების სხვადასხვა დონეები, დაწყებული მარტივი სტანდარტებისა და ნორმების დანესებიდან გაგრძელებული კომისიისთვის შეთავაზებებისა და მოლაპარაკების უფლებამოსილების მინიჭებით და დასრულებული ევროპის ცენტრალური ბანკის ან ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსთვის (ECJ) უფლებამოსილების დელეგირებით.

ბრექსიტის მოლაპარაკებები: ქრონოლოგია, ძირითადი საკითხები და შედეგები

მას შემდეგ, რაც ბრიტანელებმა ევროკავშირიდან გასვლას დაუჭირეს მხარი, თავიდანვე ცხადი იყო, რომ პროცესის დასრულება ერთ დღეში ვერ მოხერხდებოდა, მიუხედავად ბრექსიტის მხარდამჭერი ზოგიერთი ჯგუფის ოპტიმიზმისა. თუმცა, იმის განჭვრეტა თუ როგორ განვითარდებოდა და დროში როგორ გაჭიანურდებოდა ეს პროცესი, ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო, ისევე როგორც შემდგომ მომხდარი მთავარი მოვლენების პროგნოზირება.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ რეფერენდუმის შედეგით იმედგაცრუების მიუხედავად, ევროკავშირი მზად იყო ბრიტანელი ხალხის არჩევანისთვის პატივი ეცა და ამ არჩევანის შესასრულებლად რთული სამუშაო პროცესი დაეწყო. კენჭისყრისთანავე, ევროკავშირის წარმომადგენლებმა საჯაროდ განაცხადეს, რომ ნანობდნენ, მაგრამ პატივს სცემდნენ რეფერენდუმის გადაწყვეტილებასა და შედეგს და განაცხადეს, რომ მომზადებულნი იყვნენ ამ უარყოფითი სცენარისთვის (European Council, 2016a) ასევე, აღნიშნეს, რომ მოლაპარაკებებისათვის მზაობა ქონდათ (European Council, 2016b).

საპირისპიროდ, გაერთიანებული სამეფო ნაკლებად იყო მზად შედეგისთვის და, სავარაუდოდ, შემდგომ მოსალოდნელ სიტუაციასა და მოლაპარაკებებს არცთუ რთულად და იმაზე მარტივად მიიჩნევდა, ვიდრე ის რეალობაში იყო. როგორც ბრექსიტის ერთ-ერთი გვერდითი ეფექტი, პრემიერ მინისტრი დევიდ კამერონი, მიუხედავად იმისა, რომ 2015 წლის არჩევნებში დიდი უმრავლესობა მოიპოვა, ბრექსიტის რეფერენდუმის წარუმატებლობის ფონზე გადადგა, რითაც გზა გაუხსნა ტერეზა მეის, გამხდარიყო ახალი პრემიერ მინისტრი, რომლის მთავარი ამოცანაც ევროკავშირთან გასვლის პირობებზე მოლაპარაკება იყო (Stewart et al. 2016).

ცხადი იყო, რომ ევროკავშირის მოლაპარაკებების პოზიცია უფრო ძლიერი იყო და გასაკვირი არაა, რომ ევროპული საბჭოს მაშინდელი პრეზიდენტი, დონალდ ტუსკი, ტერეზა მეისთან შეხვედრაზე მოლაპარაკებების მალე დაწყებას ითხოვდა, რათა „შემცირებულიყო და საბოლოოდ დასრულებულიყო გაურკვეველობა“ (European Council, 2016c). მართლაც, ის მიესალმა ბრიტანეთის მთავრობის გადაწყვეტილებას, რომელიც 2016 წლის ოქტომბერში გამოცხადდა, რომ გაერთიანებული სამეფო მომავალი წლის მარტის ბოლოს 50-ე მუხლს გაააქტიურებდა და მოლაპარაკებების პროცესს დაიწყებდა (European Council, n.d.). თუმცა 50-ე მუხლის ამოქმედება ბევრმა ნაჩქარევად, მოუმზადებლად და ნაადრევად მიიჩნია (Payne, 2017), ძირითადად, იმ მიზეზით, რომ გაერთიანებული სამეფო კარგად მომზადებული არ იყო. ეს თვალსაჩინო იყო მხარეების მომლაპარაკებელი დელეგაციების ერთ-ერთ პირველ შეხვედრაზე – სცენა³, რომელშიც ევროკავშირის მხარე მოლაპარაკებებზე ბევრი დოკუმენტით მივიდა, ხოლო ბრიტანელები მხოლოდ ბლოკნოტებით გამოცხადნენ, მხარეთა მზადყოფნის დონეს ასახავდა და გაერთიანებული სამეფოს მოუმზადებლობას წარმოაჩენდა.

ევროკავშირის 27 ქვეყნის ლიდერებმა (ევროპის საბჭოს შემადგენლობა დიდი ბრიტანეთის გარდა) დაასკვნეს, რომ მოლაპარაკებები ევროკავშირის კომისიას იმ სახელმძღვანელო მითითებების საფუძველზე უნდა წარემართა, რომლებსაც ევროკავშირის 27 ქვეყანა დროთა განმავლობაში მიიღებდა. კომისიის წარდგენის საფუძველზე მთავარ მომლაპარაკებლად მიშელ ბარნიე დაინიშნა, თუმცა, ის ანგარიშს არა მხოლოდ კომისიას აბარებდა, არამედ ევროკავშირის 27 წევრი ქვეყნის ლიდერებსაც. ასევე, მას დაევალა ევროპარლამენტის „მჭიდროდ და რეგულარულად“ ინფორმირება. გარდა ამისა, ევროკავშირის საბჭოს და მის მოსამზადებელ ორგანოებს მიენიჭათ როლი „განესაზღვრათ მიმართულება კომისიისათვის“ და „უზრუნველყოსთ მოლაპარაკებების წარმართვა ევროკავშირის 27 წევრი ქვეყნის მითითებების შესაბამისად“ (European Council, 2016d) – რა თქმა უნდა, 27 წევრი სახელმწიფოს ლიდერები არ იქნებოდნენ ჩართული ყოველდღიურ მუშაობაში, მონიტორინგისა და ყველა ტექნიკური დეტალის განხილვაში.

მოლაპარაკების მთავარ საკითხებს შორის, რომელიც დონალდ ტუსკმა მოლაპარაკებების სახელმძღვანელო პრინციპებზე საუბრისას გამოაცხადა, იყო გაურკვეველობის მინიმუმამდე შემცირება, გაერთიანებულ სამეფოში მომუშავე ევროკავშირის კომპანიებისთვის სამართლებრივი ვაკუუმის თავიდან აცილება, გაერთიანებული სამეფოს ფინანსური ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა, მოქნილი და კრეატიული გადაწყვეტილებების პოვნა ირლანდიასა და ჩრდილოეთ ირლანდიას

³ სურათის ხილვა შესაძლებელია, მაგალითად, შემდეგ ბმულზე: <https://www.politico.eu/article/britain-prepares-to-show-its-brexit-hand-customs-trade-agreement/amp/>

შორის „მყარი საზღვრის“ აღკვეთის მიზნით (ერთადერთი სახმელეთო საზღვარი დიდ ბრიტანეთსა და ევროკავშირს შორის), როგორც ჩრდილოეთ ირლანდიაში მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტიის საშუალება. ტუსკის თანახმად, ეს საკითხები პირველ რიგში უნდა შეთანხმებულიყო გასვლის შეთანხმების ფარგლებში და მხოლოდ ამ საკითხების მოგვარების შემდეგ შეიძლებოდა გადასულიყვნენ სამომავლო ურთიერთობების სხვა მნიშვნელოვანი საკითხების განხილვაზე, მათ შორის, სხვა საკითხებს შორის, ეკონომიკისა და უსაფრთხოების ფართო სფეროებზე (European Council, 2017a).

პირველმა სახელმძღვანელო პრინციპებმა დაადგინა ევროკავშირის პოზიციები იმის შესახებ, რომ უნდა შენარჩუნებულიყო ერთიანი ბაზრის მთლიანობა და „თამაშის თანაბარი პირობები“ (level playing field), რაც იმას ნიშნავს, რომ გაერთიანებული სამეფო ვერ მიიღებდა მონაწილეობას მხოლოდ ევროინტეგრაციისა და საერთო ბაზრის ზოგიერთ სფეროში და ზოგიერთში არა. ასევე, სახელმძღვანელო პრინციპებმა გამორიცხა ხელშეკრულებების დადება ცალკეულ საკითხებზე, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული გაერთიანებული სამეფოს მიერ სასურველი სფეროების არჩევა. ნაცვლად ამისა, დადგინდა, რომ გასვლის შესახებ შეთანხმება ერთ პაკეტში უნდა ყოფილიყო მოლაპარაკებელი და გაფორმებული. უფრო მეტიც, სახელმძღვანელო პრინციპებით დადგინდა, რომ მოლაპარაკებები მთლიანად ევროკავშირს უნდა ეწარმოებინა იმ საკომუნიკაციო არხების გამოყენებით, რომლებიც ექსკლუზიურად იქნებოდა განსაზღვრული გაიდლაინებში და არა ცალკე წევრი ქვეყნების მიერ, რათა არ მომხდარიყო ევროკავშირის გვერდის ავლა და მოლაპარაკებების პოზიციების შესუსტება. აღნიშნულმა, ფაქტობრივად, დაადგინა, რომ მოლაპარაკებების პროცესს ევროკავშირის მთავარი მომლაპარაკებელი მიშელ ბარნიე წარმართავდა და ის იქნებოდა მთავარი საკონტაქტო პირი გაერთიანებული სამეფოსთვის. ევროკავშირს არ სურდა, რომ გაერთიანებულ სამეფოს მისთვის გვერდი აევილო და მოლაპარაკებები უშუალოდ წევრ ქვეყნებთან ან კომისრებთან (ან ევროკავშირის სხვა ოფიციალურ პირებთან) დაეწყო. ეს პრინციპები მოიცავდა არა მხოლოდ გასვლის შეთანხმების მოლაპარაკებებს, არამედ ვრცელდებოდა წინასწარ მოლაპარაკებებს სამომავლო ურთიერთობების ჩარჩოზე, გარდამავალ და ყველა სხვა რელევანტურ შეთანხმებაზე. ევროკავშირმა აირჩია „მოლაპარაკებების ეტაპობრივი მიდგომა“ და 50-ე მუხლის თანახმად, მოლაპარაკებების ორწლიანი ვადა დაანესა. ეტაპობრივი მიდგომა გულისხმობდა, რომ პირველ რიგში უნდა შეთანხმებულიყო მოქალაქეების და ბიზნესის უფლებები. ასევე, უნდა შეთანხმებულიყო გაერთიანებული სამეფოს შესაძლო გადახრები/განსხვავებები ევროკავშირთან დაკისრებული იმ ვალდებულებებისგან, რომლებიც როგორც წევრმა სახელმწიფომ აიღო და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა საუბარი სამომავლო ურთიერთობების მონახაზზე ან გარდამავალ შეთანხმებებზე (European Council, 2017b).

ევროპული საბჭოს სახელმძღვანელო პრინციპებზე დაყრდნობით, კომისიამ ჩამოაყალიბა მოლაპარაკებების დირექტივები, რომელიც საბჭომ დაამტკიცა. უმთავრეს პრიორიტეტებად გამოიკვეთა მოქალაქეების უფლებები, ფინანსური საკითხების შეთანხმება (გაერთიანებული სამეფოს ევროკავშირის წინაშე აღებული ფინანსური ვალდებულებების შესახებ), ირლანდიაში არსებული სიტუაციის მოგვარება დიდი პარასკევის შეთანხმების დაცვით და ერთიანი ბაზრის მთლიანობასთან დაკავშირებული საკითხები (მათ შორის, საბაჟო საკითხები). კომისიამ ეტაპობრივი მიდგომა გაიმეორა – მხოლოდ მოქალაქის უფლებების, ფინანსური საკითხების გადაწყვეტისა და ჩრდილოეთ ირლანდიის სიტუაციის მოგვარების შემდეგ შეიძლებოდა დაწყებულიყო მოლაპარაკებების მეორე ეტაპი, სადაც განიხილება ყველა სხვა თემა, მათ შორის, სამომავლო ურთიერთობების შეთანხმების წინასწარი განხილვა (European Council, 2017c). მიშელ ბარნიემ აღნიშნულ პუნქტებს მოლაპარაკებების პირველ რაუნდშიც გაუსვა ხაზი (European Commission, 2017).

მეორე მხრივ, დიდმა ბრიტანეთმა ევროკავშირთან განსახილველ სხვადასხვა საკითხზე მისი პოზიციის ამსახველი დოკუმენტები (ე.წ. position papers)⁴ გამოაქვეყნა. აღნიშნული მიზნად ისახავდა იმ კრიტიკის პასუხსა და გამოსწორებას, რომ დიდი ბრიტანეთი მოლაპარაკებებისთვის მოუმზადებელი იყო. ორი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელსაც დოკუმენტები ეხებოდა ჩრდილოეთ ირლანდიისა და საბაჟო საკითხები იყო. ჩრდილოეთ ირლანდიასთან დაკავშირებით, მის მთავრობა დათმობაზე წავიდა, მხედველობაში მიიღეს რა ირლანდიის პოზიციები, მაგრამ წინადადება ზოგიერთ ასპექტში მაინც გაურკვეველი იყო. არსებითად, ეს დოკუმენტები მიზნად ისახავდა ისეთი რეჟიმის დამყარებას, სადაც დიდი პარასკევის შეთანხმება საერთო მიმოსვლის არეალებსა (common travel areas) და მრავალ სფეროში თანამშრომლობასთან ერთად იქნებოდა შენარჩუნებული. აღნიშნული

⁴ Discussing each of them in detail is out of the scope of this paper. They are available at: <https://www.gov.uk/government/collections/article-50-and-negotiations-with-the-eu>

თანამშრომლობის სფეროები მოიცავდა ენერგეტიკულ სექტორსა და ირლანდიასა და ჩრდილოეთ ირლანდიას შორის მყარი საზღვრის აღკვეთას, როგორც მოქალაქეების, ისე საქონლის გადაადგილების ნაწილში (Dunin-Wasowicz, 2017a). ბრიტანეთის გამოქვეყნებულმა პოზიციებმა კრიტიკაც დაიმსახურა, რომლის თანახმადაც, დოკუმენტები იმ დროისთვის არსებულ ვითარებას შემოთავაზებული ზომებიდან საუკეთესო ვარიანტად მიიჩნევადა, მაგრამ წარუმატებლობის სერიოზულ რისკს შეიცავდა (O'Toole, 2017).

რაც შეეხება საბაჟო შეთანხმებებს, დიდმა ბრიტანეთმა „დროებითი/შუალედური (interim) საბაჟო კავშირის“ შექმნისა და ამავე დროს თავისთვის მესამე ქვეყნებთან სავაჭრო მოლაპარაკების უფლებისა და შესაძლებლობის შენარჩუნების იდეა წამოაყენა (Reuters, 2017). თუმცა, ეს იდეა თავიდანვე ცოტა უცნაურად გამოიყურებოდა, რადგან ეწინააღმდეგებოდა ეკონომიკის ზოგადად შეთანხმებულ დაშვებებს მესამე მხარეებთან ვაჭრობის შეზღუდვების (diversion) შესახებ მაშინ, როდესაც საბაჟო კავშირში წევრიანდები. შესაბამისად, გაერთიანებული სამეფოს წინადადებას ევროკავშირის მხრიდან თანხმობის მცირე შანსი ჰქონდა, რადგან ამას შესაძლოა ერთიანი ბაზრის მთლიანობის შენარჩუნება გაერთულებინა. მართლაც, გაერთიანებული სამეფოს პოზიციების ამსახველმა დოკუმენტებმა ექსპერტების მწვავე კრიტიკა დაიმსახურა, რადგან ძირითადი კითხვებზე პასუხები გაცემული არ იყო და საეჭვო იყო გაერთიანებული სამეფოს პოზიცია საბაჟო კავშირის მიმართ, როგორც გარდამავალ პერიოდში, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში (Dunin-Wasowicz, 2017b) (BDO, 2017).

ბრექსიტის მოლაპარაკებებში ევროკავშირის 27-ივე წევრ სახელმწიფოს თავისი პირადი, ეროვნული, ინტერესები ჰქონდა. მაგალითად, ირლანდიის მთავარი საზღვრავი ჩრდილოეთ ირლანდიის საკითხი იყო. ირლანდიას სურდა დიდი პარასკევის შეთანხმებით მიღწეული მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნება, ჩრდილოეთ ირლანდიასთან შეუფერხებელი ვაჭრობა და გადაადგილება და ზოგადი თანამშრომლობა ყველა სფეროში. ირლანდიის ინტერესებში, ასევე, შედიოდა ჩრდილოეთ ირლანდიის უფრო მეტად არა დიდ ბრიტანეთთან, არამედ ირლანდიასთან დაკავშირება.

გერმანიას, რომელსაც ევროკავშირში ყველაზე ძლიერი ეკონომიკა აქვს და საფრანგეთთან ერთად ფართოდ მიიჩნევა ევროკავშირის წამყვან სახელმწიფოდ, შემდეგი უპირველესი ინტერესები ჰქონდა: ა) აცეცლებინა ხისტი ან „შეთანხმების გარეშე“ ბრექსიტი, რადგან წმინდა ეკონომიკური გათვლებით ეს საზიანო იქნებოდა – დაარღვევდა რა გერმანია-დიდი ბრიტანეთის ვაჭრობას; ზოგიერთი მაჩვენებლის მიხედვით, გერმანია-დიდი ბრიტანეთის ეკონომიკური კავშირები ყველაზე მჭიდრო და მაღალი იყო – ამრიგად, გერმანია დიდ დარტყმას მიიღებდა (Ryan, 2019); ბ) ევროკავშირის კეთილდღეობისა და პრესტიჟის შენარჩუნება, რადგან ძლიერი ევროკავშირი გერმანიის, როგორც გაერთიანების ლიდერის, უპირველესი გრძელვადიანი მიზანია. ამიტომ, ამ კონტექსტში, გერმანიის ინტერესები მთლიანად დაემთხვა ევროკავშირის ინტერესებს. მაგალითად, გერმანია, ასევე, აქტიურად ეწინააღმდეგებოდა ბრიტანეთისთვის თანამშრომლობის მხოლოდ მისთვის სასურველი სფეროების არჩევის უფლებას, მოითხოვა უზარმაზარი ე.წ. „განქორწინების გადასახადი“ (divorce bill) და ნებისმიერ შეთანხმებაში გამორიცხა ირლანდიასა და ჩრდილოეთ ირლანდიას შორის მყარი საზღვრის შექმნის შესაძლებლობა (Chase, 2019). გარდა ამისა, გერმანიის ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებისა და ზოგადად, ევროკავშირის ინტერესების გამო, მისი კიდევ ერთი პრიორიტეტი რეგულაციებისა და ინდუსტრიის სუბსიდიების კუთხით „თამაშის თანაბარი პირობების“ უზრუნველყოფა იყო (Boffey & Rankin, 2020). აღსანიშნავია, რომ ზოგიერთის მტკიცებით, გერმანია საკუთარ ეკონომიკურ ინტერესებზე მაღლა ევროინტეგრაციის მხარდამჭერ და წინ წამწევ პოლიტიკას დააყენებდა (Molthof, 2018) და შესაბამისად, არ დაუშვებდა, რომ ბრექსიტს ევროკავშირის ძირითადი პრინციპების შელახვა და დაზიანება გამოეწვია (Ryan, 2019).

კიდევ ერთი ეკონომიკა, რომელიც დიდი ბრიტანეთის გასვლის შედეგად ყველაზე მეტად დაზარალებული იქნებოდა, განსაკუთრებით ხისტი ან „შეთანხმების გარეშე“ ბრექსიტის შემთხვევაში, იქნებოდა ესპანეთი (Garicano, 2016). ესპანეთს გაერთიანებულ სამეფოსთან მჭიდრო ეკონომიკური, პოლიტიკური, საგანმანათლებლო-კულტურული და სხვა სახის კავშირები ჰქონდა (Dunham, 2020) – მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ესპანეთის ეკონომიკური დამოკიდებულება გაერთიანებულ სამეფოზე უფრო ნაკლები ყოფილიყო ვიდრე გერმანიის, ესპანეთის ეკონომიკა, რომელიც უმუშევრობის მაღალი დონით ხასიათდება და გერმანიის ეკონომიკასთან შედარებით გაცილებით სუსტია, დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლაზე უფრო მგრძობიარე იქნებოდა. შესაბამისად, უფრო მეტადაც დაზარალებული იქნებოდა. თუმცა, ეკონომიკური და სხვა ხსენებული ინტერესების გარდა, ესპანეთისთვის მთავარი საკითხი გიბრალტარი იყო, რომელიც გიბრალტარის სრუტეზე ესპანეთის გვერდით სტრატეგიულად განლაგებუ-

ლი მცირე ტერიტორიაა. გიბრალტარი ბრიტანეთის ზღვისგალმა ტერიტორიაა მას შემდეგ, რაც მე-18 საუკუნეში ესპანეთს მისი დათმობა აიძულა. მას შემდეგ ესპანეთი არაერთხელ შეინააღმდეგებია დიდი ბრიტანეთის პოზიციასა და სტატუს-ქვოს გიბრალტარის სტატუსთან დაკავშირებით. გამომდინარე იქიდან, რომ გიბრალტარის მოსახლეობამ ბრექსიტის რეფერენდუმზე მხარი ევროკავშირში დარჩენას დაუჭირა, ესპანეთმა ეს საკუთარი ინტერესების გატარების შესაძლებლობად მიიჩნია. მეტიც, გიბრალტარს ერთადერთი სახმელეთო საზღვარი ესპანეთთან აქვს და ასევე ეკონომიკურად (პრაქტიკულად სხვა ყველა სფეროშიც) ევროკავშირზე, განსაკუთრებით კი ესპანეთზეა, დამოკიდებული. ესპანეთის ინტერესი სტატუს-ქვოს ისე შეცვლა იყო, რომ გიბრალტარი უფრო მეტად დაახლოვებოდა ესპანეთს და ესპანეთის როლი და გავლენა გიბრალტარში გაიზარდებოდა.

ბოლოს, განსაკუთრებულ ყურადღებას საფრანგეთის პოზიცია და ინტერესები იმსახურებს. ეს, რა თქმა უნდა, გერმანიის პრიორიტეტების მსგავსად, მოიცავდა ერთიანი ბაზრის მთლიანობისა და „თამაშის თანაბარი პირობების“ უზრუნველყოფას (Schnapper, 2021). საფრანგეთი გერმანიასთან ერთად არის ევროკავშირის დე ფაქტო მეორე ან თუნდაც თანა-ლიდერი სახელმწიფო და, შესაბამისად, ევროკავშირის ინტერესები და პრესტიჟი თანაბრად მნიშვნელოვანია მისთვისაც, უფრო მეტად მნიშვნელოვანაც თუ არა, რადგან საფრანგეთის საგარეო პოლიტიკა და იდენტობა საერთაშორისო ასპარეზზე უფრო ძლიერი ევროკავშირის, როგორც ავტონომიური ძალაუფლების ცენტრის, ადვოკატირებაზეა დაფუძნებული. აქედან გამომდინარე, საფრანგეთისთვის მთავარი იყო იმის უზრუნველყოფა, რომ ევროკავშირი მოლაპარაკებებიდან გამოსულიყო, როგორც გამარჯვებული და უფრო მჭიდროდ ინტეგრირებული ბლოკი. ამიტომ, გასაკვირი არაა, რომ საფრანგეთს მოლაპარაკებების პროცესში გაცილებით მტკიცე პოზიცია ჰქონდა, ვიდრე გერმანიას. მოქალაქეთა უფლებები დიდ ბრიტანეთში და თავისუფალი გადაადგილება ლა-მანშის გვირაბის კონტექსტში, ასევე, ძალიან მნიშვნელოვანი იყო საფრანგეთისთვის. გერმანიისა და ესპანეთის ანალოგიურად საფრანგეთს გაერთიანებულ სამეფოსთან სავაჭრო კავშირები საკმაოდ მაღალ დონეზე ჰქონდა (Schnapper, 2021). მნიშვნელოვანია, რომ თევზჭერის პოლიტიკა საფრანგეთისთვის, ასევე, ფუნდამენტური საკითხი იყო, კერძოდ, ფრანგი მეთევზეებისთვის გაერთიანებული სამეფოს წყლებზე წვდომის შენარჩუნება (აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვანი იყო სხვა სახელმწიფოებისთვის, როგორიცაა ნიდერლანდები, ირლანდია და დანია), თუმცა, დიდი ბრიტანეთი დაჟინებით მოითხოვდა მის წყლებზე წვდომაზე უფრო მეტი შეზღუდვის შემოღებას (Rankin, 2020). და ბოლოს, საფრანგეთს ასევე სურდა შეენარჩუნებინა და გაეძლიერებინა თანამშრომლობა გაერთიანებულ სამეფოსთან საგარეო, თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკაში (Schnapper, 2021).

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის 27-მა წევრმა სახელმწიფომ თავიანთი ინტერესების დაახლოება და გაერთიანება მოახერხა (რაც ახსნაშიც ლიბერალური ინტერგავრემენტალიზმის გამოყენებით ქვემოთ იქნება ახსნილი), მაშინ როდესაც დიდი უთანხმოება იყო ბრიტანეთის მთავრობაში. მაგალითად, ენ. „ჩექერსის (Chequers) გეგმის“ გამოქვეყნებამ მინისტრთა კაბინეტში გახმაურებული გადადგომები გამოიწვია. ასევე, აღნიშნული გეგმა უარყო ევროკავშირმაც, რადგან ის ერთიანი ბაზრის მთლიანობას არღვევდა და ბრიტანეთი ირჩევდა, ევროკავშირის ოთხი თავისუფლებიდან რომლებში მიიღებდა მონაწილეობას (Powell, 2018). გეგმა ითვალისწინებდა „ყველა საქონლისთვის საერთო წესების“ შენარჩუნებას, რაც უზრუნველყოფდა თანაბარ სათამაშო პირობებს, ერთობლივი იურისდიქციის ჩამოყალიბებას ECJ-ისგან თავის დასაღწევად (დიდი ბრიტანეთში არსებული შემთხვევები დიდი ბრიტანეთის სასამართლოებში წავიდოდა, ხოლო ევროკავშირის შემთხვევები – ევროკავშირის სასამართლოებში) და „გაერთიანებული საბაჟო ტერიტორიის“ (combined customs territory) შექმნას, სადაც შიდა და ევროკავშირის ბაზრისათვის განკუთვნილ საქონელზე სხვადასხვა ტარიფები დაწესდებოდა, როგორც საშუალება, ერთდროულად შენარჩუნებულიყო ევროკავშირთან არსებული სავაჭრო კავშირები და ასევე, ბრიტანეთს თავისუფალი ვაჭრობის ახალ შეთანხმებებზე ხელმოწერის საშუალება ჰქონოდა; გეგმა, ასევე, აუქმებდა ადამიანთა თავისუფალ გადაადგილებას და წყვეტდა ევროკავშირის ბიუჯეტში წლიურ გადასახადებს (BBC, 2018a).

გასვლის შეთანხმებისა და პოლიტიკური დეკლარაციის შესახებ პირველი შეთანხმება 2018 წელს იქნა მიღწეული. შეთანხმების თანახმად, „განქორწინების გადასახადი“, რაც დიდ ბრიტანეთს უნდა გადაეხადა, £39 მილიარდი იყო. დიდი ბრიტანეთი, ასევე, უზრუნველყოფდა მოქალაქეთა უფლებებს და ჩრდილოეთ ირლანდიის „ბექსტოფის“ (backstop) მექანიზმს (აღნიშნული გულისხმობდა იმას, რომ ჩრდილოეთ ირლანდია საერთო ბაზარში ისევ რჩებოდა, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული მყარი საზღვარი და გაერთიანებული სამეფო კვლავ რჩებოდა ევროკავშირის საბაჟო ტერიტორიაში,

რათა დიდ ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიას შორის საბაჟო კონტროლი არ ყოფილიყო (BBC, 2018b). შეთანხმდა, რომ „ბექსთოფის“ მექანიზმი იმოქმედებდა, სანამ შემდგომი შეთანხმება მიიღწეოდა, რომელიც ირლანდიასა და ჩრდილოეთ ირლანდიას შორის მყარი საზღვრის თავიდან ასარიდებლად საბაჟო კავშირში ყოფნის საჭიროებას გააქრობდა; „ბექსთოფის“ მექანიზმი ძალაში რჩებოდა, სანამ ევროკავშირი არ გადაწყვეტდა, რომ მისი გაუქმების მოთხოვნები დაკმაყოფილებული იყო. თუმცა ტერეზა მეის მიერ ევროკავშირთან მოლაპარაკებული შეთანხმება 2018 წელს თემთა პალატის მიერ რამდენჯერმე იქნა უარყოფილი (BBC, 2018c). მეის მცდელობა 2019 წელს, რომ პარლამენტი გარკვეულწილად შეცვლილი პოლიტიკური დეკლარაციის ხარჯზე დაეთანხმებინა, ასევე, წარუმატებელი იყო. მეტიც, აღნიშნული მცდელობის შედეგი მხოლოდ ბრიტანეთის მთავრობის დამცირება იყო, რადგან მთავრობის მიერ თემთა პალატისთვის წარდგენილი შეთავაზებები დეპუტატებმა რამდენჯერმე უარყვეს (BBC, 2019b). შედეგად, მეი იძულებული გახდა ბრექსიტის მოლაპარაკებებისთვის დროის შემდგომი გახანგრძლივება ეთხოვა (Cooper, 2019), ხოლო მას შემდეგ რაც მისი შეთავაზებები პარლამენტარების უმრავლესობის მწვავე კრიტიკის საგანი გახდა, მეის გადადგომის მეტი გზა არ დარჩა (BBC, 2019c).

2019 წლის 24 ივლისს ბორის ჯონსონი გაერთიანებული სამეფოს ახალი პრემიერ-მინისტრი გახდა და მან პრემიერობა ევროკავშირისათვის პოზიციის შეცვლის მოთხოვნით დაიწყო. ევროკავშირი აცხადებდა, რომ ის ცვლილებების შეტანას მხოლოდ პოლიტიკურ დეკლარაციაში განიხილავდა, რომელიც მომავალ ურთიერთობებს ეხებოდა, მაგრამ არა – გასვლის შეთანხმებაში, მაშინ როდესაც ჯონსონს გასვლის შეთანხმების თავიდან მოლაპარაკებაც სურდა. ამისთვის იგი მოლაპარაკებებში არც ე.წ. „მშიშარას თამაშს“ (chicken game) მოერიდა და ევროკავშირის მიერ კომპრომისზე წაუსვლელობის შემთხვევაში კატასტროფული „შეთანხმების გარეშე სცენარის“ განხორციელებას აპირებდა, რაც მძიმედ დააზარალებდა გაერთიანებულ სამეფოს, თუმცა, ევროკავშირიც დაზიანდებოდა (BBC, 2019d). ეს სტრატეგია გარკვეულ დონეზე წარმატებული აღმოჩნდა და მხარეებმა მოილაპარაკეს შეთანხმება, რომელიც აღარ მოიცავდა ყველაზე საკამათო საკითხს – „ბექსთოფის“ მექანიზმს. ახალი შეთანხმების მიხედვით, მთლიანი გაერთიანებული სამეფო ტოვებდა საბაჟო კავშირს, რითაც სხვა სახელმწიფოებთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების გაფორმების შესაძლებლობას იღებდა. ეს ამავდროულად ნიშნავდა, რომ ჩრდილოეთ ირლანდიასა და დიდ ბრიტანეთს შორის დე ფაქტო საბაჟო საზღვარი ჩნდებოდა, თუმცა, შემოწმებები არ მოხდებოდა „საზღვარზე“, არამედ „ჩრდილოეთ ირლანდიაში შესვლის წერტილებში“ (points of entry), სადაც ევროკავშირს შეეძლებოდა მისი წარმომადგენლების განლაგება, რომელთაც გარკვეული (არაპირდაპირი) ძალაუფლება ექნებოდათ. მეტიც, პროდუქტები, რომლებიც დიდი ბრიტანეთიდან ჩრდილოეთ ირლანდიაში შედიოდა და შეიცავდა რისკს, რომ ირლანდიაში მოხვდებოდა, იბეგრებოდა. თუმცა, პირადი ბარგი ან კერძო ადამიანების წაღებული ნივთები არ საჭიროებდა შემოწმებას. რათა ჩრდილოეთ ირლანდიის საზღვარზე საქონლის შემოწმება თავიდან ყოფილიყო აცილებული, ჩრდილოეთ ირლანდია უფრო მეტად ევროკავშირის სარეგულაციო სივრცეში რჩებოდა, ვიდრე გაერთიანებული სამეფოსაში. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის დამატებითი ღირებულების გადასახადი ჩრდილოეთ ირლანდიაზეც ვრცელდებოდა, თუმცა, მხოლოდ საქონელზე და არა სერვისებზე. ასევე, შეთანხმდა ტრანზიციის გარდამავალი პერიოდი 2020 წლის ბოლომდე, რათა შემდგომი ურთიერთობების მოლაპარაკების დრო ყოფილიყო. ახალი შეთანხმებით, გაერთიანებულ სამეფოში ევროკავშირის მოქალაქეთა და პირიქით, ევროკავშირში გაერთიანებული სამეფოს მოქალაქეების უფლებები, ბინადრობა და სოციალური უსაფრთხოების უფლება გარანტირებული იყო, თუმცა, გადაადგილების თავისუფლება მხოლოდ ტრანზიციის პერიოდის ბოლომდე გაგრძელდებოდა. ტრანზიციის პერიოდში გაერთიანებულ სამეფოს ევროკავშირის წევრობის გადასახადის გადახდაც დაევალა და ჯამში „განქორწინების გადასახადმა“ £32.8 მილიარდი შეადგინა – 6.2 მილიარდით ნაკლები, ვიდრე ეს მეის შეთანხმებით იყო გათვალისწინებული (BBC, 2019e).

მიუხედავად ევროკავშირთან შეთანხმების მიღწევისა, ჯონსონმა თემთა პალატის მხარდაჭერის მოპოვება ვერ უზრუნველყო და შეთანხმებამ პარლამენტის მხარდაჭერა ვერ მოიპოვა. ამის გამო ჯონსონმა სრულიად ანომალური და გასაოცარი ნაბიჯი გადადგა და პარლამენტის დაშლაც კი სცადა, რაც გაერთიანებული სამეფოს სასამართლომ უკანონოდ გამოაცხადა და შედეგად, პარლამენტმა ჯონსონი აიძულა, ბრექსიტის 31 ოქტომბრის ვადა გაეხანგრძლივებინა. საბოლოოდ, ჯონსონმა 2019 წლის დეკემბერში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება მოახერხა, რომელიც მან დიდი უპირატესობით მოიგო და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღო ბრექსიტის შეთანხმებამ პარლამენტის მხარდაჭერა (Sandford, 2022).

2020 წლის 31 იანვარს გაერთიანებულმა სამეფომ ევროკავშირი დატოვა. შემდგომ, გარკვეული დაძაბული მომენტების, მწვავე რიტორიკისა და კვლავ „შეთანხმების გარეშე სცენარზე“ საუბრის შემდეგ, მხარეებმა მომავალ ურთიერთობებზე შეთანხმებას – ევროკავშირისა და გაერთიანებული სამეფოს ვაჭრობისა და თანამშრომლობის (EU-UK Trade and Cooperation Agreement) შეთანხმება – ზუსტად ტრანზიციის პერიოდის დასრულებამდე, 30 დეკემბერს, მოაწერეს ხელი (Sandford, 2022). ვაჭრობისა და თანამშრომლობის შეთანხმების თანახმად, საქონელზე ტარიფები და კვოტები არ დაწესდება, მაგრამ შემოღებულ იქნება უსაფრთხოების შემოწმებები, საბაჟო დეკლარაციები და გარკვეული შეზღუდვები გაერთიანებული სამეფოს ცხოველური წარმოშობის პროდუქტებზე, რაც აშკარად უარყოფითად იმოქმედებს ორ მხარეს შორის ვაჭრობაზე. რაც შეეხება მომსახურებასა და კვალიფიკაციას, ამოღებულია ავტომატური აღიარება და წვდომის უფლება. მოკლევადიანი ვიზიტების გარდა (180 დღეში 90 დღე) სავალდებულო გახდა ვიზის აღება. რთული აღმოჩნდა შეთანხმების მიღწევა თევზჭერის საკითხზე – ევროკავშირმა ბრიტანეთის წყლებზე გარკვეული წვდომა შეინარჩუნა, მაგრამ გაერთიანებული სამეფო საკუთარ წყალში თევზჭერიდან თანდათანობით უფრო მეტ წილს მიიღებს და შეუძლია 2026 წლიდან მის წყლებში ევროკავშირის სათევზაო ნავეები მთლიანად აკრძალოს, თუმცა, ევროკავშირი ამას ბრიტანული თევზის დაბეგვრით უპასუხებს. აღნიშნული ზომებით განსაკუთრებით უკმაყოფილო ბრიტანელი მეთევზეები დარჩნენ. გაერთიანებულმა სამეფომ მოახერხა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს უფლებამოსილებიდან გასვლა, მაგრამ ECJ-მ ჩრდილოეთ ირლანდიაში მიიღო როლი. გაერთიანებულმა სამეფომ, ასევე, დაკარგა ავტომატური წვდომა ევროკავშირის უსაფრთხოების მონაცემთა ბაზებზე (Edgington, 2020).

ასევე, ესპანეთმა და დიდმა ბრიტანეთმა გიბრალტართან დაკავშირებით ცალკე შეთანხმება გააფორმეს, რომლის მიხედვითაც, გიბრალტარი ევროკავშირის შენგენის ზონას შეუერთდებოდა და მისი აეროპორტები და პორტები ესპანეთის პასუხისმგებლობის ქვეშ შენგენის ზონაში შესვლის პუნქტები გახდებოდნენ. სასაზღვრო კონტროლის პასუხისმგებლობა ევროკავშირის სააგენტო Frontex-ს გადაეცა. ასევე, გარანტირებული იყო საქონლის გადაადგილება და „თამაშის თანაბარი პირობები“ (El Pais, 2021).

ანალიზი

¹⁰ კულტურული მრავალფეროვნების საერთაშორისო ფონდი (IFCD) მრავალდონორიანი ფონდია, რომელიც დაფუძნდა კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის 2005 წლის კონვენციის მე-18 მუხლის ფარგლებში. მისი მიზანია 2005 წლის კონვენციის მონაწილე განვითარებად ქვეყნებში მდგრადი განვითარებისა და სიღარიბის შემცირების ხელშეწყობა. (რა არის IFCD?, IFCD – ის ვებგვერდი).

კლასიფიკაციას გამომდინარე იქიდან, რომ ორივე კვლევისთვის შერჩეული ქვეყნის კლასიფიკაცია ითვალისწინებს აღნიშნულ მოდელს. ასევე, კლასიფიკაციები შესაძლებელია შეიცვალოს მათი კონკრეტულ ქვეყანაზე მორგების დროს ადგილობრივ თავისებურებებთან შესაბამისობაში (ინტერვიუ ელენე თოიძესთან¹¹; ინტერვიუ ევა ლიმეტთან¹²).

ურთიერთობა ევროკავშირსა და საქართველოს შორის შემოქმედებითი ინდუსტრიების კუთხით

1991-92 წლებიდან, საბჭოთა კავშირის კოლაფსისა და საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის ხელახლა მოპოვების შემდეგ, ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობა ღრმავდება და ძლიერდება (Chronology of major events of EU-Georgia Cooperation, Georgian Ministry of Foreign Affairs website). მას შემდეგ ურთიერთობა გაძლიერდა სხვადასხვა მნიშვნელოვანი მიღწევების საფუძველზე მხარეებს შორის უფრო ახლო თანამშრომლობის მიზნით. აუცილებელია, რომ ასოცირების ხელშეკრულება ევროკავშირსა და საქართველოს შორის განვიხილოთ ევროკავშირის მიმართ საქართველოს ვალდებულებების გათვალისწინებით, რომელიც ძალაში შევიდა 2016 წელს და საქართველოსთვის სხვადასხვა სექტორის დაფინანსებისა და განვითარების მთელი რიგი ახალი შესაძლებლობები შექმნა (Chronology of major events of EU-Georgia Cooperation, Georgian Ministry of Foreign Affairs website). ასოცირების ხელშეკრულების შემდეგი თავები განსაკუთრებით საყურადღებოა სექტორთან მიმართებით – თავი 9 – ინტელექტუალური საკუთრების უფლებები; თავი 17 – კულტურულ სფეროში თანამშრომლობა და თავი 18 – აუდიოვიზუალურ და მედია სფეროებში თანამშრომლობა (AA, Official Journal of the European Union, 2014).

ასოცირების ხელშეკრულების მთავარი მიზნები დაკავშირებულია ქვეყნის პოლიტიკურ ასოცირებასთან და ეკონომიკურ ინტეგრაციასთან ევროკავშირთან. შეთანხმება ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ აქტივობებს მისი სრული პოტენციალის გამოსაყენებლად და ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებისთვის (Article 1, Objectives, AA, Official Journal of the European Union, 2014). შემოქმედებითი ეკონომიკა ესადაგება საქართველოს ეკონომიკური სისტემის გაძლიერების მიზანს, სადაც კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიები დიდ როლს თამაშობენ. კულტურასა და ევროკავშირის ხელშეწყობასთან დაკავშირებული საკითხები ასახულია ასოცირების ხელშეკრულების მე-17 თავში (თანამშრომლობა კულტურის სფეროში) (AA, Official Journal of the European Union, 2014). მუხლი 362 მოიხილავს თანამშრომლობას კულტურის სფეროში UNESCO – ს 2005 წლის კულტურული გამოხატულებების მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის კონვენციის იდეოლოგიის საფუძველზე (Article 362, Chapter 17 – Cooperation in the Cultural Field, AA, Official Journal of the European Union, 2014). აუდიოვიზუალურ და მედიის სფეროში თანამშრომლობას ცალკე თავი ეთმობა (Article 365, Chapter 18 – Cooperation in the audiovisual and media fields, AA, Official Journal of the European Union).

ასოცირების ხელშეკრულების მე-17 და მე-18 თავების გარდა, რელევანტურია მე-9 თავის განხილვა, რომელიც ეხება ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს (AA, Official Journal of the European Union, 2014). აღნიშნული თავის მთავარი მიზნებია, რომ: “(ა) ხელი შეუწყოს მხარეებს შორის ინოვაციური და შემოქმედებითი პროდუქციის წარმოებასა და კომერციალიზაციას; და (ბ) მიაღწიოს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვისა და გაძლიერების ადეკვატურ და ეფექტურ დონეს” [Article 150, Chapter 9 – Intellectual Property Rights, AA, Official Journal of the European Union, 2014]. ასოცირების ხელშეკრულება მხარეებს ავალდებულებს, რომ ეფექტურად განახორციელონ ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული საერთაშორისო ხელშეკრულებები, როგორცაა: ‘მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ’ (TRIPS Agreement)¹³, 1967 წლის პარიზის კონვენცია ინდუსტრიული საკუთრების

¹¹ შემოქმედებითი საქართველოს შემოქმედებითი ინდუსტრიების განყოფილების უფროსი (ჩვენ შესახებ – ჩვენი გუნდი, შემოქმედებითი საქართველოს ვებგვერდი)

¹² შემოქმედებითი ესტონეთის ადმინისტრაციული დირექტორი (ინტერვიუ ევა ლიმეტთან)

¹³ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ (TRIPS) ყველაზე ყოველისმომცველი მრავალმხრივი შეთანხმებაა ინტელექტუალური საკუთრების შესახებ. ის მთავარ როლს თამაშობს ცოდნითა და შემოქმედებითობით ვაჭრობის ხელშეწყობაში, ინტელექტუალური საკუთრების შესახებ დავის გადაწყვეტაში, და WTO – ს წევრების სამინაო პოლიტიკის მიზნების მიღწევისას თავისუფლების უზრუნველყოფაში. [ინტელექტუალური საკუთრება, WTO – ს ვებგვერდი];

დაცვის შესახებ (Paris Convention)¹⁴ და სხვა ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სფეროში არსებული საერთაშორისო ხელშეკრულებები (Article 151, Chapter 9 – Intellectual Property Rights, AA, Official Journal of the European Union, 2014).

ასოცირების ხელშეკრულება მოიცავს ხუთი ტიპის ინტელექტუალური საკუთრების უფლებას და აღწერს სფეროსთან დაკავშირებულ სტანდარტებს. ინტელექტუალური საკუთრების უფლებებია: საავტორო უფლება, სასაქონლო ნიშნები, დიზაინი, გეოგრაფიული აღნიშვნები, პატენტები (Chapter 9 – Intellectual Property Rights, AA, Official Journal of the European Union, 2014). ყველა მათგანი დაკავშირებულია კულტურულ და შემოქმედებით ინდუსტრიებთან, თუმცა, სხვადასხვა კუთხით და ისინი იცავენ კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების წარმომადგენლების უფლებებს. შესაბამისად, აღნიშნული თავი ძალიან მნიშვნელოვანია სექტორისთვის.

კვლევა დამატებით განიხილავს ევროკავშირის წვლილს შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების კუთხით სხვადასხვა პროგრამების საშუალებით. აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურული პროგრამის პირველი ფაზა ჩატარდა 2011-2014 წლებში. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 12 მილიონს და განკუთვნილი იყო აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვის (Eastern Partnership Culture Programme, EU neighbours website). პროგრამა – ‘კულტურა და კრეატიულობა’ კი განხორციელდა 2015-2018 წლებში და ამ წლების განმავლობაში მრავალმხრივ დაეხმარა საქართველოს, როგორც სამთავრობო და პოლიტიკის დონეზე, ასევე, კულტურული და შემოქმედებით ინდუსტრიებს, ასევე, სფეროს წარმომადგენლებს. ბრიტანეთის საბჭოს ხელმძღვანელობით, მოლდოვის სორისის ფონდთან, გოეთეს ინსტიტუტთან და პოლონეთის კულტურის ეროვნულ ცენტრთან ერთად, პროგრამას ჰქონდა შთამბეჭდავი შედეგები (“EU-Eastern Partnership Culture and Creativity Programme”. British Council website).

თუ ვისაუბრებთ პროგრამის ზოგად და საერთო შედეგებზე აღმოსავლეთ პარტნიორობის ყველა ქვეყნისთვის, აუცილებელია ქვეყანაზე ორიენტირებული მეთოდის გამოყენება. მნიშვნელოვანია გარკვეული ღონისძიებების გამოყოფა, როგორცაა 2015 წლის აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორუმი, რომელიც ჩატარდა საქართველოში და თავი მოუყარა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნის კულტურის სფეროს 400 პროფესიონალს. ორ-დღიანი ფორუმი ჩატარდა საინტერესო დისკუსიებისა და საერთაშორისო წარმომადგენლების მოხსენებების საფუძველზე, მთავარი აქცენტი კი კულტურის მნიშვნელობა იყო ეკონომიკის სექტორისთვის.

შესაბამისად, ჩატარებული ფორუმი მნიშვნელოვანი იყო სექტორის შესახებ ცნობიერების ამაღლებისთვის და ინფორმაციის გავრცელებისთვის ფორუმის სხვადასხვა მონაწილეების (სამთავრობო, შემოქმედებითი ინდუსტრიების წარმომადგენლები, ა.შ.) დახმარებით. ამას გარდა, პროგრამის ფარგლებში კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების და მათი განვითარების საკითხებზე სხვადასხვა ანგარიშები გამოქვეყნდა, როგორცაა ‘საშემსრულებლო ხელოვნების სექტორის განვითარება საქართველოში’- იულია პოპოვიჩის 2017 წლის ანგარიში, რომელიც საშემსრულებლო ხელოვნებას განიხილავს კინისიანი სამი სექტორის მოდელის საფუძველზე საჯარო, შუამავალ და საჯარო სექტორების ჩათვლით (Popovici, 2017). ანგარიში მიმოიხილავს სამი ქვეყნის – ესტონეთის, პოლონეთისა და სლოვენის მაგალითებს შედარებითი ანალიზისთვის, რაც საყურადღებოა აღნიშნული კვლევისთვის. თუმცა, ანგარიში ეხება მხოლოდ საშემსრულებლო ხელოვნების სექტორს და არა სრულად შემოქმედებით ინდუსტრიებს. ამასთან ერთად, გამოიცა კრისტინა ფარინას ანგარიში ‘კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარება საქართველოში’, რომელიც შეეხო ისეთ საკითხებს, როგორცაა კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების სექტორის მნიშვნელობა ევროკავშირისთვის. ანგარიში ყურადღებას ამახვილებს იმ სფეროებზე, რომელშიც ევროკავშირის მიხედვით მნიშვნელოვანია შემოქმედებითი ინდუსტრიები, მათ შორის: შემოქმედებითი ინდუსტრიების მენისტრიმად ქცევა ევროკავშირის სტრატეგიულ დღის წესრიგში ფართო ევროპული პოლისტიკური ეკოსისტემის გაძლიერებისთვის – კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების სექტორის გაეროს 2030 წლის მდგრადი განვითარების მიზნების¹⁵ მთავარ მამოძრავებელ ძალად ქცევა; ანგა-

¹⁴ 1883 წლის სამრეწველო საკუთრებას დაცვის პარიზის კონვენცია ყველაზე ფართო გაგებით განიხილავს და მოიცავს პატენტებს, სასაქონლო ნიშნებს, სამრეწველო ნიმუშებს, სასარგებლო მოდელებს, მომსახურების ნიშნებს, საფირმო სახელწოდებებს, წარმოშობის აღნიშვნებს და არასამართლიანი კონკურენციის რეპრესიას [სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია, WIPO – ს ვებგვერდი].

¹⁵ გაეროს მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგი პირველად აღიარებს კულტურის, შემოქმედებითობის, და კულტურული მრავალფეროვნების არსებით როლს განვითარების ეკონომიკური და სოციალური ასპექტების დარეგულირებაში, ეკონომიკური ზრდისა და სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობაში. 2030 წლის დღის წესრიგი მოიცავს 17 მდგრადი განვითარების მიზანს, რომელიც მიღებულია ქვეყნების მიერ სიღარიბის დასასრულებ-

რიში, ასევე, მოიცავს ძალიან გამოსადეგ და ღირებულ ინფორმაციას კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების სტადიის, გამოწვევებისა და მათი გადაჭრის გზების შეფასების შესახებ – სექტორის განვითარებაზე რეკომენდაციების გაცემის/უზრუნველყოფის გზით (Farinha, 2017). ზემოთხსენებულ ანგარიშებთან ერთად, აუცილებელია აღინიშნოს ლია გილარდის მიერ გამოცემული სახელმძღვანელო მეფინგისა და სტრატეგიის შემუშავების კუთხით შემოქმედებითი ქალაქებისა და რეგიონებისთვის, რომელიც ხაზს უსვამს კულტურული და შემოქმედებითი რესურსების მაქსიმალურად ეფექტურად გამოყენების მნიშვნელობას. თუმცა, ანგარიში ძირითადად განიხილავს „თემის იდენტობისა და ადგილის სულის/გრძნობის არამარტერიალურ ელემენტებს“ (Ghilardi, 2017). მაშინ, როცა ის მოიაზრებდა კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების თორმეტივე სექტორის გაანალიზებას: რეკლამირება, არქიტექტურა, გადმოცემა და მედია, რენვა, დიზაინი, გასართობი IT, ფილმი და ვიდეო, კულტურული მემკვიდრეობა, ლიტერატურა და ბეჭდვა, მუსიკა, საშემსრულებლო ხელოვნება და ვიზუალური ხელოვნება.

ესტონეთი და კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიები

ესტონეთის კულტურის სამინისტროს ინფორმაციის მიხედვით, შემოქმედებითი ეკონომიკის სერიოზულად გააზრება ესტონეთში და ევროპის სხვა ქვეყნებში დაიწყო 2000-იანი წლებიდან (Creative Economy, Republic of Estonia Ministry of Culture website, 2020). პირველი საკითხი, რაც განიხილება არის ურთიერთმიმართება ეკონომიკასა და შემოქმედებითობას შორის:

შემოქმედებითი ინდუსტრია წარმოადგენს ინდივიდუალურ და კოლექტიურ შემოქმედებითობაზე, უნარებსა და ნიჭზე დაფუძნებულ ეკონომიკის სექტორს, რომელსაც შესაძლებლობა აქვს, ინტელექტუალური საკუთრების, როგორც მთავარი გასაყიდი პროდუქტის, – შემუშავებით და მისი გამოყენებით შექმნას კეთილდღეობა და, სადაც პროცესების ცენტრში შემოქმედებითი აზროვნება და შემოქმედებითი ადამიანები არიან [Creative Economy, Republic of Estonia Ministry of Culture website, 2020].

სექტორი ხელს უწყობს ესტონეთის განვითარების სხვადასხვა სფეროს და, როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე ვკითხულობთ, შემოქმედებითობა არამხოლოდ ეკონომიკურად აძლიერებს ქვეყანას, არამედ ის ხელს უწყობს „გარემოს, ცხოვრების ხარისხის, ინოვაციისა და კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებას... შედეგად, შემოქმედებითი ინდუსტრიები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ რეგიონალურ განვითარებაში, ტურიზმის სფეროში და სახელმწიფოს ექსპორტის შესაძლებლობების გაზრდაში“ [Creative Industries in Estonia, Republic of Estonia Ministry of Foreign Affairs, 2018].

ესტონეთმა დაიწყო კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების განსაზღვრების დადგენა, თუმცა, „შემოქმედებითი ინდუსტრიების სექტორის განსაზღვრა პირობითია, იცვლება დროის განმავლობაში და მნიშვნელობას იცვლის სხვადასხვა ქვეყნებსა და რეგიონებში“ [Creative Economy, Republic of Estonia Ministry of Culture website, 2020]. ამას მოყვა ძალიან მნიშვნელოვანი სტატისტიკური მონაცემების შეგროვება სფეროსა და მისი სექტორებისთვის. ესტონეთის შემოქმედებითი ინდუსტრიების პირველი რუკა შედგა 2005 წელს და ის ასახავდა სექტორის ეკონომიკურ წვლილს. აქტივობის შედეგად გამოვლინდა 10 სექტორი (Lassur, Tafel-Viia, Viia, 2010). საბოლოო რუკა შეიქმნა 2018 წელს და გამოვლინდა შემდეგი შედეგები – “შემოქმედებითი ინდუსტრიების სექტორის საერთო სრული შემოსავალი შეადგენს 1,481 მილიონ ევროს (მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 2,9%). 30,681 ადამიანი (დასაქმებული მოსახლეობის 4,8%) მუშაობს შემოქმედებითი ინდუსტრიების სექტორში. შემოქმედებითი ეკონომიკის სექტორში 9,098 კომპანია და ინსტიტუცია მუშაობს (კომპანიების 11,6%)“ [Creative Economy, Republic of Estonia Ministry of Culture website, 2020].

ამასობაში, შემოქმედებითი ინდუსტრიების კლასტერი და განვითარების ცენტრი – შემოქმედებითი ესტონეთი ჩამოყალიბდა 2009 წელს, „რომელიც ხელს უწყობს შემოქმედებითი ინდუსტრიების და შემოქმედებითი ბიზნესების განვითარებას ესტონეთში“ [Creative Estonia, Loov Eesti website]. ორგანი-

ლად, პლანეტის დასაცავად, და საყოველთაო კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. IFCD, როგორც კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის იუნესკოს 2005 წლის კონვენციის სტრატეგიული ინსტრუმენტი, იქნება უმნიშვნელოვანესი განვითარების ახალი დღის წესრიგის განხორციელებისას. IFCD დაფინანსებული პროექტების საშუალებით შემოქმედებას მოახდენს მდგრადი განვითარების მინიმუმ 11 მიზანზე (IFCD და გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები, იუნესკოს კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების ვებგვერდი)

ზაციას დიდი წვლილი მიუძღვის სექტორის განვითარებაში. დროთა განმავლობაში, მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩამოყალიბდა სხვადასხვა რეგიონული და სექტორული განვითარების ცენტრები ისევე, როგორც შემოქმედებითი ინკუბატორები და ბიზნეს აქსელერატორები. (Creative Economy, Republic of Estonia Ministry of Culture website, 2020).

ევროკავშირი მხარს უჭერს კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარებას წევრ ქვეყნებში, ესტონეთის ჩათვლით. ტრანსნაციონალურ ანგარიშში 'ევროპულ დონეზე კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების პოლიტიკის შესახებ', ვკითხულობთ: „როცა ვსაუბრობთ კულტურულ და შემოქმედებით ინდუსტრიებზე ევროპაში, უნდა გავითვალისწინოთ, რომ კულტურული და შემოქმედებითი სექტორები ევროპაში შეადგენენ ევროკავშირის მშპ – ს 4,4% – ს, ისინი ქმნიან 12 მილიონ სამსახურს სრული განაკვეთით და მშპ – ზე დამატებულ 509 მილიარდ ევროს“ [Weber, Duarte, 2020]. ესტონეთს, გარდა იმისა, რომ შეუძლია ევროკავშირის სხვადასხვა დაფინანსების პროგრამაში მონაწილეობა, სექტორის განვითარებისთვის დამატებით იღებს ევროკავშირის სტრუქტურული ფონდის დახმარებას „2007-2013 წლების პერიოდში... ესტონეთს საშუალება მიეცა, მხარი დაეჭირა სექტორის ჰორიზონტალური განვითარებისთვის და განეხორციელებინა ღონისძიებები, რომლებიც აკმაყოფილებენ სხვადასხვა კვლევებში გამოვლენილ პოტენციალს“ [Realising the growing potential of cultural and creative industries (CCI), UNESCO periodic report Estonia, 2012].

შესაბამისად, სხვადასხვა გამოწვევის მიუხედავად, ესტონეთის კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიები ვითარდება 2000 წლიდან და შესაძლებლობას იძლევა, რომ განვიხილოთ, როგორც მისაბაძი მაგალითი საქართველოსთვის სფეროს გაძლიერების და ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოების გზაზე.

თეორიული ჩარჩო

კვლევის საფუძველს წარმოადგენს ორი თეორია – შემოქმედებითი ეკონომიკა და ევროპეიზაციის თეორია. შემოქმედებითი ეკონომიკის თეორიის ფარგლებში, ჯეისონ ფოთისისა და სტუარტ კუნინგჰემის (2008) თანახმად, არსებობს „შემოქმედებითი ინდუსტრიების ოთხი მოდელი“ კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების სექტორის პირდაპირი გავლენების განსასაზღვრად – თუ ვისაუბრებთ ეკონომიკასა და შემოქმედებითი ინდუსტრიებს შორის დინამიკურ ინტერაქციაზე/ურთიერთობაზე, შევხვდებით შემდეგ ოთხ მოდელს: კეთილდღეობის მოდელი (უარყოფითი გავლენა ეკონომიკაზე), კონკურენციის მოდელი (ნეიტრალური გავლენა), ზრდის მოდელი (დადებითი გავლენა), და ინოვაციური მოდელი (დადებითი გავლენა) (ფოთისი, კუნინგჰემი, 2008). თუმცა, ასევე, განხილულია სექტორის ირიბი გავლენა, ცნობილი როგორც, 'გადაღვრის ეფექტები' (spillover effects) (ცოდნა, ინდუსტრია, ქსელი), რომლებიც განხილულია ტომ ფლემინგის შემოქმედებითი კონსულტაციის (TFCC) მიერ 2015 წლის ანგარიშისთვის „კულტურული და შემოქმედებითი 'გადაღვრა' (spillovers) ევროპაში“ (TFCC, 2015).

კვლევისას, ასევე, გამოყენებულია ევროპეიზაციის თეორია, რომელიც ლადრეს განსაზღვრების მიხედვით, მოიაზრებს, რომ „ევროპეიზაცია თანდათანობით პროცესია, რომელიც თავიდან განსაზღვრავს პოლიტიკის მიმართულებასა და ფორმას იმ დონეზე, რომ ევროპული საზოგადოების პოლიტიკური და ეკონომიკური დინამიკები ხდება ეროვნული პოლიტიკისა და პოლიტიკის კეთების ორგანიზაციული ლოგიკის ნაწილი“ [Ladrech, 1994]. აღსანიშნავია, რომ „'ორგანიზაციულ ლოგიკაში' ავტორი მოიაზრებს 'ორგანიზაციების ცვლილების ან ცვალდებადი გარემოს მიმართ ადაპტაციურ პროცესებს'“ [Graziano, Vink, 2013]. მოგვიანებით, 2003 წელს, კლაუდიო მ. რადაელმა დამატებით მოიყვანა ლადრეს თავდაპირველ განსაზღვრებაზე დაფუძნებული განმარტება:

“ფორმალური წესების, პროცედურების, პოლიტიკის პარადიგმების, სტილების, „საქმის კეთების გზების“ და საერთო/გაზიარებული რწმენებისა და ნორმების შენების, გავრცელებისა და ინსტიტუციონალიზაციის პროცესები, რომლებიც თავდაპირველად განისაზღვრება და კონსოლიდირებულია ევროკავშირის გადაწყვეტების შემუშავებისას და შემდეგ გაერთიანებულია საშინაო დისკურსის, იდენტიტეტების, პოლიტიკური სტრუქტურებისა და საჯარო პოლიტიკის ლოგიკაში“ [Radaelli, 2003].

ამასთანავე, განხილულია ევროპეიზაციის შედეგად გამოწვეული საშინაო სტრუქტურული ცვლილება რიზეს და სხვების (2001) „სამი ნაბიჯის“ მიდგომის მიხედვით, რომელიც მოიზრებს ევროპეიზაციასა და 'თანხმობის კრიტერიუმებს' ('Goodness of Fit'), მედიაციურ ფაქტორებს – ინსტიტუტებსა და აქტორების სტრატეგიებს. ევროპეიზაციის პროცესები „...საჭიროებს გარკვეულ ცვლილებებს წევრი

ქვეყნების საშინაო/ადგილობრივ დონეზე ისე, რომ სახელმწიფოები იყვნენ ევროკავშირის ნორმებთან, წესებსა და პროცედურებთან თანხვედრაში“ [Risse et al., 2001]. შემდეგ ‘თანხმობის კრიტერიუმების’ („Goodness of fit“) კონცეფცია, რომელიც ზომავს ევროკავშირსა და წევრ სახელმწიფოებს შორის პოლიტიკების თანხვედრას, განიხილავს, რომ – „რაც უფრო დაბალია ევროპულსა და საშინაო პროცესებს, პოლიტიკებსა და ინსტიტუტებს შორის თანხვედრა, მით უფრო მაღალია ადაპტაციური ზენოლა“ [Börzel, Risse, 2003].

მეთოდოლოგია

კვლევა ჩატარდა დოკუმენტების ანალიზისა და ნახევრად-სტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუების საფუძველზე ექსპერტებთან. სულ ჩატარდა 10 ინტერვიუ ქართველ კულტურის სფეროს პროფესიონალებთან, ხოლო 5 ინტერვიუ ჩატარდა ესტონელ სფეროს ექსპერტებთან. კვლევა მოიაზრებდა ორი ქვეყნის – საქართველოსა და ესტონეთის კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების სისტემების განხილვას. ესტონეთი შეირჩა, როგორც ევროკავშირის წევრი ქვეყანა სხვადასხვა კრიტერიუმის საფუძველზე. მთავარი მიზეზები, რომლებმაც შესაძლებელი გახადა ორი ქვეყნის შედარება და გაამარტივა ესტონური სექტორის განვითარების მოდელის ადაპტაცია საქართველოზე, არის შემდეგი: – ორივეს, ესტონეთსა და საქართველოს ყავს მოსახლეობის მცირე რაოდენობა¹⁶; ორივე ყოფილი საბჭოთა კავშირის წევრ ქვეყნებს წარმოადგენს¹⁷; ესტონეთისა და საქართველოს მშპ ერთ სულ მოსახლეზე შედარებადია – ესტონეთი¹⁸, ევროკავშირის წევრობამდე¹⁹ და საქართველო²⁰ დღეს. დამატებით, ესტონეთი ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ქვეყანაა ევროკავშირში კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების სექტორში.

ქვეყნების მსგავსებისა და შედარების შესაძლებლობის გარდა, ესტონეთსა და საქართველოს მჭიდრო ურთიერთობა აქვთ სექტორის ფარგლებში და ესტონელი ექსპერტები/კულტურული პროფესიონალები მხარს უჭერენ ქართველებს სექტორის განვითარებაში ინფორმაციისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებით.

კვლევის მთავარი მიზანი იყო რეკომენდაციების გაცემა ქართული კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების სექტორისთვის ევროკავშირის წევრი ქვეყნის – ესტონური კულტურული და შემოქმედებითი სექტორის მოდელზე დაყრდნობით მისი სტრუქტურის, გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის საფუძველზე.

მიზნიდან გამომდინარე, სტატია პასუხობს შემდეგ კვლევის კითხვებს:

- რა მთავარი გამოწვევების წინაშე დგას საქართველო კულტურული და შემოქმედებითი სექტორის განვითარების კუთხით?
- რა განვითარების ეტაპები გაიარა ესტონურმა კულტურულმა და შემოქმედებითმა სექტორმა ევროკავშირში განწვრიანების შემდეგ?
- რა ზომები არის საჭირო ესტონური კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების მოდელის ადაპტაციისთვის ქართულ სისტემაზე?

საბოლოოდ, სიახლის სახით აღსანიშნავია, რომ ესტონურ გამოცდილებასა და საუკეთესო პრაქტიკებზე დაყრდნობით შემუშავებულია რეკომენდაციები ქართული შემოქმედებითი სექტორის განვითარებისა და უკეთესად ორგანიზებისთვის.

¹⁶ ესტონეთის მოსახლეობა – 1,327,082; საქართველოს მოსახლეობა – 3,984,488 (Worldometer: Live, Worldometer – ის ვებგვერდი)

¹⁷ ესტონეთი თავისი ისტორიის დიდი ნაწილის განმავლობაში დომინირებული იყო უცხო ძალების მიერ. 1940 წელს კი შეუერთდა საბჭოთა კავშირს, როგორც მისი ერთ-ერთი შემადგენელი რესპუბლიკა. ესტონეთი საბჭოთა კავშირის წევრი 1991 წლამდე იყო, სანამ სხვა ბალტიისპირეთის ქვეყნებთან ერთად დამოუკიდებლობა არ გამოაცხადა (ესტონეთი, Britannica, Britannica – ს ვებგვერდი); დამოუკიდებელი საქართველო არსებობდა 1918-1921 წლებში, შემდეგ კი, შეუერთდა საბჭოთა კავშირს. 1936 წელს საქართველო გახდა და წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის შემადგენელ რესპუბლიკას მის დაშლამდე. ...როგორც ერთ-ერთი ყველაზე დამოუკიდებლობის იდეით მოაზროვნე რესპუბლიკა, საქართველომ სუვერენიტეტი 1989 წლის 19 ნოემბერს, ხოლო დამოუკიდებლობა 1991 წლის 9 აპრილს გამოაცხადა (საქართველო, Britannica, Britannica – ს ვებგვერდი)

¹⁸ ესტონეთის მშპ ერთ სულ მოსახლეზე 2003 – 7,206.17 ამერიკული დოლარი (Data Commons ვებგვერდი)

¹⁹ ევროკავშირის წევრი ქვეყანა: 2004 წლის 1 მაისიდან (ევროკავშირის ვებგვერდი)

²⁰ საქართველოს მშპ ერთ სულ მოსახლეზე 2019 – 4,697.70 ამერიკული დოლარი (მსოფლიო ბანკის ვებგვერდი)

მთავარი მიგნებები

პირველი საკვლევი კითხვა მოიაზრებდა საქართველოს კულტურული და შემოქმედებითი სექტორის შეფასებას და მისი განვითარების მთავარი გამოწვევების გამოვლენას. ნაშრომი იწყება ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობის განხილვით, რაც განვითარდა და გაძლიერდა თანამშრომლობის დაწყების შემდეგ 1991-1992 წლებში. შესაბამისად, ხელშეწყობისა და დაფინანსების შესაძლებლობები სექტორში გამრავლდა და მოიცავს აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურის პროგრამებს, შემოქმედებითი ევროპის პროგრამას და ა.შ. აღმოსავლეთ პარტნიორობის შეთანხმების ფარგლებში 2015-2018 წლის ფარგლებში ჩატარებულმა ევროკავშირის კულტურის პროგრამამ მრავალმხრივი კონსულტაციებისა და სხვადასხვა მიმართულებით ჩატარებული ექსპერტიზის წყალობით ახალი მნიშვნელოვანი ცოდნა შემოიტანა ქვეყანაში, თუმცა, გამოვლინდა გარკვეული სუსტი მხარეებიც. კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა პროგრამის მთავარი პირდაპირი და ირიბი დადებითი გავლენები. პირდაპირი გავლენები მოიცავს შემდეგს: 2015 წლის აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორუმის საშუალებით ცნობიერების ამაღლება საზოგადოების სხვადასხვა დონეზე; ანგარიშები კონკრეტულ კულტურულ და შემოქმედებით ინდუსტრიებზე (მაგ. საშემსრულებლო ხელოვნება იულია პოპოვიჩის დოკუმენტში) (Popovici, 2017); ანგარიში კულტურული და შემოქმედებითი სექტორის განვითარების საკითხებზე, (როგორცაა კრისტინა ფარინას საქართველოს კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების ანალიზი) (Farinha, 2017); ანგარიში მეფინგის საკითხებზე არამატერიალურ ელემენტებზე ფოკუსით (Ghildardi, 2017), ანგარიშები სტატისტიკებთან დაკავშირებით; UNESCO – ს კულტურა, როგორც განვითარების ინდიკატორი, რომელიც შეიმუშავა საქართველოს ეკონომიკურმა ჯგუფმა ISET პოლიტიკის ინსტიტუტთან თანამშრომლობით (შემუშავებულია 2017 წელს), ა.შ. დამატებით, პროგრამას ქონდა ირიბი შედეგები, როგორცაა: კულტურის სტრატეგია 2025 ის შემუშავება; შემოქმედებითი საქართველოს დაარსება, და სხვ.

ქართული სისტემის კულტურული და შემოქმედებითი სექტორის გამოწვევები უნდა განვიხილოთ ზემოთხსენებული ინფორმაციის გათვალისწინებით. პროგრამის ფარგლებში შემუშავებული ანგარიშები ძალიან მნიშვნელოვანია სექტორის კონკრეტული სფეროებისთვის, როგორცაა საშემსრულებლო ხელოვნება ან რენჯის სექტორი. გამომდინარე აქედან, ისინი არ უზრუნველყოფენ სრულ და დასრულებულ ინფორმაციას მთლიან სისტემასთან დაკავშირებით. დამატებით, აღნიშნული დოკუმენტები არის უფრო ზოგადი და არ ითვალისწინებს ადგილობრივ სიტუაციას. ეს პრობლემა გამოწვეულია დოკუმენტების შემუშავების პროცესში ადგილობრივი პროფესიონალების ჩართულობის ნაკლებობით. ამასთანავე, 2025 წლის კულტურის სტრატეგიის დოკუმენტი, რომელიც შემუშავდა UNESCO – ს 2005 წლის კონვენციის საფუძველზე, არ არის სწორად სტრუქტურირებული და არც მისი სათანადოდ განხორციელება ხდება. აუცილებელია, რომ თითოეულ კულტურულ და შემოქმედებით ინდუსტრიის სფეროს ქონდეს თავისი სტრატეგია. ექსპერტთა უმრავლესობის თანახმად, 2025 წლის კულტურის სტრატეგიის განხორციელება არ ხდება მისი მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად.

შემდეგი მნიშვნელოვანი პრობლემა არის სტატისტიკა. მიუხედავად იმისა, რომ შემუშავდა რამდენიმე დოკუმენტი სტატისტიკური მონაცემების უზრუნველსაყოფად, ისინი ფრაგმენტირებულია და სრულ სურათს არ იძლევა. ამ კუთხით, ქართული ეკონომიკის ჯგუფი ISET პოლიტიკის ინსტიტუტთან თანამშრომლობით შემუშავებულ ანგარიშში ასახელებს კონკრეტულ რიცხვს: „გაზომვადი/დათვლადი შემოქმედებითი ინდუსტრიები – 11-დან 7...“, რაც კარგად ასახავს სიტუაციას. დამატებით, ტარდება სხვადასხვა აქტივობები, რომელიც შესაძლებელია მოვიაზროთ, როგორც ქვეყნის შემოქმედებითი ეკონომიკის ნაწილი. თუმცა, მათი დათვლა არ ხდება და, შესაბამისად, შეუძლებელია ზუსტი და სწორი მონაცემების შემუშავება იმ შემთხვევაში, თუ გვსურს კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების პირდაპირი და ირიბი გავლენების შეფასება.

ასევე, გამოიკვეთა სხვადასხვა სექტორებისთვის პრიორიტეტების მინიჭების შემთხვევები სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსების კუთხით კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარებასთან დაკავშირებით. როგორც ჩანს, შემოქმედებითი ეკონომიკის სფერო არ არის პრიორიტეტული მთავრობისთვის, რაც ისახება შემდეგ ნეგატიურ შედეგებში: პოლიტიკის დოკუმენტების ნაწილობრივ ან საერთოდ განუხორციელებლობა; ასევე, კულტურული პროფესიონალების რეკომენდაციების გაუთვალისწინებლობა პოლიტიკის ისეთ მნიშვნელოვან დოკუმენტებთან დაკავშირებით, როგორცაა 2025 წლის კულტურის სტრატეგია, UNESCO – ს 2005 წლის კონვენციის იმპლემენტაციის/ განხორციელების საკითხები; კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების სექტორის კომპეტე-

ნტური პროფესიონალების ან პროფესიონალთა ჯგუფის არ არსებობა სამინისტროებში ისეთ საკითხებზე სამუშაოდ, როგორცაა UNESCO – ს პერიოდული ანგარიშების მომზადება; მწირი დაფინანსება სექტორის განვითარებისთვის, შემოქმედებითი საქართველოსა და შემოქმედებითი ევროპის პროგრამის თანადაფინანსების სქემის ჩათვლით; “ანარმოე საქართველოს” პროგრამების ფარგლებში მხოლოდ გარკვეული ინდუსტრიების პრიორიტეზება, როგორცაა მოდა და ფილმი.

ამასთანავე, პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების წარმომადგენლებს არ აქვთ ინფორმაცია და შესაბამისად, აღქმა ეკონომიკისა და კულტურის სისტემებს შორის ურთიერთობის შესახებ. მათთვის ხელოვნებისა და კულტურის კომერციალიზაცია მიუღებელია, რაც გამოწვეულია ცნობიერების ნაკლებობისა და პოსტ-საბჭოური აზროვნების გამო.

შემდეგი საკითხი არის კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების ესტონური მოდელის განხილვა, რომელიც ეხება ესტონური მოდელის განვითარების ფაზებს. ესტონელი ექსპერტები აღნიშნავენ, რომ სექტორის მიმართ გამოწვევები საწყის ეტაპზე მეტ-ნაკლებად მსგავსია ხოლმე ყველა ქვეყნისთვის. განხილვის შედეგად დადგინდა, რომ პოლიტიკა საჭიროებდა ადაპტაციას კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების სექტორის შემდეგი მახასიათებლების შესაბამისად: შემოქმედებითი ბიზნესების მცირე ზომა, ინდივიდუალიზმი, ფრაგმენტაცია, პროექტებზე დაფუძნებული მუშაობის სტილი და ანაზღაურება, ა.შ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია პოლიტიკის ცვლილება და ადაპტაცია 21-ე საუკუნის სამსახურებისთვის (ინტერვიუ რაგნარ სიილთან).

ესტონური სისტემის განვითარების გზას თუ უფრო დეტალურად მივყვებით, პირველ ნაბიჯს წარმოადგენდა ცნობიერების ამაღლება კულტურული და სამეწარმეო ურთიერთობების შესახებ, მისი მნიშვნელობისა და ტერმინოლოგიის შემეცნების ჩათვლით. პირველი სამიზნე ჯგუფი იყო შემოქმედებითი საზოგადოება, რათა მათ ინფორმაცია მიეღოთ შემოქმედებითი მეწარმეობის შესახებ. ამაზე მნიშვნელოვან სამიზნე ჯგუფს კი შეადგენდნენ სტუდენტები და უნივერსიტეტები. ცნობიერების ამაღლების აქტივობები მოიცავდა თეატრალურ დადგმას შემოქმედებითი მეწარმეობის სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, მათ უდიდეს გამოწვევებზე, გუნდების შეკვრაზე, ადგილის მოძებნაზე, გაყიდვების აუდიტორიის მოძებნაზე და ა.შ. აღნიშნულ აქტივობას ჰქონდა როგორც ინფორმაციული, ასევე, გასართობი ხასიათი სტუდენტებისა და ლექტორებისთვის. ამასთანავე, ცნობიერების ამაღლების აქტივობები ტარდებოდა პოლიტიკის შემქმნელი უწყებებისთვის, მთავრობისა და სხვადასხვა სამინისტროებისთვის. არსებობდა პროგრამები და სემინარები, სასწავლო ვიზიტები სამინისტროებისთვის და პარლამენტისთვის გადაწყვეტილების მიღების პროცესების ხელშესაწყობად. ცნობიერების ამაღლების მსგავსი აქტივობები ტარდება რეგულარულად იმის გათვალისწინებით, რომ სხვადასხვა სამინისტროს წარმომადგენლები და პარლამენტარები იცვლებიან დროთა განმავლობაში. ასევე, მნიშვნელოვანია ცნობიერების ამაღლება ყველა რელევანტური უწყების დონეზე გამომდინარე იქიდან, რომ ერთი სპეციფიკური პოლიტიკა არ არსებობს კულტურული და შემოქმედებითი სექტორისთვის, რადგან ის უფრო მეტად ჰორიზონტალურია და სხვადასხვა პოლიტიკის დოკუმენტების ნაწილია, როგორცაა მაგალითად კულტურის პოლიტიკა, სამეწარმეო პოლიტიკა, ინოვაციის პოლიტიკა და სხვ.

ცნობიერების ამაღლების საკითხებთან ერთად, ერთ-ერთი პირველი აქტივობა იყო საწყისი წერილის და სექტორის განსაზღვრა, ე.წ. მეფინგის აქტივობების ჩატარება, რაც შესაძლებლობას იძლეოდა სრული სტატისტიკური მონაცემების მისაღებად ესტონური კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების კლასიფიკაციისთვის. ამგვარი მიდგომა ასახავს დიდი ბრიტანეთის მოდელს. მეფინგის დოკუმენტის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა კვლევითმა ინსტიტუტებმა, რომელსაც, ასევე, საფუძვლად უდევს სხვადასხვა მონაცემთა ბაზები. მეფინგის აქტივობა ტარდება ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ, რათა მონაცემები რეგულარულად განახლებული იყოს.

ზემოთხსენებულ აქტივობებთან ერთად, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების სექტორთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობის დაწყებისთვის იყო კულტურის სამინისტროში დეპარტამენტის დაარსება კონკრეტულად შემოქმედებითი ინდუსტრიების მიმართულებით. მსგავსი დეპარტამენტის შექმნამ ხელი შეუწყო და გაამარტივა სხვადასხვა მინისტრებისა და სამთავრობო უწყებების მრგვალ მაგიდასთან შეკრება, კულტურული და შემოქმედებითი სექტორის განვითარებასთან დაკავშირებით მათი საერთო დისკუსიაში ჩართვა. სხვადასხვა სამინისტროებს შორის თანამშრომლობა ერთ-ერთი მთავარი პირობაა დაგეგმილი აქტივობების წარმატებით განხორციელებისთვის. ეს კი შესაძლებელი გახდა შუამავალი აგენტის – “ანარმოე ესტონეთის” ძალისხმევით. ინიციატივა წამოვიდა კულტურის სამინისტროსგან, “ანარმოე ესტონეთს” კი

შეტყობინების ინტერპრეტაციის როლი ერგო. ამასთანავე, უმნიშვნელოვანესია კულტურის მინისტრის ხელშეწყობა კომუნიკაციის პროცესისა და სფეროსთან დაკავშირებული აქტივობების წარმატებით განხორციელებისთვის. შესაბამისად, მთავრობის წარმომადგენლების კეთილი ნება და მათი წვლილი თითოეული სამომავლო ნაბიჯის გადასადგმელად, გადამწყვეტია.

მომდევნო საკითხია განვითარების ცენტრის სისტემის შექმნა, რომელიც მჭიდროდ დაკავშირებულია ესტონეთთან და არ არსებობს ბევრ ევროკავშირის წევრ ქვეყანაში (ინტერვიუ ევა ლიმეტთან). თითქმის ყველა ქვე-სექტორს აქვს თავისი განვითარების ინსტიტუტები. განვითარების ცენტრის პროგრამა დაიწყო 2009 წელს და დღესდღეობითაც წარმატებით მუშაობს. ცენტრები გავს საბჭოთა კავშირის დროს არსებულ ასოციაციებსა და გაერთიანებებს. თუმცა, ცენტრებს განსხვავებული სტრუქტურები აქვთ. ისინი აერთიანებენ კონკრეტული სექტორის სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს და მუშაობენ ბიზნესისა და ექსპორტის განვითარებაზე: „ისინი ზრუნავენ სექტორის პროფესიულ განვითარებაზე, ხელს უწყობენ მას, ორგანიზებას უკეთებენ ტრენინგებს, კლასტერულ აქტივობებს, წერენ ანგარიშებს, ეწევიან სერვისის განვითარების საქმიანობას... ჩვენ მათთან ვთანამშრომლობთ შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების საკითხებზე“ [ინტერვიუ რაგნარ სილთან]. განვითარების ცენტრები წარმოადგენენ მთავარ საკონტაქტო პუნქტებს მთავრობისა და სხვა ორგანიზაციებს შორის კონკრეტულ სექტორთან დაკავშირებულ საკითხებზე. შესაბამისად, მიიჩნევა, რომ განვითარების ცენტრი არის ერთგვარი სამუშაო ჯგუფების ერთად თავმოყრის ადგილი, რომელიც მუშაობს თითოეულ სფეროზე ცალკე და შედგება სექტორში მოღვაწე მნიშვნელოვანი ორგანიზაციებისგან. კონკრეტული სექტორის კომპეტენციის ცენტრების დაარსების პროცესი ასე გამოიყურებოდა: „საჭირო იყო პარტნიორებისა და ორგანიზაციების არსებობა, რომლებიც დააგროვებდნენ ყველა ამ ცოდნას, რაც მივიღეთ განვითარების პროგრამების ან საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში“ [ინტერვიუ ანუ-მააია პალოკთან]. ისინი იწყებდნენ მათი მთავარი მიზნების შესწავლითა და ახალი კომპეტენციების განვითარების კუთხით საჭიროებების შეფასებით, რაც მათ შორის, მოიცავდა რესურსებს, ადამიანური რესურსების ჩათვლით, სხვადასხვა ქსელთან ხელმისაწვდომობას, საერთაშორისო თანამშრომლობას და სხვ. [ინტერვიუ ანუ-მააია პალოკთან]. შესაბამისად, მათ დაიწყეს თანამშრომლობა არსებულ კომპეტენციის ცენტრებთან, ხოლო ახალი კომპეტენციის ცენტრები ჩამოყალიბდა იმ სფეროებში, სადაც ის არ არსებობდა. მაგალითად, თამაშების ინდუსტრიაში ახალი ორგანიზაცია დაარსდა [ინტერვიუ ანუ-მააია პალოკთან]. შედეგად, ამჟამად არსებობს ინკუბატორები, კომპეტენციის ცენტრები, რეგიონალური განვითარების ცენტრები – და ყველა მათგანს აქვს სხვადასხვა ფუნქცია.

დასკვნა

კვლევის ერთ-ერთი დასკვნის სახით, ხაზი უნდა გაესვას ქართული კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების სისტემის გარკვეული მახასიათებლებს. სექტორის არასრულყოფილი განვითარების მთავარი მიზეზი არის ის ფაქტი, რომ სექტორი საქართველოს მთავრობისთვის არ არის პრიორიტეტული. ქვეყანაში არ არსებობს პოლიტიკური სურვილი კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების აღიარების და, შესაბამისად, არ არსებობს მის შესახებ ცოდნა/ცნობიერება, არც გაგების სურვილი. შედეგად, მთავრობა არ ითვალისწინებს სფეროს ექსპერტების რეკომენდაციებს პოლიტიკის საკითხებთან დაკავშირებით და მეტიც, პოლიტიკის დოკუმენტებში განსაზღვრული ზომების მიღება არ ხდება საჭირო/სწორი მეთოდით. აღნიშნული საკითხი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ერთ-ერთი ‘შეუსაბამობა’ (‘misfit’), რაც ქართული პოლიტიკისა და პროცესების ევროკავშირთან დაახლოებას უშლის ხელს, ხოლო ამ კვლევის მიზნებისთვის სახეზეა კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების წარმატებულ ესტონურ მოდელთან და მის სტანდარტებთან შეუსაბამობა. თუმცა, ასევე, გამოიკვეთა სხვა მნიშვნელოვანი საკითხები/‘შეუსაბამობები’ (‘misfits’), რომელიც ხელს უშლის სექტორის განვითარებას და გამომდინარეობს თავად კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების წარმომადგენლებისგან: ეს არის სეგმენტი, რომელსაც არ სურთ გაზრდა, თანამშრომლობა და უბრალოდ, ბიზნეს აქტივობაში ჩაბმა. შესაბამისად, სექტორის ეს მახასიათებელი, თავის მხრივ, ქმნის დიდ გამოწვევას. პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები მნიშვნელოვანია, თუმცა, არ წარმოადგენს ერთადერთ პრობლემას.

მეორე მხრივ, ესტონური მოდელის შესწავლისას, გამოვლინდა მისი კავშირი ‘ზრდის მოდელთან’ (Growth Model), რომელიც მოცემულია ამ კვლევის თეორიული ჩარჩოს ნაწილში და ეფუძნება ფოტოსისა და კუნიგჰემის 2008 წლის ნაშრომს. ზრდის მოდელი მოიაზრებს, რომ კულტურულ და შემოქმედე-

ბით სექტორს დადებითი გავლენა აქვს ქვეყნის ეკონომიკაზე, რაც ესტონელი ექსპერტების ინტერვიუს და მათ მიერ მოწოდებული სტატისტიკური მონაცემების ანალიზის შედეგად დადასტურდა. ამასთანავე, ზრდის მოდელი შემოქმედებით ინდუსტრიებს მიიჩნევს როგორც 'სპეციალურ სექტორს' (Potts, Cunningham, 2008). „მოდელი 3, შესაბამისად, განიხილავს, რომ შემოქმედებითი ინდუსტრიები კარგია ეკონომიკისთვის, რადგან ისინი აგენერირებენ ახალ იდეებს, რაც იწვევს ეკონომიკურ ზრდას“ [Potts, Cunningham, 2008]. ამგვარად, იმ შემთხვევაში, თუ ქართული კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების სისტემა ცვლილებას განიცდის ესტონური სექტორის განვითარების მოდელის მიხედვით, მისი კონტრიბუცია ქვეყნის ეკონომიკაში გაიზრდება. დამატებით, 'გადაღვრის ეფექტებიც' (Spillover effects) მოიმატებს. თანამშრომლობის ქსელისა და საერთაშორისი ურთიერთობების შედეგად, ცოდნისა და ინდუსტრიის 'გადაღვრის ეფექტები' (Spillover effects) გაძლიერდება. თუმცა, დადებითი ეფექტი უმეტესწილად დამოკიდებულია ქართული მხარის მიერ განხორციელებულ შესაბამის ადაპტაციურ ზომებზე.

საბოლოოდ, ესტონური მოდელის ადაპტაცია გააძლიერებს საქართველოსა და ევროკავშირის შორის ურთიერთობებს, შესაბამისად, ხელს შეუწყობს ქვეყნის ევროპეიზაციის პროცესს. კვლევა ნათელს ჰფენს, რომ ევროკავშირი იყენებს სოციალიზაციის პირდაპირ მექანიზმს თავისი აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურული პროგრამების საშუალებით. საქართველოს დარწმუნებისთვის, რომ კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების სექტორი მნიშვნელოვანია, ევროკავშირი უზრუნველყოფს სპეციფიკურ პროგრამებს, რომლებიც მნიშვნელოვნად ეხმარება ქართულ კულტურულ და შემოქმედებით სექტორს განვითარებაში. და შიმელფენიგის (2012) მიხედვით, სოციალიზაციის მექანიზმი მუშაობს უკეთესად „...მაშინ, როდესაც გარე აქტორები ახალ და არამდგრად გარემოში არიან...“ – ეს მდგომარეობა ნაცნობია საქართველოსთვის კულტურული პროგრამა II – ის განხორციელებამდე 2015-2018 წლებში. თუმცა, ევროპეიზაციის პროცესი შემოქმედებითი ინდუსტრიების სფეროში ისევე ფრაგმენტულია, როგორც თავად სექტორი.

ამასთანავე, ევროპეიზაცია „...საჭიროებს გარკვეულ ცვლილებებს წევრი ქვეყნების საშინაო დონეზე ისე, რომ სახელმწიფოებს შეეძლოთ ევროკავშირის ნორმებთან, წესებთან და პროცედურებთან თანხვედრაში ყოფნა“ [Risse et al., 2001]. შემდეგ 'თანხმობის კრიტერიუმის' („Goodness of fit“) კონცეფცია, რომელიც ზომავს ევროკავშირისა და წევრი სახელმწიფოების პოლიტიკებს შორის თანხვედრას, განიხილავს, რომ „რაც უფრო ნაკლებია თანხვედრა ევროპულსა და საშინაო პროცესებს, პოლიტიკასა და ინსტიტუტებს შორის, მით უფრო მეტია ადაპტაციური ზენოლა“ [Börzel, Risse, 2003]. როგორც კვლევის ფარგლებში გამოვლინდა, ესტონურ და ქართულ კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების მოდელებს შორის არის გარკვეული 'შუსაბამობები' ('misfits'). შესაბამისად, ევროკავშირისა და კონკრეტულად ესტონეთის მიერ სექტორის მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანია. განსაკუთრებით კი მაშინ, როცა შემოქმედებითი სექტორი ევროკავშირისა და UNESCO – ს ღირებულებებს შორის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს და, ასევე, მოიაზრება გაეროს მდგრადი განვითარების თითქმის ყველა მიზნის ქვეშ.

ევა ლიმეტის თანახმად, სექტორის ფარგლებში თანამშრომლობა ევროპეიზაციის პროცესის ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალაა: „გამომდინარე იქიდან, რომ საქართველო არის ეგრეთ წოდებული მეგობარი ქვეყანა ესტონეთისთვის, ჩვენ მოხარული ვართ, რომ დავეხმაროთ მას ევროპული სტანდარტების მიღწევაში და, საბოლოოდ, ევროკავშირის წევრი ქვეყნის სტატუსის მიღებაში. როგორც ჩვენ გავაკეთეთ ადრე და ვიცით, ახლა დროა, რომ ხელი შევიწყობთ ამ პროცესში“ [ინტერვიუ ევა ლიმეტთან]. იმ შემთხვევაში, თუ გარკვეული ზომები იქნება მიღებული ევროპულსა და საშინაო პროცესებს, პოლიტიკასა და ინსტიტუტებს შორის თანხვედრის გასაძლიერებლად (Börzel, Risse, 2003), შესაძლებლობები გაიზრდება საქართველოსთვის და ზემოთ მოცემული რეკომენდაციები დაეხმარება ქვეყანას, რომ შემოქმედებითი ეკონომიკის – კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების სექტორის განვითარების საშუალებით სტანდარტების ევროპულ დონეზე განიცადოს ცვლილებები. შესაბამისად, აღნიშნული პროცესი მიმართულია ევროპეიზაციისკენ – ევროკავშირთან ურთიერთობების გაღრმავებისკენ.

რეკომენდაციები

მესამე საკვლევ კითხვაზე პასუხის გადსცემად და, შესაბამისად, კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების ესტონური მოდელის ქართულ სისტემაზე ადაპტაციის მიზნებისთვის საჭიროა რეკომენ-

ნდაციების ჩამოყალიბება. როგორც გამოჩნდა, ქართულ სისტემას აკლია სტრუქტურა და მთავრობის ან ცალკეული ორგანიზაციების მიერ მიღებული ზომები, ევროკავშირის პროგრამების ფარგლებში განხორციელებული აქტივობები არის ფრაგმენტული. სწორედ, მოცემული ფაქტორიდან გამომდინარეობს ამ კვლევის ფარგლებში შემუშავებული რეკომენდაციები, რაც მოიცავს შემდეგს:

- დაარსდეს სააგენტოთაშორისი თანამშრომლობის კომიტეტი, რომელიც კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების საკითხებზე იმუშავებს და რეგულარულად ჩაატარებს სამუშაო შეხვედრებს სექტორთან დაკავშირებით. აღნიშნული კომიტეტი აქტიურად უნდა თანამშრომლობდეს და ჩართული იყოს სპეციფიკური სექტორის არასამთავრობო ორგანიზაციებთან, შემოქმედებით ბიზნესებთან, შემოქმედებით მცირე მენარმეებთან, სფეროს სხვადასხვა პროფესიონალთან და სხვ.;

- რეგულარულად ჩატარდეს ცნობიერების ამაღლების აქტივობები სამთავრობო დონეზე, რომელიც მოიცავს პროგრამებსა და სემინარებს კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების სფეროს არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი ორგანიზაციებისთვის, ასევე, სხვადასხვა სამინისტროებისა და პარლამენტისთვის. აღნიშნული ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკაში შემოქმედებითი ეკონომიკის – კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების როლისა და მათი მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების გაზრდას;

- ადგილობრივი კულტურის სფეროს პროფესიონალების ჩართვა კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების პოლიტიკის შემუშავების და განხორციელების პროცესში;

- ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული აქტივობების ხელშეწყობა ისეთი მთავარი სამიზნე ჯგუფისთვის, როგორცაა სტუდენტები და უნივერსიტეტები. მათთვის სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვა, როგორცაა ინფორმაციული სემინარები სფეროს შესაბამისი ორგანიზაციების მიერ, თეატრალური წარმოდგენები შემოქმედებით მენარმეობაზე და სხვ. აღსანიშნავია, რომ თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიისთვის ბრიტანეთის საბჭოსთან თანამშრომლობით შემოქმედებითი საქართველოს მიერ შემუშავდა სამენარმეო კურსები საბაკალავრო და სამაგისტრო დონეებზე, თუმცა, სამენარმეო უნარების მნიშვნელობაზე ცნობიერების ამაღლების პროცესი სტუდენტებსა და ლექტორებს შორის მაინც არ არის საკმარისად ხელშეწყობილი;

- საბაზისო სტატისტიკური მონაცემთა ბაზის შექმნის ხელშეწყობა კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების ყველა სექტორისთვის და ქვე-სექტორისთვის საქართველოს შემოქმედებითი ინდუსტრიების კლასიფიკაციის შესაბამისად, სექტორის 'გადაღვრის ეფექტების' (Spillover effects) გათვალისწინებით. აღსანიშნავია, რომ გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა შემოქმედებითი საქართველოს მიერ კულტურული მრავალფეროვნების საერთაშორისო ფონდის (IFCD) დაფინანსებული პროექტის ფარგლებში "Creative Twist";

- სექტორის ჩართულობის უზრუნველყოფა სხვადასხვა სამინისტროების განვითარების პოლიტიკაში კულტურულ და შემოქმედებით ინდუსტრიებთან დაკავშირებულ საკითხებზე თანამშრომლობისა და ერთობლივი დაგეგმვის ხელშეწყობისთვის;

- სხვადასხვა სამინისტროებისა და სახელმწიფო უწყებების მიერ გრანტების გადამისამართება და გამოყოფა ორგანიზაციებისთვის, რომლებსაც სურთ სექტორის განვითარების მიზნით პროექტების განხორციელება, როგორცაა ინკუბაცია, სამენარმეო უნარების ტრენინგი, ექსპორტის ხელშეწყობა და ა.შ.;

- თითოეული სექტორის მნიშვნელოვანი ორგანიზაციების ხელშეწყობა სპეციფიკური სექტორის კომპეტენციის/განვითარების ცენტრების დაარსებისთვის (იმ შემთხვევაში, თუ სამინისტროების ან სხვა შესაბამისი უწყებების მიერ თანხა გამოიყოფა კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების პროექტებისთვის, მსგავსი ცენტრების დაარსების მოტივაციაც გაიზრდება);

- დარგში არსებული ორგანიზაციების ხელშეწყობა, რომ მოიპოვონ საერთაშორისო დაფინანსება ევროკავშირისა და იუნესკოს მიერ გამოცხადებულ საერთაშორისო კონკურსებზე პროექტის იდეის შეთავაზებით;

- სექტორთა შორის თანამშრომლობის გაძლიერება სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებისთვის საერთო პლატფორმის შექმნით (შესაძლებელია კვლავ სტუდენტების სამიზნე ჯგუფით დაწყება). მაგალითად, ვორკშოფები, რომლებიც მოიაზრებს საერთო ბიზნეს იდეის განვითარებას მენტორის ზედამხედველობით, პროფესიული ქსელის გაძლიერებისთვის სხვადასხვა ბიზნეს სექტორს შორის.

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ ისეთ საკითხებთან მუშაობისას, რომლებიც ეხება კულტურული და შემოქმედებითი სექტორის განვითარებას საჭიროა ჰოლისტური მიდგომა, რათა შეივსოს ის აშკარა 'შეუსაბამობები' ('misfits'), რაც ქართულ სისტემას განვითარების საშუალებას უზღუდავს.

გამოყენებული ლიტერატურა

- Association Agreement, Articles 1, 362, 365, Official Journal of the European Union, L 261, Volume 57, 2014.
- Börzel, T., Risse, T., Conceptualizing the Domestic Impact of Europe, The Politics of Europeanisation, Oxford, 2003.
- British Council, EU-Eastern Partnership Culture and Creativity Programme. Available at <https://www.britishcouncil.ge/en/programmes/arts/eu-eap-culture-and-creativity>
- Creative Europe, About. Available at https://ec.europa.eu/programmes/creative-europe/about_en
- Creative Georgia, About us – our team. Available at <http://creativegeorgia.ge/About/chveni-gundi.aspx>
- Data Commons, Estonia. Overview. Available at <https://datacommons.org/place/country/EST>
- David Parrish, About David Parrish. Available at <https://www.davidparrish.com/david-parrish-2/>
- DCMS, About us. Available at <https://www.gov.uk/government/organisations/department-for-digital-culture-media-sport/about>
- DCMS, What the Department for Digital, Culture, Media & Sport does. Available at [https://www.gov.uk/government/organisations/department-for-digital-culture-media-sport#:~:text=The%20Department%20for%20Digital%2C%20Culture%2C%20Media%20%26%20Sport%20\(DCMS,a%20fantastic%20place%20to%20visit](https://www.gov.uk/government/organisations/department-for-digital-culture-media-sport#:~:text=The%20Department%20for%20Digital%2C%20Culture%2C%20Media%20%26%20Sport%20(DCMS,a%20fantastic%20place%20to%20visit)
- EU neighbours, Eastern Partnership Culture Programme. Available at <https://www.euneighbours.eu/en/east/stay-informed/projects/eastern-partnership-culture-programme>
- European Commission, Cultural and Creative Sectors. Available at <https://ec.europa.eu/culture/sectors/cultural-and-creative-sectors>
- European External Action Service (EEAS), Culture – Towards an EU strategy for International Cultural Relations, 2017. Available at https://eeas.europa.eu/topics/culture/18306/culture-towards-eu-strategy-international-cultural-relations_en
- European Union External Action Service, Eastern Partnership Initiative (EaP), 2016. Available at https://eeas.europa.eu/diplomatic-network/eastern-partnership/419/eastern-partnership_en
- Farinha, C., Developing Cultural and Creative Industries in Georgia, EU-EaP Culture and Creativity, 2017.
- Ghilardi, L., MAKING THE MOST OF CULTURAL AND CREATIVE RESOURCES, The Mapping and Strategy Building Handbook for Creative Towns and Regions, EU-EaP Culture and Creativity, 2017.
- Graziano, P. R., Vink, M. P., Europeanization: Concept, Theory, and Methods, Chapter 2, pp. 32-54, 2013.
- Howe, G. M., Georgia, Britannica. Available at <https://www.britannica.com/place/Georgia>
- John Howkins, About. Available at <https://johnhowkins.com/#biographylink>
- Köörna, A. A., Estonia, Britannica. Available at <https://www.britannica.com/place/Estonia>
- Ladrech, R. L., Europeanization of Domestic Politics and Institutions: The case of France, Journal of Common Market Studies, Basil Blackwell Ltd, Oxford, Cambridge, USA, 1994.
- Lassur, S., Tafel-Viia, K., Viia, A., Mapping creative industries in Estonia, Latvia and Lithuania, 2010.
- Loov Eesti, Creative Estonia. Available at <https://www.looveesti.ee/en/creative-estonia/>
- Ministry of Foreign Affairs of Georgia, Chronology of major events of EU-Georgia Cooperation, Available at <https://mfa.gov.ge/%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D-%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98.aspx>

- Ministry of Foreign Affairs of Georgia, EU-Georgia Association Agreement fully enters into force, 2016. Available at [https://mfa.gov.ge/News/EU-Georgia-Association-Agreement-fully-enters-into.aspx?CatID=5&lang=en-US#:~:text=The%20Association%20Agreement%20aims%20to,Free%20Trade%20Area%20\(DCFTA\).&text=This%20will%20facilitate%20Georgia's%20progressive%20integration%20with%20the%20EU%20single%20market](https://mfa.gov.ge/News/EU-Georgia-Association-Agreement-fully-enters-into.aspx?CatID=5&lang=en-US#:~:text=The%20Association%20Agreement%20aims%20to,Free%20Trade%20Area%20(DCFTA).&text=This%20will%20facilitate%20Georgia's%20progressive%20integration%20with%20the%20EU%20single%20market)
- Official Journal of the European Union, REGULATION OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL establishing the Creative Europe programme (2021 to 2027), 2013. Available at <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/HTML/?uri=CELEX:32013R1295>
- Popovici, I., Developing performing Arts Sector in Georgia, EU-EaP Culture and Creativity, 2017.
- Potts, J.P., Cunningham, S. C., Four Models of the Creative Industries, *International Journal of Cultural Policy*, 2008.
- Radaelli, C. M., The Europeanization of Public Policy, *The policy of Europeanization*, pp. 27-56, 2003.
- Regional Monitoring and Capacity Building, "Eastern Partnership Culture Programme 2011-2014", 2014.
- Republic of Estonia Ministry of Culture, Creative Economy, 2020. Available at <https://www.kul.ee/en/arts-and-creative-economy/creative-economy>
- Republic of Estonia Ministry of Foreign Affairs, Creative Industries in Estonia, 2018. Available at <https://vm.ee/en/node/9875>
- Risse, T., Cowles, M. G., Caporaso, J., *Europeanization and Domestic Change: Introduction*, Chapter one, 2019.
- Schimmelfennig, F., *EU external governance and Europeanisation beyond the EU*, 2012.
- The World Bank, Georgia. Available at <https://datatopics.worldbank.org/world-development-indicators/>
- Tom Fleming Creative Consultancy (TFCC), *Cultural and Creative Spillovers in Europe: Report on a preliminary evidence review*, 2015.
- UNCTAD, About UNCTAD. Available at <https://unctad.org/about>
- UNESCO Diversity of Cultural Expressions, The IFCD and the United Nations SDGs. Available at <https://en.unesco.org/creativity/ifcd/what-is/sdgs#:~:text=The%20United%20Nations%202030%20Agenda,growth%20and%20fostering%20social%20inclusion>
- UNESCO Diversity of Cultural Expressions, What is the IFCD?. Available at <https://en.unesco.org/creativity/ifcd/what-is>
- UNESCO, Realising the growing potential of cultural and creative industries (CCI), periodic report Estonia, 2012. Available at <https://en.unesco.org/creativity/policy-monitoring-platform/realising-growing-potential>
- UNESCO, UNESCO in Brief – Mission and Mandate. Available at <https://en.unesco.org/about-us/introducing-unesco>
- Weber, K., Durate, T., *CCI Policies on European Level*, 2020.
- WIPO, Inside WIPO. Available at <https://www.wipo.int/about-wipo/en/#:~:text=WIPO%20is%20the%20global%20forum,Nations%2C%20with%20193%20member%20states.&text=Our%20mandate%2C%20governing%20bodies%20and,which%20established%20WIPO%20in%201967>
- WIPO, Paris Convention for the Protection of Industrial Property. Available at <https://www.wipo.int/treaties/en/ip/paris/#:~:text=The%20Paris%20Convention%2C%20adopted%20in,the%20repression%20of%20unfair%20competition>
- Worldometers, Population. Available at <https://www.worldometers.info/population/>
- WTO, Intellectual Property. Available at [https://www.wto.org/english/tratop_e/trips_e/trips_e.htm#:~:text=The%20WTO%20Agreement%20on%20Trade,on%20intellectual%20property%20\(IP\).&text=The%20Agreement%20is%20a%20legal,for%20a%20balanced%20IP%20system](https://www.wto.org/english/tratop_e/trips_e/trips_e.htm#:~:text=The%20WTO%20Agreement%20on%20Trade,on%20intellectual%20property%20(IP).&text=The%20Agreement%20is%20a%20legal,for%20a%20balanced%20IP%20system)

5. CREATIVE ECONOMY – GEORGIAN AND ESTONIAN CULTURAL AND CREATIVE INDUSTRIES' DEVELOPMENT MODELS

Abstract

This study focuses on reviewing the Georgian model of Culture and Creative industries (CCI). The paper examines EU support to the sector's development, including Culture Programmes, funding opportunities, etc. Based on an analysis of core strategic documents and interviews with Georgian experts, key developments and current challenges of the sector are identified.

საქართველოსთვის, რომელმაც ევრო-ატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია თავის ძირითად პოლიტიკურ პრიორიტეტად აქცია, არსებითად მნიშვნელოვანია უზრუნველყოს ეთნიკური უმცირესობების, მათი წარმომადგენელი ქალების ჩათვლით, ადამიანთა უფლებები, პატივისცემა და დაცვა, და მოახდინოს მათი საზოგადოებაში ინტეგრაცია. არ არსებობს საკმარისი ინფორმაცია იმ ისტორიისა და გამოწვევების შესახებ, რომელსაც აწყდებოდა საქართველოში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანული საზოგადოება აკადემიურ და პოლიტიკურ წრეებში, ისევე, როგორც ზოგადად საჯარო ასპექტებში (Zviadadze და სხვ., 2018: 1). ამ თვალსაზრისით, საჭიროა ცალკე კვლევა ქართველ აზერბაიჯანელებზე, განსაკუთრებით, აზერბაიჯანელ ქალებზე საქართველოში. სამეცნიერო ლიტერატურაში არ არის საკმარისი კვლევები ქართველი აზერბაიჯანელების, ქვეყნის უმსხვილესი ეთნიკური და რელიგიური ჯგუფის, რომელიც უმეტესწილად დასახლებულია საქართველოს ქვემო ქართლის რეგიონში, თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების შესახებ. ნაშრომი განსაზღვრავს ეთნიკურად აზერბაიჯანელი ქალების სოციალური ინტეგრაციის დონეს საქართველოში და აანალიზებს ხელშემწყობ ფაქტორებს.

სოციალური ინტეგრაცია

სოციალური ინტეგრაცია შეიძლება განისაზღვროს, როგორც რესურსებზე წვდომის უზრუნველყოფა, მონაწილეობა და კუთვნილება. ტერმინი საკმაოდ ფართოდ არის განმარტებული და შეიძლება გამოყენებულ იქნას ნებისმიერ სოციალურ საზოგადოებაზე (როგორც მცირე სოციალურ ჯგუფებზე, ასევე, ერებზე) (Strobl, 2007). სოციოლოგიასა და ზოგიერთ სხვა სოციალურ მეცნიერებაში სოციალური ინტეგრაცია არის ტერმინი, რომელიც აღწერს ინდივიდების ან ჯგუფების (მაგ., საზოგადოების არაპრივილეგირებული ფენის წევრების, ეთნიკური ან რელიგიური უმცირესობების და ა.შ.) ინტეგრაციის პროცესს მთავარ საზოგადოებაში, ასევე, მათ უზრუნველყოფას იგივე შესაძლებლობებით, უფლებებით და სერვისებით, რასაც კეთილდღეობის სახელმწიფო გთავაზობს. უმცირესობათა ინტეგრაცია დემოკრატიული მთავრობებისა და საზოგადოების მნიშვნელოვანი სოციალურ-პოლიტიკური მიზანია, რომლებიც მხარს უჭერენ ადამიანის უფლებებსა და ღირებულებებს. სოციალური ინტეგრაცია არის მრავალგანზომილებიანი მექანიზმი, რომელიც მიზნად ისახავს მშვიდობიან თანაარსებობას ისტორიულ, სოციალურ რეალობაში, კულტურულად და ეთნიკურად განსხვავებული ინდივიდებისა და ჯგუფების ერთმანეთთან დაკავშირებით. ეს პროცესი მოიცავს ეთნოკულტურული მრავალფეროვნების საერთო პატივისცემას, რაც გავლენას არ ახდენს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებზე და არ ემუქრება დემოკრატიულ ინსტიტუტებს (Martelli, 2019).

მოკლედ, სოციალური ინტეგრაცია არის სოციალური ჯგუფების შერწყმა და გაერთიანება. ეს ნიშნავს უმცირესობების ისეთი ჯგუფების გადაადგილებას, როგორცაა ეთნიკური უმცირესობები – საზოგადოებების მენისტრში. ტოლერანტულ და ღია საზოგადოებებში, უმცირესობათა ჯგუფებს ხშირად შეუძლიათ გამოიყენონ სოციალური ინტეგრაცია, რათა მიიღონ სრული წვდომა იმ შესაძლებლობებზე, უფლებებზე და სერვისებზე, რომლებსაც სთავაზობენ ძირითადი საზოგადოების წევრებს.

ეთნიკური და რელიგიური უმცირესობა

ტერმინი „ეროვნული უმცირესობა“ ბუნდოვანია, რადგან არ არსებობს მისი საყოველთაოდ მისაღები განსაზღვრება. ტერმინის განსაზღვრის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ არ არსებობს რაიმე სავალდებულო ან არა-სავალდებულო საერთაშორისო საკანონმდებლო დოკუმენტი, რომელიც

განსაზღვრავს, თუ რომელი კატეგორიის ჯგუფს მიეკუთვნებიან უმცირესობები საზოგადოებაში. აღსანიშნავია, რომ გაეროს სისტემაში ზოგადად მიღებული ტერმინი არის „ეთნიკური უმცირესობა“, ხოლო ევროპის საბჭოს სისტემაში კი ამ ჯგუფის წევრებს უწოდებენ ეროვნულ უმცირესობებს.

ვინაიდან საერთაშორისო ხელშეკრულებაში არ არსებობს უმცირესობის ფართოდ შეთანხმებული, ნათლად ფორმირებული კონცეფცია, მკვლევრების მიერ გაზიარებულია მრავალი მიდგომა. გაერთიანებული ერების უმცირესობების შესახებ დეკლარაციის 1-ლი მუხლი ეხება უმცირესობებს ეროვნულ / ეთნიკური, ლინგვისტიკური, კულტურული და რელიგიური იდენტობის საფუძველზე. ვენეციის კომისიის მიერ შემოთავაზებულ განსაზღვრებაში ეთნიკური უმცირესობა განისაზღვრება, როგორც:

ჯგუფი, ხომდის ხაოდელობაც უფხო მცხიჲა, ვიდეჲ სახედმწიფოს დანახჩენი მოსახლეობის, და ხომდის წევხებს, ხომდებიც წახმოადგენენ სახედმწიფოს მოქადაქეებს, აქვთ დანახჩენი მოსახლეობისგან განსხვავებული ეთნიკური, ჰედიგიური ან დინგვისტიკური მახასიათებლები და მათ ამოძხავებთ თავიანთი კუდგუხის, ტხადიციების, ჰედიგიის ან ენის დაცვის სუხვიდი.

ეთნიკური აზერბაიჯანელები მჭიდროდ არიან დასახლებულნი საქართველოს ქვემო-ქართლის რეგიონის სასოფლო რაიონებში, წარმოადგენენ ქვეყნის უმსხვილესი ეთნიკური და რელიგიური უმცირესობის ჯგუფს. 2014 წლის ოფიციალური აღწერის თანახმად, საქართველოში ცხოვრობს 233,024 ეთნიკური აზერბაიჯანელი.

აზერბაიჯანელები საქართველოში კომპაქტურად არიან დასახლებულნი ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. ქვემო ქართლის რეგიონის მარნეულის, ბოლნისის, დმანისის და გარდაბნის რაიონების მოსახლეობის უმეტესობა ეთნიკური აზერბაიჯანელია. ასევე, არსებობს აზერბაიჯანული სოფლები ქვემო ქართლის რეგიონის თეთრწყაროს და წალკის რაიონებში. აზერბაიჯანელი მოსახლეობის მნიშვნელოვანი რიცხვი არის კახეთშიც, შიდა ქართლში და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში, საქართველოს აღმოსავლეთით, ქვემო ქართლის რეგიონის ცენტრალურ ქალაქ რუსთავში, და ასევე, დედაქალაქ თბილისში (Valehoğlu, 2005: 4-8).

გენდერი

გენდერში იგულისხმება ის როლები და ქცევები, რომლებიც მიეწერება ქალებს და კაცებს საზოგადოებაში (Little და სხვ., 2014: 370). სოციალური გენდერული როლი შედგება ისეთი სტერეოტიპებისგან, რომლებიც ქალებისგან მოელიან, რომ ისინი უნდა იყვნენ დედები, ქალიშვილები, მომვლელები და „სუსტი სქესი“. კრიტერიუმები მამაკაცებისთვის განსხვავდება და დაკავშირებულია მამაკაცების, როგორც მარჩენალების, დამცველების, გადაწყვეტილების მიმღებების და „ძლიერი სქესის“ აღქმასთან (Abrahamyan და სხვ., 2019: 60).

საყოფაცხოვრებო შრომის ტრადიციული დანაწილება კავკასიაში აზუსტებს მამაკაცის, როგორც გადაწყვეტილების მიმღებთა და მარჩენალთა პოზიციას, ხოლო ქალის მოვალეობაა ოჯახის ყველა წევრზე ზრუნვა, განსაკუთრებით, ბავშვის მოვლისა და საყოფაცხოვრებო ამოცანების სფეროებში. ეს ვალდებულებები ზღუდავს ქალებს მათ პირად ცხოვრებაში და უმეტეს სიტუაციებში ზღუდავს მათ შესაძლებლობებს პროფესიული წინსვლისა და საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში (Aliyeva, 2020; Mandl, 2011).

საქართველოში ეთნიკურად აზერბაიჯანელი ქალები ხშირად აღმოჩნდებიან საზოგადოების ყველაზე სუსტ წევრებად ისტორიულად დისკრიმინირებული სქესისა და ტრადიციული და რელიგიური ფაქტორების ორმაგი ტვირთის გამო. მიუხედავად იმისა, რომ კავკასიაში ქალებსა და მამაკაცებს აქვთ სხვადასხვა როლი რელიგიური ფაქტორების გამო, გენდერული როლის მკაცრმა დაყოფამ, რაც ტიპურია მუსულმანური საზოგადოებებისთვის, ეთნიკურად აზერბაიჯანელი ქალები რთულ სიტუაციაში ჩააყენა. ეს ფაქტი, ასევე, აისახება გამოკვლევული ჯგუფის ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციაზე.

ინტერსექციონალობის თეორია

1989 წელს კიმბერლი კრენშავმა წამოაყენა ინტერსექციონალობის თეორია, რაც გულისხმობს, რომ ადამიანებს ხშირად ავიწროებენ სხვადასხვა მიზეზის გამო, როგორცაა რასა, კლასი, სქესი, სექსუა-

ლური ორიენტაცია, რელიგია და სხვა იდენტობები (Crenshaw, 1989). ვინაიდან ეს თეორია თავდაპირველად აღინიშნა, როგორც ფემინისტების თეორია, მოგვიანებით ის გაფართოვდა ქალების შევიწროების განმარტების მიღმა. შემდეგ ის გამოიყენეს დისკრიმინაციის აღწერისას საზოგადოების ყველა სეგმენტში. ინტერსექციური ფემინიზმი არის ფემინიზმის ნაწილი, რომელიც გვიამბობს, თუ როგორ კვეთს დისკრიმინაციის სხვადასხვა ასპექტი სოციალურ და პოლიტიკურ იდენტობაში სქესს. მიუხედავად იმისა, რომ კრენშოუ წერდა შეერთებულ შტატებში გარიყულ ქალებზე, ეს თეორიული ჩარჩო ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას უნივერსალურად. პატრიცია ჰილ კოლინზმა წამოაყენა თეორია, რომ ჩვენ ყველა ვარსებობთ დომინირების მატრიცაში, სადაც ჩვენი გამოცდილება განისაზღვრება სქესის, რასის, კლასის, ასაკისა და რელიგიური სტრუქტურების მიხედვით (Collins, 1990).

ინტერსექციონალიზმა თეორიული ჩარჩოა იმის გასაგებად, თუ როგორ არის კომბინირებული პიროვნების სოციალური და პოლიტიკური იდენტობა (მაგ. სქესი, კლასი, რასა, ეთნიკური წარმოშობა და რელიგია) დისკრიმინაციული და პრივილეგირებული რეჟიმების ჩამოყალიბებისთვის. ის განსაზღვრავს უპირატესობებს და ნაკლოვანებებს, რომელსაც გრძნობენ ადამიანები სხვადასხვა ფაქტორის კომბინაციის გამო (Bowleg, 2012). ამ კონტექსტში, საქართველოს ეთნიკურად აზერბაიჯანელი ქალები ხასიათდებიან სხვადასხვა ფაქტორის გადაკვეთით, როგორცაა სქესი, *ხედიგია*, და *ეთნიკური წახმოშობა*. ეს გადაკვეთა ართულებს მათ მდგომარეობას და როგორც ჰენკინსკი და კრიშტოფერსენი (Hankinsky & Christoffersen, 2008) აღნიშნავენ, იწვევს მეტ გართულებას მკვლევრებისათვის, რომლებსაც სურთ გამოიკვლიონ ეს და მსგავსი ჯგუფები.

ეთნიკურად აზერბაიჯანელი ქალების სოციალური ინტეგრაციის ინდიკატორები საქართველოში

ლიტერატურაში ეთნიკური უმცირესობების სოციალური ინტეგრაციის დონის გაზომვისთვის ზოგადად გამოიყენება შემდეგი ინდიკატორები:

მონაწილეობა – ნიშნავს სოციო-პოლიტიკურ აქტივობებზე წვდომას და ჩართვას პოლიტიკურ პარტიებში, კლუბებში, ხმის მიცემის პროცესში, სპორტში და სხვ. ინტეგრაცია მოიცავს ადამიანებს სხვადასხვა ჯგუფიდან სხვადასხვა ღონისძიებებში – სპორტი, უნივერსიტეტის კლასები, პოლიტიკური აქტივობა და ა.შ. ეს ყველაფერი განიხილება, როგორც ინტეგრაციის არსებობის მტკიცებულება. ასეთი თვალსაზრისის ძირითადი აზრი არის ის, რომ თუ საზოგადოება ინტეგრირებულია, ხალხი თანაბრად და რაიმე შეზღუდვების გარეშე მიიღებს მონაწილეობას მიმდინარე ღონისძიებებსა და გართობაში (Ager და სხვ., 2008: 180).

საქართველოში საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის დონე დაბალია. ეს ფაქტი განსაკუთრებით აშკარაა უმცირესობების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობისას და საჯარო ორგანოებში და სამთავრობო დაწესებულებებში წარმომადგენლობისას (Kakhishvili, 2018: 5). წინა წლებში წამოწყებული რამდენიმე პროგრამისა და ინიციატივის მიუხედავად, რომელიც მიმართული იყო ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკურ ცხოვრებაში ინტეგრირებისკენ, ამ მიმართულებით არ იქნა მიღწეული რაიმე მნიშვნელოვანი პროგრესი (სახალხო დამცველის ოფისი, 2018: 244). ამჟამად, ეროვნული უმცირესობიდან პარლამენტის მხოლოდ სამი წევრია ეთნიკური აზერბაიჯანელი, მიუხედავად იმისა, რომ ეს ჯგუფი წარმოადგენს ქვეყნის უმცირესობების უმსხვილეს ჯგუფს (საქართველოს პარლამენტი, 2021). ამ თანამდებობის პირთა პარლამენტში ყოფნის მიუხედავად, ეთნიკური აზერბაიჯანელები ჯერ ისევ არასაკმარისად არიან წარმოდგენილნი საქართველოს მთავრობის თითქმის ყველა – როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ- დონეზე. დღემდე არც ერთი ეთნიკურად აზერბაიჯანელი ქალი არ ყოფილა საქართველოს პარლამენტის წევრი.

ქვემო ქართლის რეგიონში, სადაც ცხოვრობს აზერბაიჯანელების უმეტესობა, ქალების პოლიტიკური ჩართულობის დონე ძალიან დაბალია. თითქმის არ არსებობენ აზერბაიჯანელი ქალი-წარმომადგენლები რეგიონულ დონეზე. ექსპერტების შენიშვნების და ქვემო ქართლში ჩატარებული კვლევების მიხედვით, რეგიონში ყოველთვის არსებობდა დიდი განსხვავება პოლიტიკურ ჩართულობაში მამაკაცებსა და ქალებს შორის. ასევე, დადგინდა, რომ პოლიტიკისადმი საერთო ინტერესის ნაკლებობა არის უფრო ქალებში, ვიდრე მამაკაცებში (Kachkachishvili და სხვ., 2012: 17).

ყველა ეს ფაქტორი ქმნის მნიშვნელოვან დაბრკოლებას ეთნიკურად აზერბაიჯანელი ქალების საქართველოს სოციალურ – პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობისთვის.

ენა — სახელმწიფო ენის ცოდნა ყოველთვის განისაზღვრება, როგორც ინტეგრაციის პროცესის უმთავრესი პირობა (Ager და სხვ., 2008: 182). ის ზრდის სახელმწიფო ენის უფრო მაღალ დონეზე გაგების, ადგილობრივ ადამიანებთან კომუნიკაციის და მათი კულტურის გაგების შანსს.

კვლევები მიუთითებს, რომ ენის ბარიერი არის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემა, რომელიც ზემოქმედებას ახდენს უმცირესობების ინტეგრაციაზე საქართველოს საზოგადოებაში (Gabunia, 2014: 10; Kahraman, 2021: 315). ზოგადად, საქართველოში, ეთნიკურმა აზერბაიჯანელებმა კარგად არ იციან სახელმწიფო ენა, რაც ართულებს მათ ჩართულობას ქვეყნის სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში, შევიწროებულად აგრძნობინებს მათ თავს, შეუძლებელს ხდის მათ წარმომადგენლობას პარლამენტში და რეგიონალურ მუნიციპალიტეტებში და უარყოფით ზემოქმედებას ახდენს მათ ეკონომიკურ სიტუაციაზე საჯარო სექტორში სამსახურის შანსის შემცირებით (Yilmaz და სხვ., 2016: 256, 258). სახელმწიფო ენის ასეთი მწირი ცოდნის პარალელურად, განათლების დაბალი დონეც მოიხსენიება, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელსაც განიცდის ეთნიკურად აზერბაიჯანული საზოგადოება (Kahraman 2021: 315), და რომელიც ხელს უშლის მათ ინტეგრაციას.

საქართველოში ეთნიკურად აზერბაიჯანელი საზოგადოება, უპირველეს ყოვლისა, აზერბაიჯანულ ენაზე მეტყველებს. ათწლეულის წინ, ქართულ, ანუ სახელმწიფო ენაზე, ან ძალიან მცირე რაოდენობით, ან საერთოდ არ მეტყველებდნენ. 2008 წლამდე, სხვა ეთნიკური უმცირესობების ჯგუფებთან შედარებით, ქართული ენის უცოდინარი აზერბაიჯანელების რიცხვი მაღალი იყო (UNAG, ანგარიში 2008: 38). თუ საბჭოთა კავშირის დროს საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები საუბრობდნენ ორ ენაზე, ანუ მშობლიურ აზერბაიჯანულ და რუსულ ენაზე (ხანდახან სამ ენაზეც კი), ამ ეთნიკური ჯგუფის ბევრი წარმომადგენელი, განსაკუთრებით თაობა, დაბადებული საბჭოთა პერიოდის ბოლო წლებში და დამოუკიდებლობის ადრეულ წლებში, გახდა მონოლინგვური, ვინაიდან ახალგაზრდა თაობამ საკმარისად არ იცოდა რუსული ენა საბჭოთა კავშირის დაშლის გამო.

სოციალური კავშირები — ეხება კავშირებს, რომელსაც უმცირესობის წარმომადგენლები ამყარებენ უმრავლესობის ჯგუფში შემავალ საზოგადოებასთან. ისინი იზომება უმრავლესობის ჯგუფის მეგობრებთან ურთიერთობის სიხშირით. Wuthnow და სხვ., (2003: 652-653) ვარაუდობენ, რომ ინტეგრაციის პრობლემები წარმოიქმნება უმცირესობების მახასიათებლებიდან და უმცირესობასა და უმრავლესობას შორის ურთიერთობებიდან.

ოსეფაშვილის კვლევა (2013: 2) ქართველების სომხებთან (მეორე უმსხვილესი ეთნიკური უმცირესობა საქართველოში) და ეთნიკურ აზერბაიჯანელებთან ურთიერთობის საკითხზე აჩვენებს, რომ სოციალური კავშირები ქართველებსა და ეთნიკურ აზერბაიჯანელებს შორის სუსტია, და ქართველები სომხებს უკეთ იცნობენ, ვიდრე ეთნიკურ აზერბაიჯანელებს. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს რამდენიმე ფაქტორით. ეთნიკურ ქართველებსა და ეთნიკურ აზერბაიჯანელებს შორის სუსტი სოციალური კავშირის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი არის ეთნიკური აზერბაიჯანელების კომპაქტური დასახლება. ვერვურთისა და სხვების (Vervoort et al. 2011: 624-625) თანახმად, უმცირესობების ეთნიკური სიმჭიდროვე არსებითი ფაქტორია, რომელიც ზემოქმედებას ახდენს ეთნიკური უმცირესობების სოციალურ ინტეგრაციაზე. ეთნიკურად სეგრეგირებული სამეზობლოები განიხილება, როგორც მნიშვნელოვანი დაბრკოლება ეთნიკური უმცირესობის ინტეგრაციისთვის. სოციალური კავშირები უმრავლესობის და უმცირესობის ჯგუფებს შორის ნაკლებად ხშირია ეთნიკურად მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში (Gijssberts და სხვ., 2007: 807). ეთნიკური დასახლება იწვევს იგნორირებას და მარგინალიზაციას, და ამით ახდენს სოციალური ინტეგრაციის პრევენციას. ეთნიკურ აზერბაიჯანელებს ნაკლები კონტაქტი აქვთ ეთნიკურ ქართველებთან აზერბაიჯანის, ძირითადად სამხრეთ-აღმოსავლეთით, საზღვრებთან მიმდებარე სოფლებში მათი მჭიდროდ დასახლების გამო.

უხთიეხთ-ქოხწინება — არის სოციალური ინტეგრაციის დონის კიდევ ერთი ინდიკატორი, რომელიც განსაზღვრავს უმცირესობისა და უმრავლესობის ჯგუფების წევრებს შორის ურთიერთ-ქორწინების დონეს.

ურთიერთ-ქორწინება აზერბაიჯანელებსა და ქართველებს შორის თითქმის არ არსებობს. *ენდოგამია* ან *შიდა ქოხწინება* — ქორწინება გარკვეულ სოციალური ჯგუფის, კასტის ან ეთნიკური ჯგუფის შიგნით, სხვების უარყოფა იმის გამო, რომ ისინი არ გამოდგებიან ქორწინებისთვის ან სხვა ახლო პირადი ურთიერთობებისთვის – ფართოდ გავრცელებული პრაქტიკაა ქართველი აზერბაიჯანელებით დასახლებულ რეგიონებში. შერეული ქორწინების ნაკლებობა, ასევე, აბრკოლებს აზერბაიჯანული მოსახლეობის ინტეგრაციას, და, შესაბამისად, ოჯახურ კავშირებს აზერბაიჯანელებსა და ქართველებს

შორის მუსულმანური საზოგადოებისა შიგნით რელიგიური აკრძალვის გამო (Sikharulidze და სხვ., 2016: 77). ქორწინება ეთნიკურ აზერბაიჯანელებს და სხვა ეროვნებებს შორის უაღრესად იშვიათია (სანიკიძე 2018: 252). სოციო-ეკონომიკური საკითხებისა და პოლიტიკური ურთიერთობების ყოველწლიურ კვლევაში, რომელიც ტარდება კავკასიის სამეცნიერო კვლევითი რესურს ცენტრის მიერ (CRRC), ძალიან ცოტაა ეთნიკური აზერბაიჯანელი ქალების რიცხვი, რომლებიც თანახმანი არიან დაქორწინდნენ ქართველებზე (2%), იგივე ეთნიკურობისა და რელიგიის მამაკაცებთან შედარებით (92% აზერბაიჯანელები, 64% თურქები). იგივე კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ აზერბაიჯანელ ქალებთან შედარებით, ქართველი ქალების 27% თანახმაა გათხოვდეს საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელზე (კავკასიის ბარომეტრი, საქართველო 2019).

ყველა ამ ინდიკატორების გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეთნიკურად აზერბაიჯანელი ქალების ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციის დონე დაბალია.

საქართველოში ეთნიკურად აზერბაიჯანელი ქალების სოციალური ინტეგრაციის ბარიერები

ზემოთაღნიშნული ბარიერები გამომდინარეობს *ეგზოგენური* და *ენდოგენური* მიზეზებიდან/ფაქტორებიდან:

ეგზოგენური ან *ენდოგენური* ფაქტორები საერთოა ყველა ჯგუფისთვის ქვეყანაში, ესენია: ადმინისტრაციული სისტემა, კანონთა სისტემა და სხვ. ამის საპირისპიროდ, *ენდოგენური* ან *შიდა* ფაქტორები წარმოადგენენ შიდა ბარიერს, რომელსაც აწყდება ჯგუფი თავის საზოგადოებაში.

ეგზოგენური, ანუ გარე ფაქტორები

ადამიანთა უფლებების პატივისცემა, უმცირესობების უფლებების ჩათვლით, წარმოადგენს ევროკავშირისა და საერთაშორისო სამართლის პრინციპების ერთ-ერთ მთავარ ფასეულობას. დასავლეთთან ინტეგრაციის გზაზე საქართველო გახდა რამდენიმე საერთაშორისო ხელშეკრულების მხარე, რომლის თანახმადაც ქვეყანამ აიღო საერთაშორისო და ეროვნული ვალდებულებები უმცირესობის უფლებებთან დაკავშირებით. ევროსაბჭოში შესვლის შემდეგ, საქართველოს დაეკისრა ვალდებულება, შექმნას სამართლებრივი სტრუქტურა ადამიანთა უფლებების და უმცირესობათა უფლებების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, კერძოდ, „ეროვნული უმცირესობების შესახებ ჩარჩო კონვენციის“ (FCNM) საფუძველზე. 2008 წელს შეიქმნა რეინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრის თანამდებობა (ამჟამად ეწოდება შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი); მას დაევალა ეროვნული უმცირესობების ინტეგრაციისკენ მიმართული პოლიტიკის შესრულება.

რაც შეეხება გენდერულ თანასწორობას, დამოუკიდებლობის პირველივე წლებიდან ქვეყანამ მიიღო კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW, 1994). ის გახდა პეკინის პლატფორმის ხელმომწერი მხარე (BFPA, 1995). ეროვნული კანონმდებლობის სქემაში თვალსაჩინოა გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების უზრუნველყოფისკენ მიმართული პოლიტიკური სტრუქტურები და პროცესები, ინიციატივები ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისთვის და რეაგირებისთვის, ასევე, გენდერ-დადებითი ცვლილებები შრომის კოდექსში, ანუ CEDAW და BPFA -ს შესაბამისად აღებული ვალდებულებების შესრულება (Brody, 2018: 6).

საქართველო შეუერთდა გაეროს „მდგრადი განვითარების მიზნების“ დღის წესრიგს 2015 წელს, დაიწყო აქტიური მუშაობა, რათა შესაძლებელი ყოფილიყო დღის წესრიგის წარმატებით აღსრულება პრიორიტეტული მიზნებისა და ვალდებულებების განსაზღვრით. მე-5 მიზანი, რომელიც მიზნად ისახავს „გენდერული თანასწორობის მიღწევას და ყველა ქალისა და გოგონას გაძლიერებას“, პრიორიტეტულია საქართველოს მთავრობის მიერ (ბახტურიძე და სხვ., 2017: 4). გარდა ამისა, 2017 წელს ქვეყანამ მოახდინა ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლისა და პრევენციის შესახებ სტამბოლის კონვენციის რატიფიცირება.

საქართველოში, ასევე, ეროვნული კანონმდებლობის მოდიფიკაციაც განხორციელდა გენდერული თანასწორობის კანონის მიღებით (2010), რომლის მიზანიც იყო საჯარო ცხოვრების ყველა ასპექტში დისკრიმინაციის დაუშვებლობის უზრუნველყოფა, ადეკვატური პირობების ჩამოყალიბება მამაკაცებისა და ქალების მიერ თანასწორი უფლებებით, თავისუფლებებით და შესაძლებლობებით სარგებ-

ლობისთვის, სქესზე დაფუძნებული ყველა ტიპის დისკრიმინაციის შემცირებისა და შემსუბუქების ხელშეწყობისთვის; ხოლო დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის (2014) განისაზღვრა, რომ ამ სამართლებრივი აქტის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და თანაბარი დაცვის უზრუნველყოფა ყველასთვის-ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის, მათი ეთნიკურობის, ენის, სქესის, რელიგიის, ეროვნული ან ეთნიკური წარმოშობის და სხვა მახასიათებლების მიუხედავად.

თუმცა, ბუჯიაშვილის მიხედვით, მართალია, მთელი რიგი რეფორმები განხორციელდა უმცირესობის მართვის ინსტიტუციურ პოლიტიკაში, პოლიტიკის ეფექტურობაზე ზემოქმედება მოახდინა არასათანადო ფინანსურმა უზრუნველყოფამ, რომელიც მთავრობამ შესაბამისი პოლიტიკის აღსრულებისთვის გამოყო. ეთნიკური უმცირესობების უსაფრთხოებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის განსაზღვრული პრიორიტეტიზაცია არ არის ასახული საბიუჯეტო დონეზე ფინანსურ უზრუნველყოფაში. ამჟამად, ისევე, როგორც წინა წლებში, ბევრი სამთავრობო ვალდებულებისა და პასუხისმგებლობის შესრულება დამოკიდებულია უცხოურ დახმარებაზე (Bujiaashvili, 2018: 161).

საქართველო ოფიციალურად განაგრძობს მულტიკულტურული პოლიტიკის განხორციელებას, რომელიც აღიარებს სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის როლს ქვეყნის განვითარებაში. ეს მიდგომა ხაზგასმულია 2015 წელს 5 წლიან სამოქმედო გეგმასთან ერთად მიღებულ სამოქალაქო თანასწორობის და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიაში. უმცირესობების ჩართვა საჯარო ცხოვრებაში, მათთვის თანაბარი სოციალური და ეკონომიკური შესაძლებლობების, ხარისხიან განათლებაზე დაშვების უზრუნველყოფა და ქართული ენის ცოდნის გაუმჯობესება უმცირესობას შორის, მათ მშობლიურ ენასთან ერთად, ასევე, უმცირესობათა კულტურის დაცვა, წარმოადგენს პოლიტიკის საკვანძო მიზნებს.

ევროკავშირი ხელს უწყობს საქართველოს უმცირესობათა პოლიტიკას ევროკავშირი-საქართველოს თანამშრომლობის კონტექსტში და განიხილავს მას, როგორც ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ნაწილს. მართლაც, გენდერული თანასწორობის და უმცირესობების უფლებების ხელშეწყობა არის როგორც ასოცირების შეთანხმებაში, ასევე, ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმაში (VLAP) როგორც პოლიტიკური დიალოგის ერთ-ერთი მიზანი, რომელიც მიმართულია ადამიანთა, უმცირესობების ჩათვლით, უფლებების დაცვის უზრუნველყოფისკენ. ასოციაციის დღის წესრიგი და VLAP წარმოადგენენ ძირითად ინსტრუმენტებს, რომლებშიც მითითებულია საქართველოს ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოების მიზნები და ორიენტირები. უმცირესობათა უფლებების მხრივ, ისინი პრიორიტეტს ანიჭებენ გაეროს (UN) და ევროსაბჭოს (CoE) დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლაზე მიმართული სათანადო დოკუმენტების ხელმოწერას, რატიფიცირებას და დანერგვას. მეტიც, 2021-2027 წლების ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების დღის წესრიგი პირდაპირ მოუწოდებს გენდერული თანასწორობის გაუმჯობესებას, სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში სამართლიანი მოპყრობის უზრუნველყოფას და ყველა სოციალური ჯგუფის ადამიანების უფრო მეტი ინტეგრაციისა და შემწყნარებლობის წახალისებას. თანაბარი მოპყრობა და ანტი-დისკრიმინაცია, ასევე, წარმოადგენდა VLAP-ის ძირითად აქცენტს უმცირესობათა უფლებების სფეროში, ვინაიდან მისი მიზანია სამგზავრო დოკუმენტებთან თანაბარი წვდომის უზრუნველყოფა და გამჭვირვალობა საქართველოს მოქალაქეობის მიღების პროცესში.

Le Grix (2020), ხაზს უსვამს უმცირესობათა უფლებების დაცვასთან დაკავშირებული საკითხების სათანადოდ გადაწყვეტის აუცილებლობას ევროკავშირის საქართველოსთან ურთიერთობის კონტექსტში, და ამტკიცებს, რომ ასოციაციის ინსტრუმენტებში ინტეგრაციის კომპონენტს არასაკმარისი ყურადღება ექცევა. უმცირესობათა ინტეგრაციის ძალისხმევა, განსაკუთრებით, ბილინგვურ განათლებაში, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, სამოქალაქო, პოლიტიკური და კულტურული ჩართულობა – ეს არის უმცირესობათა უფლებების არსებითი ელემენტები. შესაბამისად, ევროკავშირმა მათ უნდა შეხედოს, როგორც საფუძველს საქართველოს დემოკრატიისა და ადამიანთა უფლებების განვითარებისთვის (Le Grix, 2020: 3).

მეცნიერები აცხადებენ, რომ პოლიტიკური ნებისა და საჭირო მატერიალური სახსრების ნაკლებობა არსებით როლს თამაშობს იმის გადაწყვეტაში, სრულდება თუ არა, ან როგორ სრულდება საქართველოში უმცირესობათა დაცვის არსებული პოლიტიკა (Storm, 2019: 20; Kadagishvili, 2019: 34). ასევე, აღსანიშნავია, რომ დღესდღეობით საქართველოში უმცირესობათა განათლებისთვის მასწავლებლების ნაკლებობა, პლურალისტურ-ინტეგრაციული განათლების მოდელი, ეთნიკური უმცირესობების ჯგუფების გაუცხოება და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხები იწვევს ფუნდამენტურ პრობლემებს სხვადასხვა ასპექტში. გარდა ამისა, ქვემო-ქართლის მოსახლეობისთვის არ არის ხელმისაწვდომი

საგანმანათლებლო და კულტურული დაწესებულებები (Gelovani და სხვ., 2017: 1799). ქვეყანაში უმრავლესობა-უმცირესობის ურთიერთობების სხვადასხვა სექტორზე ზეგავლენას ახდენს ეს გამოწვევები, საზოგადოების განწყობა და საქართველოს სახელმწიფოში არსებული ფინანსური სირთულეები.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ენაში არაკომპეტენტურობა ფართოდ არის მითითებული, როგორც გამოკვლეული ჯგუფის დაბალი ჩართულობის დონის მიზეზი, მაშინაც კი, როდესაც უმცირესობებმა კარგად იციან ქართული ენა, რჩება სამოქალაქო და პოლიტიკურ ჩართულობასთან დაკავშირებული პრობლემები.

ინფორმაციის ნაკლებობა მითითებულია, როგორც ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც ზღუდავს უმცირესობის ქალებისთვის მომსახურების ხელმისაწვდომობას. კანონის არცოდნა, ასევე, ქალთა უფლებებისა და შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის არქონა ხელს უშლის მათ თავიანთი ნამდვილი ფასეულობისა და სიძლიერის სრულად აღქმაში. სამართლებრივი განათლების/საკანონმდებლო ცოდნის ნაკლებობა ამ ჯგუფს საკუთარი უფლებების ცოდნის გარეშე ტოვებს.

ეთნიკური აზერბაიჯანელი ქალების ქართულ საზოგადოებაში დაბალი ინტეგრაციის ერთ-ერთი მიზეზია მათი განათლება. უმცირესობათა ენაზე ფუნქციონირებად სკოლებში მოსწავლეთა განათლების ხარისხში არსებული განსხვავებები კვლავ რჩება მისაღებ გამოცდაზე დაბალი ქულის მიღების მიზეზი. შესაბამისად, ნაკლები ეთნიკურად აზერბაიჯანელი ჩაირიცხა უნივერსიტეტებში, ვიდრე სხვა შემთხვევაში შეიძლებოდა ყოფილიყო. კვლევებმა აჩვენა უმაღლესი განათლების დაბალი დონე (5%) საქართველოს ეთნიკურ აზერბაიჯანელებში (გაეროს ქალთა ორგანიზაცია 2014: 5; CRRC 2019), როდესაც ეს რიცხვი გაცილებით მაღალია (41%) ქართველებისთვის (CRRC 2019). დღესდღეობით, ვინაიდან სახელმწიფოს მიზანია ქართული ენის სწავლება საშუალო სკოლებში, ისევე, როგორც 1+4 პროგრამა, რომელიც განკუთვნილია ქართულ უნივერსიტეტებში ეროვნული უმცირესობების სტიმულირებისთვის, ახალგაზრდებს შორის გამოჩნდა მზარდი ინტერესი ქართული, როგორც სახელმწიფო ენის, შესწავლისადმი. იმ ადამიანთა რიცხვი, ვინც ქართულ ენას სწავლობს, მზარდია. გელოვანი და სხვების შესაბამისად (2017: 1799), ახალგაზრდა თაობას უკეთ ესმის ქართული ენა და უფრო მეტად სურს ქართულ საზოგადოებასთან ინტეგრირება, ვიდრე უფროს თაობას. თუმცა, პოზიტიური ნიშნების მიუხედავად, ქართული ენის ცოდნის დონე ეთნიკურ აზერბაიჯანელებს შორის კვლავ დაბალი რჩება (CRRC 2019). ჯერ ისევ მაღალია ქვემო ქართლში აზერბაიჯანელი ქალების პროცენტულობა, რომლებმაც არასათანადოდ იციან ქართული ენა (Gelovani და სხვ., 2017: 1799).

დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჯერ ისევ არსებობს რამდენიმე ხარვეზი საქართველოს პოლიტიკაში, რომელიც ეხება საქართველოს ეთნიკური აზერბაიჯანელი ქალების სოციალური ინტეგრაციის პროცესს. ერთადერთი დადებითი, რაც შეიძლება ვნახოთ ბილინგვური განათლების პოლიტიკის ნამოწყებაში და 1+4 - ის დანერგვაში, არის ეთნიკური უმცირესობებიდან ახალგაზრდა ადამიანებისთვის ქართული ენის შესწავლის მოტივაციის ზრდა, რამაც შეიძლება მოუტანოს მათ გრძელვადიანი პოზიტიური შედეგები.

ენდოგენური, ანუ შიდა ფაქტორები

ურთიერთდაკავშირებული შიდა ფაქტორები, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ ეთნიკური აზერბაიჯანელი ქალების ინტეგრაციაზე ქართულ საზოგადოებაში, შეიძლება შემდეგნაირად დავაჯგუფოთ:

a. ადრეული ქოხწინება

საქართველოში არის ადრეული/ ბავშვთა ქორწინების უმაღლესი დონე ევროპაში (UNICEF 2016: 151). საქართველოში ქალთა დაახლოებით 14% თხოვდება 18 წლის ასაკამდე (CRRC 2019: 1). გენდერის კვლევის ექსპერტები და არასამთავრობო ორგანიზაციების წამყვანი ქალები აცხადებენ, რომ ადრეული ქორწინება არის ყველაზე დიდი დაბრკოლება ქალების ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური აქტივობისთვის საქართველოში. მართალია, ადრეული ქორწინება მთელ საქართველოში ხდება, ეს უფრო ჩვეული მოვლენაა გარკვეულ ეთნიკურ და რელიგიურ საზოგადოებებში, ქვემო-ქართლის ჩათვლით (UNFPA, 2014: 4). გაეროს ქალების მიერ ჩატარებულმა კვლევამ იმ რაიონში, სადაც ცხოვრობენ ეთნიკური უმცირესობის ჯგუფები (აზერბაიჯანელები, სომხები და ა.შ.) აჩვენა, რომ დაქორწინებული ქალების 32% დაქორწინდა 18 წლის ასაკის მიღწევამდე (გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2014: 5). შემდგომმა კვლევამ, ასევე, აჩვენა, რომ საქართველოს სამ ძირითად ეთნიკურ ჯგუფს შორის, ეთნიკურ

აზერბაიჯანელ გოგონებში (37.6 %) უფრო მაღალია ბავშვთა ასაკში დაქორწინების რისკი, ვიდრე ქართველ (12.4 %) და სომეხ გოგონებში (4.5 % დაქორწინდა 18 წლის ასაკში) (Hoare, 2020: 15). ვინაიდან ახალგაზრდა ასაკში გათხოვილი გოგონების რიცხვი ძალიან მაღალია ეთნიკურ აზერბაიჯანელებს შორის ქვემო ქართლის რეგიონში, აზერბაიჯანელი მამაკაცების სიტუაცია არ არის დიდად განსხვავებული (Peinhopf, 2014: 9).

18 წლამდე გათხოვილი გოგონების უმეტესობა არ ფიქრობს უმაღლეს განათლებაზე (Gupta და სხვ., 2018: 39). ადრეული ქორწინება მიჩნეულია ერთ-ერთ მთავარ მიზეზად, თუ რატომ წყვეტენ გოგონები უმაღლესი განათლების მიღებას (UNFPA, 2014: 8). შემთხვევების უმეტესობაში, სოფლებში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებში, მასწავლებლებმა და ადგილობრივმა საზოგადოებამ არ იცის ადრეული ქორწინების უარყოფითი შედეგების შესახებ. ისინი ხშირად მონაწილეობენ ქორწილის მოწყობის პროცესშიც (UNFPA, 2014: 5).

მდგრადი განვითარების პროგრამული (SDGs) მიზანი No.5.3 გულისხმობს „ყველა მავნე პრაქტიკის, როგორცაა ბავშვთა/ადრეულ ასაკში დაქორწინება, გაუქმებას“. ამის მსგავსად, სტამბოლის კონვენციის 37(1) მუხლით, სახელშეკრულებო მხარეებმა უნდა მიიღონ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომა, რათა უზრუნველყონ ბავშვის ან ზრდასრულის ძალადობრივი ქორწინების კრიმინალიზება.

საქართველოს კანონის შესაბამისად, დაქორწინებისთვის მინიმალური ასაკი არის 18 წელი. ადრე ახალგაზრდა მამაკაცებს ან ქალბატონებს შეეძლოთ უფრო მცირე ასაკში დაქორწინება, ოღონდ, მათი მშობლების თანხმობით. 2017 წელს სახალხო დამცველის წინადადებით სრულად აიკრძალა 18 წლამდე ასაკის გოგონების გათხოვება.

სტატისტიკა აჩვენებს, რომ 2017 წელს იყო მცირე, თუმცა, არა მნიშვნელოვანი ცვლილება/ შემცირება მოსახლეობაში (მამაკაცები და ქალები), რომლებიც დაქორწინდნენ 16-19 წლის ასაკში. ადრეულ ასაკში გათხოვილია გაცილებით უფრო მეტი, ვიდრე იგივე ასაკის მამაკაცებია დაქორწინებული.

ცხრილი 1. (16–19) წლის ასაკის დაქორწინებული ადამიანების ხიცხვი და სქესი

წლები	მამაკაცი	ქალი
2017	386	2213
2018	326	2054
2019	294	1933

წყაიხი: საქართველოს ეხოვნური სტატისტიკის სამსახური

საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში ისტორიული, ინსტიტუციური და სამართლებრივი განვითარების მიუხედავად, ბავშვთა/ადრეულ ასაკში დაქორწინების პრობლემები ჯერ კიდევ არსებობს. ადრეული ქორწინებების უმეტესობა არ არის ოფიციალურად რეგისტრირებული, ვინაიდან ისინი ხდება მხოლოდ ეკლესიებში ან მეჩეთებში (Ellena, 2015).

პაგაჩდის მოტაცება, პრაქტიკა, როდესაც მამაკაცი იტაცებს ქალს, რომლის ცოლად მოყვანაც სურს (შემთხვევების უმეტესობაში ამ ქალის ნების გარეშე), არსებობს მთელ მსოფლიოში და ისტორიულადაც. ეს პრაქტიკა, ასევე, შეიმჩნევა შუა აზიაში, კავკასიის რეგიონში და სხვა ქვეყნებში; და ჯერ კიდევ არსებობს ეთნიკურ აზერბაიჯანელებს შორის საქართველოში.

საქართველოში ქვეყნის დამოუკიდებლობის დღიდან პატარძლის მოტაცება იყო ჩვეულებრივი პრაქტიკა აზერბაიჯანულ საზოგადოებაში და ის გოგონების მიერ განათლების მიღების ერთ-ერთი ყველაზე მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენდა. ეთნიკურად აზერბაიჯანელ გოგონებს ან იტაცებდნენ, სანამ ისინი აღწევდნენ უმაღლესი განათლების ასაკს, ან არ უშვებდნენ უმაღლეს სასწავლებლებში იმის შიშით, რომ არ მოეტაცათ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სასჯელაღსრულების კანონში შესრულებულმა რეფორმებმა მნიშვნელოვნად შეამცირა ეს პრაქტიკა, პატარძლის მოტაცების შემთხვევები დღესაც შეიმჩნევა. ამ საკითხში ყველაზე კრიტიკული პრობლემა ისაა, რომ უფროსი თაობის ზოგიერთი ადგილობრივი წარმომადგენელი ამას ეროვნულ წეს-ჩვეულებად თვლის და ხელს უწყობს ასეთ პრაქტიკას. ასეთი მოპყრობის გამო, სავარაუდოდ, სახელმწიფო დაწესებულებები თვალს ხუჭავენ აღნიშნულ მოვლენებზე. სახელმწიფო და ცენტრალური მთავრობა ნაკლებ ყურადღე-

ბას აქცევს ასობით სამართალდარღვევას არასრულწლოვანი ბავშვების მიმართ. ამავდროულად, ისინი სიფრთხილით იცავენ სხვა რეგულაციებს (სისვაძე, 2017).

b. ჰელიგიური ფაქტორები

კულტურული და რელიგიური ნორმები მუსულმანურ საზოგადოებებში ჩვეულებისამებრ ახდენენ ქალების მიერ განათლების მიღების პრევენციას (Rahman, 2012: 355, 356).

საქართველოში, ეთნიკური აზერბაიჯანელები შეადგენენ მუსულმანი მოსახლეობის უმეტესობას. ბევრი ეთნიკური აზერბაიჯანელი ახდენს რელიგიის იდენტიფიცირებას მათ ეროვნულ კულტურასთან და განსაზღვრავს მას, როგორც კულტურისა და ტრადიციების განუყოფელ ნაწილს (Prasad, 2012: 5; Sanikidze და სხვ., 2004: 25).

მიუხედავად იმისა, რომ ეთნიკური აზერბაიჯანელები თავიანთ თავს უპირატესად მუსულმანებად თვლიან, გრძელვადიანმა საბჭოთა წესებმა და პოლიტიკამ მოახდინა მათი მარგინალიზაცია თავიანთი რელიგიური ფასეულობებისგან. ამ შემთხვევებმა გამოიწვია რელიგიური უცოდინრობა ან რელიგიის არასწორი გაგება საზოგადოებაში. მოცემულმა მიდგომამ შემდგომში შეზღუდა ეთნიკურად აზერბაიჯანელი ქალების უფლებები და თავისუფლებები. გარდა ამისა, ისლამის არასწორი გაგება და ტრადიციული ცხოვრების წესი, განსაკუთრებით სოფლებში, აწესებს შეზღუდვებს ქალების სოციალურ აქტივობასთან დაკავშირებით (კავკასიური სახლი, 2016: 22).

c. ოჯახური გახეობა

კოლმანის ნაშრომი გვიჩვენებს, რომ ოჯახებს შეუძლიათ ითამაშონ ბევრად უფრო კრიტიკული როლი მოსწავლეების აკადემიურ წარმატებაში, ვიდრე სკოლებს და საზოგადოებებს (Coleman, 1966). იმ დროიდან მოყოლებული, ოჯახური გარემოსა და ბავშვთა წარმატების ემპირიული კვლევებით ვლინდებოდა, რომ ოჯახის სოციოეკონომიკურ სტატუსს შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს ბავშვების აკადემიურ მიღწევებზე უფრო მეტად, ვიდრე სკოლებს (Cheadle, 2008; Shirin, 2005; White, 1980). საქართველოში აზერბაიჯანული ოჯახების სოციალურ სტატუსზე ზემოქმედებას ახდენს მათი უმაღლესი განათლების დაბალი მაჩვენებელი. პოსტ-საბჭოთა დროს ინტელიგენციის რიცხვი სოფლებში შემცირდა საბჭოთა დროსთან შედარებით. შედეგად, ამ ფაქტორმა უარყოფითი გავლენა იქონია საზოგადოების განათლებისადმი მისწრაფებაზე.

როდესაც ოჯახების ეკონომიკური სიტუაცია საშუალებას აძლევს მათ დააფინანსონ საკუთარი შვილების განათლება, ხშირად უპირატესობას ანიჭებენ ბიჭებს. საუკუნეების მანძილზე ასეთი აზროვნება ახასიათებდა არა მარტო ეთნიკურ აზერბაიჯანელებს, არამედ კავკასიისა და აღმოსავლეთის მრავალსაუკუნოვანი ცხოვრების სტილსაც (Dudwick, 2005: 5). მაშინ, როცა ბიჭები ითვლებიან მემკვიდრეებად და გვარის მატარებლებად, გოგონები აღიქმებიან ე.წ. დროებით მდგომარეობაში მყოფებად, რაც ნიშნავს იმას, რომ ისინი იქ დაიბადნენ, მაგრამ რჩებიან მხოლოდ ქორწინებამდე. გაეროს მოსახლეობის ფონდის კვლევის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, მათ შორის ქვემო ქართლში, ბოლო ათწლეულის განმავლობაში აღინიშნება მამრობითი სქესის შობადობის კლების ტენდენცია, ამ რეგიონებში კვლავაც ქარბობს ვაჟებისადმი აღმატებული დამოკიდებულება (UNFPA, 2019).

d. სოფლებში დასახლება

ინტეგრაციის პროცესებში ეთნიკურ-რეზიდენტული სეგრეგაციაც დაბრკოლებად არის მიჩნეული. მიმდინარეობს ფართო დებატები იმის შესახებ, რომ უმცირესობათა ჯგუფის წევრები, რომლებიც ცხოვრობენ უმცირესობათა ჯგუფში თანა-ეთნიკურ ხალხთან ერთად, ნაკლებად ინტეგრირდებიან უმრავლესობის საზოგადოებაში (მაგ. Gijssberts და სხვ., 2007: 807; Danzer და სხვ., 2013: 323). თუმცა, უმრავლესობის მოსახლეობასთან კომუნიკაცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სახელმწიფო ენის შესწავლისთვის, ორმხრივი გაგების ხელშეწყობისა და აკულტურაციის პროცესებისთვის (Gijssberts და სხვ., 2007: 809).

სოფლებში, ქალაქებში, რაიონებში, ასევე, სკოლებში, საგანმანათლებლო რესურსების განაწილება ჰეტეროგენულია, რის გამოც სკოლის ხარისხი უნდა მიჩნეული იყოს არსებით ფაქტორად, როდესაც ვსაუბრობთ კავშირზე ქვემო-ქართლში ეთნიკური აზერბაიჯანელი გოგონების ოჯახურ გარემოსა და

განათლებაში მათ მიღწევებს შორის. ინოვაციური სასწავლო ინსტრუმენტები, რომელიც კონცენტრირებულია საკვანძო სკოლებში, მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენენ ბავშვებისთვის შემდეგი დონის საგანმანათლებლო შესაძლებლობების ხელმისაწვდომობაზე. გათვალისწინებული უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ეთნიკური აზერბაიჯანელების უმეტესობა ცხოვრობს ქვემო ქართლში, სადაც სკოლები სავალალო მდგომარეობაშია ქალაქის სკოლებთან შედარებით. ზოგიერთ სოფელში სკოლა საერთოდ არ არის. ამ ფაქტორის გამო მოსაწვლეთა ნაწილს უწევს ახლომდებარე სოფლების/რაიონების სკოლებში ან ქალაქში არსებულ სკოლაში სიარული, როცა ამის საშუალებას ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა იძლევა.

ბევრი ბავშვი, განსაკუთრებით გოგონები, აწყდებიან სირთულეებს სკოლაში ხანგრძლივი და საფრთხისშემცველი მგზავრობის დროს. ეს სტუდენტები, სავარაუდოდ, მგზავრობენ საზოგადოებრივი ტრანსპორტით. არასაკმარისად განვითარებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა ართულებს მოშორებულ სოფლებთან კომუნიკაციას. სოფლის მაცხოვრებლები მოჭრილნი არიან საგანმანათლებლო და კულტურული გარემოსგან (Sikharulidze და სხვ., 2016: 75). ზოგიერთ სოფელსა და ქალაქში რეგულარული საზოგადოებრივი ტრანსპორტის ნაკლებობა ეთნიკური აზერბაიჯანელი გოგონებისთვის, რომლებიც ცხოვრობენ სოფლებში, ართულებს საგანმანათლებლო შესაძლებლობების ხელმისაწვდომობას. იგივე პრობლემები იჩენს თავს უმაღლესი განათლების დაწესებულებებთან მიმართებაში.

დასკვნა

საქართველოში ეთნიკური აზერბაიჯანელი ქალების სოციალური ინტეგრაციის შესწავლა არსებითად მნიშვნელოვანია, ვინაიდან სოციალური ინტეგრაცია კრიტიკულ როლს თამაშობს დემოკრატიულ საზოგადოებაში. ეს ნაშრომი, რომელშიც გამოყენებულია საყოველთაოდ მიღებული სოციალური ინტეგრაციის ინდიკატორები, ავლენს დაბალი სოციალური ინტეგრაციის დონეს საქართველოში ეთნიკურ აზერბაიჯანელ ქალებს შორის და ადგენს მასზე ზემოქმედ ფაქტორებს.

სოციალური ინტეგრაცია არის ორმხრივი პროცესი და ერთდროულად უნდა განხორციელდეს უმრავლესობისა და საკვლევი ჯგუფის მიერ.

სახელმწიფოს ანტიდისკრიმინაციულ ღონისძიებებს შეუძლიათ დადებითი ზემოქმედების მოხდენა უმცირესობათა სოციალურ ინტეგრაციაზე. „ანტიდისკრიმინაციული ღონისძიება“ ნიშნავს პოზიტიურ ნაბიჯებს, რომლებიც გადადგმულია ქალებისა და უმცირესობების დასაქმების, საგანმანათლებლო და კულტურულ პროცესებში ჩართულობის გაზრდისთვის, რასაც ისინი ისტორიულად იყვნენ მოკლებულნი (Fullinwider, 2018). 2010 წლიდან საქართველომ დაიწყო ანტიდისკრიმინაციული ღონისძიების პოლიტიკა. საქართველოს მთავრობამ გადადგა პრაქტიკული ნაბიჯი ეროვნულ უმცირესობებთან წინა წლებში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაწერა „1+4“ ქვოტის სისტემა 2010 წლიდან. ქვოტის სისტემის ამ რეფორმამ წამოიწყო ქართული ენის შემსწავლელი ერთწლიანი პროგრამა, რომელიც ეთნიკური უმცირესობების მოსწავლეებს ამზადებს, რომ იოლად გადავიდნენ საუნივერსიტეტო პროგრამებზე. კვლევები აჩვენებს ამ ანტიდისკრიმინაციული ღონისძიებების ეფექტურობას ეთნიკური უმცირესობებისთვის. „1+4“ სისტემაში ჩარიცხული ეთნიკური აზერბაიჯანელი სტუდენტების რიცხვი 2010 წლიდან საგრძნობლად გაიზარდა (Tabatadze და სხვ., 2017: 28).

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველომ განახორციელა ბევრი რეფორმა საზოგადოებაში დემოკრატიული ღირებულებების დასაწერად, ცდილობდა რა მოეყვანა კანონმდებლობა საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში და ხელი შეეწყო გენდერული თანასწორობისთვის. ბოლო წლების განმავლობაში ქალებისა და გოგონების პროგრესის აჩქარებისთვის ქვეყანაში ბევრი საკითხი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, დისკრიმინაციის დაძლევისთვის და ქალებისა და გოგონების უფლებების ხელშეწყობისთვის. თუმცა, კვლევები აჩვენებს, რომ ნორმატიული აქტებისა და პოლიტიკის დოკუმენტების შესრულება არ არის ადეკვატური და ხელს უშლის ქალებისა და გოგონების თანასწორობას (USAID საქართველო, 2018).

უმცირესობების წარმომადგენლებმა, თავის მხრივ, უნდა მოახდინონ სოციალური ინტეგრაციისადმი ინტერესის დემონსტრირება, მათ შორის, ცოდნისა და განათლების დონის ამაღლებით, სოციალურ პროგრამებში აქტიური ჩართულობით და საკუთარ საზოგადოებაში არსებულ დისკრიმინაციასთან ბრძოლით, რაც ხელს უშლის მათ განათლების მიღებასა და რესურსებზე ხელმისაწვდომობაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Abrahamyan, M., Mammadova, P., & Tskhvariashvili, S. (2018). Women challenging gender norms and patriarchal values in peacebuilding and conflict transformation across the South Caucasus. *Journal of Conflict Transformation, Caucasus Edition*, 3(1), 46-71.
- Ager, A., & Strang, A. (2008). Understanding integration: A conceptual framework. *Journal of refugee studies*, 21(2), 166-191.
- Aliyeva, L. A. (2020). Gender and society in the Caucasus. In *Routledge Handbook of the Caucasus* (pp. 389-400). Routledge.
- Bowleg, L. (2012). The problem with the phrase women and minorities: intersectionality—an important theoretical framework for public health. *American journal of public health*, 102(7), 1267-1273.
- Brody, A. (2018). *Georgia Country Gender Assessment*. Asian Development Bank.
- Bujiashvili, N. (2018). *The Concept of Multiculturalism and the Implementation of the Idea of Cultural Diversity in Georgia*. Master Thesis. Tbilisi: University of Georgia.
- Cheadle, J. E. (2008). Educational investment, family context, and children's math and reading growth from kindergarten through the third grade. *Sociology of Education*, 81(1), 1-31.
- Coleman, J. S. (1966). *Equality of Educational Opportunity [summary Report]* (Vol. 1). US Department of Health, Education, and Welfare, Office of Education.
- Collins, P. H. (1990). Black feminist thought in the matrix of domination. *Black feminist thought: Knowledge, consciousness, and the politics of empowerment*, 138, 221-238.
- Crenshaw, K. (1989). Demarginalizing the intersection of race and sex: A black feminist critique of antidiscrimination doctrine, feminist theory and antiracist politics. *University of Chicago Legal Forum*: Vol. 1989, Article 8: 139.
- Cruz-Saco, M. A. (2008, July). Promoting social integration: Economic, social and political dimensions with a focus on Latin America. In *United Nations, Department of Economic and Social Affairs, Division for Social Policy and Development in collaboration with the Government of Finland, Expert Group Meeting, "Promoting Social Integration"* (pp. 8-10).
- Danzer, A. M., & Yaman, F. (2013). Do ethnic enclaves impede immigrants' integration? Evidence from a quasi-experimental social-interaction approach. *Review of International Economics*, 21(2), 311-325.
- Dudwick, N. (2015). 'Missing Women' in the South Caucasus: Local perceptions and proposed solutions". *World Bank*.
- Gabunia, K. (2014). "The Language Situation in Contemporary Georgia. Caucasian and Non-Caucasian Languages". *International Journal of Multilingual Education*. 4: 1-21.
- Gelovani, N., Ismailov, D., & Bochorishvili, S. (2017). Islam, Gender and Education in Contemporary Georgia: The Example of Kvemo Kartli. *International Journal of Humanities and Social Sciences*, 11(7), 1845-1849.
- Gijsberts, M., & Dagevos, J. (2007). The socio-cultural integration of ethnic minorities in the Netherlands: Identifying neighborhood effects on multiple integration outcomes. *Housing studies*, 22(5), 805-831.
- Gupta, T., et al. (2018). *"Exploring Harmful Practices of Early/Child Marriage and FGM/C in Georgia"* – Results from a Qualitative Research. Tbilisi, Georgia and Washington, DC; National Center for Disease Control and Public Health, Promundo US, United Nations Population Fund (UNFPA) United Nations Children's Fund (UNICEF).
- Hankivsky, O., & Christoffersen, A. (2008). Intersectionality and the determinants of health: a Canadian perspective. *Critical Public Health*, 18(3), 271-283.
- Kachkachishvili, I. et al. (2012). *Study of Social and Economic Conditions and Attitudes of Kvemo Kartli Population*. Tbilisi: Universal.
- Kadagishvili, N. (2019). *An Assessment of the Educational Needs of Ethnic Minorities in Georgia from an Education Policy Perspective*. Master Thesis. Budapest: Central European University.
- Kahraman, A. (2021). Azeris and Muslim Ajarians in Georgia: The swing between tolerance and alienation. *Nationalities Papers*, 49(2), 308-325.
- Kakhishvili, L. (2018). Competing for Votes of Ethnic Minorities in Georgia: The 2017 Local Elections. *Center for Studies of Ethnicity and Multiculturalism: Tbilisi*. Available at: http://csem.ge/wp-content/uploads/2018/06/Competing-for-Votes-of-Ethnic-Minorities_Eng.pdf.
- Le Grix, V. (2020). Beyond Protection: Why the EU Should Shift to Ethnic Minority Integration in Georgia. College of Europe Policy Briefs September 6 (20), 1-5.

- Little, W., et al., (2014). Introduction to Sociology-1st Canadian edition. *Victoria, BC: B.C. campus*. Retrieved from <https://opentextbc.ca/introduction-to-sociology>.
- Mandl, S. (2011). Women in Azerbaijan Peace, Security and Democracy from a Women's Rights perspective. *Ludwig Boltzmann Institute of Human Rights*.
- Martelli, S. (2019). Muslim girls' social integration into European countries, *Quaderni di Sociologia*, 80, 51-68.
- Peinhopf, A. (2014). Ethnic minority women in Georgia-facing a double burden? *Flensburg: European Centre for Minority Issues* 74, 1-40.
- Prasad, C. (2012). Georgia's Muslim Community: A Self-Fulfilling Prophecy? *European Centre for Minority Issues* 58, 1-24.
- Rahman, F. Z. (2012). Gender equality in Muslim-majority states and Shari'a family law: is there a link? *Australian Journal of Political Science*, 47(3), 347-362.
- Sanikidze, G., & Walker, E. W. (2004). Islam and Islamic practices in Georgia. Berkeley Program in Eurasian and East Eurasian Studies. UC Berkeley: Berkeley Program in Soviet and Post-Soviet Studies.
- Sanikidze, G. (2018). Muslim Communities of Georgia: Old Problems and New Challenges. *Islamophobia Studies Journal*, 4(2), 247-265.
- Strobl, R. (2007) Social integration and inclusion // The Blackwell Encyclopedia of Sociology. Vol. IX. Blackwell Publishing.
- Tabatadze, S., & Gorgadze, N. (2017). Affirmative action policy in admissions system of higher education of post-Soviet Georgia. *Journal of Applied Research in Higher Education*. 9(3), 363-377.
- Sikharulidze, A. and Urushadze, M. (2016). Islam in Georgia and the integration policy. *Pathways to Peace and Security*. 2 (51), 71-86.
- Sirin, S. R. (2005). Socioeconomic status and academic achievement: A meta-analytic review of research. *Review of educational research*, 75(3), 417-453.
- Storm, K. J. (2019). *The dynamics of identity negotiation in a border region: the case of the Georgian Azeri-Turks of Kvemo Kartli* (Doctoral dissertation, Itä-Suomen yliopisto).
- UNAG. (2008). National Integration and Tolerance in Georgia: Assessment Survey Report 2007–2008.
- UN Women (2014). Study on the Needs and Priorities of Ethnic Minorities Women in the Kvemo Kartli Region. Tbilisi, Georgia: Institute for Social Studies and Analysis (ISSA).
- Valehoğlu, F. (2005). *Qarapapaqlar və onların XIX əsr hərbi tarixi*. Bakı: "Səda" nəşriyyatı.
- Vervoort, M. and Jaco, D. (2011). The social integration of ethnic minorities: An explanation of the trend in ethnic minorities' social contacts with natives in the Netherlands, 1998–2006. *Journal of Ethnic and Migration Studies* 37(4), 619-635.
- White, K. R. (1980). Socio-economic status and academic achievement. *Evaluation in Education*, 4, 79-81.
- Wuthnow, R., & Hackett, C. (2003). The social integration of practitioners of non-Western religions in the United States. *Journal for the Scientific Study of Religion*, 42(4), 651-667.
- Yılmaz, A. and Ögütçü, Ö.N. (2016). Borçalı Türkleri: Sosyo-Ekonomik Durum, Siyasi Katılım ve Entegrasyon. In *Gürcistan'daki Müslüman Topluluklar: Azınlık Hakları, Kimlik, Siyaset*, edited by Aydingün, A., Asker, A. and Yavuz Ş. A. 245–273. Ankara: Terazi..
- Zviadadze, S., Jishkariani, D., & Mikeladze, T. (2018). Identity Issues among Azerbaijani Population of Kvemo Kartli and Its Political and Social Dimensions. *Human Rights Education and Monitoring Center*.

ინტერნეტ წყაროები:

- Bakhturidze, D., et al. (2017). "Sustainable Development Goal # 5 Gender Assessment in Georgia". <http://www.parliament.ge/uploads/other/86/86668.pdf> (Last visited: 07.01.2021).
- Caucasus Research Resource Center (2019). "Child Marriage in Georgia: Economic and Educational Consequences. POLICY BULLETIN. http://crrc.ge/uploads/tinymce/documents/PolicyBriefs/Early_Marriage_Policy_Brief.pdf (Last visited: 27.11.2020).
- Caucasus Research Resource Center (2019). *Public Attitudes in Georgia 2019*. <https://caucasusbarometer.org/en/na2019ge/KNOWGEO-by-ETHNIC/> (Last visited: 24.10.2020).

- Caucasus Research Resource Center (2019). *Public Attitudes in Georgia 2019*.
<https://caucasusbarometer.org/en/cb2019ge/RESPEDU-by-ETHNIC/> (Last visited: 24.10.2020).
- Caucasus Research Resource Centers. 2019. *Public Attitudes in Georgia 2019*.
<https://caucasusbarometer.org/en/cb2019ge/ETHNIC-by-MARWGEO/> (Last visited: 23.10.2020).
- Ellena, M. (2015). "Georgia's Child Brides: Opting for Marriage over School". *Eurasianet*. <https://eurasianet.org/georgias-child-brides-opting-for-marriage-over-school> <https://eurasianet.org/georgias-child-brides-opting-for-marriage-over-school> (Last visited: 16.12.2020).
- JAM News (2017). *Fate of the kidnapped*. <https://jam-news.net/the-kidnapped-fates/> (Last visited: 16.12.2020).
- Hoare, J. P. (2020). *Child Marriage in Georgia*.
https://georgia.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/Child_Marriage_in_Georgia_ENG.pdf (Last visited: 05.01.2021)
- Osepashvili, I. (2013). *General Comparison of ethnic Georgians' attitudes towards Armenians and Azerbaijanis*. At: http://css.ge/wp-content/uploads/2019/07/armenia_azer.pdf (Last visited: 06.11.2020).
- Parliament of Georgia. *List of MPs*. <http://www.parliament.ge/en/parlamentarebi/deputatebis-sia.htm> (Last visited: 16.01.2021)
- Public Defender of Georgia (2018). *The Situation of Human Rights and Freedoms in Georgia*. At: <https://ombudsman.ge/res/docs/2019101108583612469.pdf> (Last visited: 12.12.2020)
- Sikharulidze, A., et al. (2016). Islam in Georgia: Policy and Integration (Research Report). Caucasian House, Tbilisi. <http://caucasianhouse.ge/wp-content/uploads/2017/04/Islam-in-Georgia-ENG.pdf> (Last visited: 04.12.2020).
- Sisvadze, N. (2017). *Fate of the Kidnapped*. https://jam-news.net/the-kidnapped-fates/?fbclid=IwAR1Yy2QuQtR5FBv8RoxW4glv9jU9B4c56O3D12w_oYCFIZW4aB-bdD6GriY (Last visited: 16.12.2020).
- UNFPA (2014). *Child marriage in Georgia*. <https://eeca.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/unfpa%20georgia%20overview.pdf> (Last visited: 09.12.2020).
- UNFPA (2019). *Social Economic Policy Analysis with Regard to Son Preference and GBSS*.
<https://georgia.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/A3-%28eng%29.pdf> (Last visited: 02.10.2021)
- UNICEF (2016). *The state of the world's children*.
https://wedocs.unep.org/bitstream/handle/20.500.11822/7531/-The_state_of_the_worlds_children_2016_A_fair_chance_for_every_child-2016The_State_of_the_Worlds_Children_2016.pdf.pdf?sequence=3&isAllowed=y (Last visited: 09.12.2020).
- USAID Georgia (2018). *Gender Equality in Georgia: Barriers and Recommendations*. file:///C:/Users/hp/Downloads/UNDP_GE_DG_Gender_Equality_in_Georgia_VOL1_ENG%20(3).pdf (Last visited: 09.12.2020).

Aytan Merdan Hajiyeva¹

Nino Javakhishvili²

7. SOCIAL INTEGRATION OF ETHNIC AZERBAIJANI WOMEN IN GEORGIA

Abstract

The social integration of ethnic minorities is essential for every democratic state. For Georgia, an ethnically diverse country that sees integration into the Euro-Atlantic space as its primary political priority and follows the EU association agreement, it is crucial to protect the human rights and gender equality of minorities. From this point, a study of minority groups who are at the intersection of different identity and a group affiliation defining factors – ethnicity, religion and gender – is particularly important. This paper focuses on the social integration of Georgian Azerbaijani women, representatives of the country's largest ethnic minority group, who are compactly settled mainly in Marneuli, Bolnisi, Dmanisi, and Gardabani municipalities of the Kvemo-Kartli region. Using data from secondary sources, this paper considers participation, knowledge of the state language, social networks, and intermarriage – the widely used dimensions of integration of minorities in a society – and finds that the integration level of ethnic Azerbaijani women in Georgian society is low. The endogenous and exogenous factors responsible for the low integration are discussed. The paper concludes that the social integration is a two-way process and requires mutual efforts both by the majority society and the group under study.

Keywords: Gender, Georgia, European integration, Social integration, Ethnic minority, Intersection

Introduction

უმაღლესი განათლება მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადამიანის განვითარებაში და ზრდის მისი დასაქმების შესაძლებლობას. განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს პატიმრების უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობით უზრუნველყოფა, რამდენადაც ისინი ერთ-ერთ ყველაზე მონყვლად ჯგუფს წარმოადგენენ და მათ რეაბილიტაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რათა თავიდან იქნას აცილებული რეციდივიზმი, წახალისდეს მათი სრული რესოციალიზაცია და გაძლიერდეს დასაქმების შანსები. წინამდებარე სტატია მიზნად ისახავს შეისწავლოს ქართული კანონმდებლობის შესაბამისობა პატიმრების უმაღლესი განათლების მიღების უფლების საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან, აგრეთვე, გაანალიზოს ამ კუთხით საქართველოს ციხეებში არსებული პრაქტიკა და გამოწვევები. თვისებრივი კვლევის, ასევე, წამყვანი საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების ანგარიშებზე დაყრდნობით, კვლევა გამოკვეთს, რომ მსჯავრდებულთა უმაღლესი განათლებაზე ხელმისაწვდომობა არსებით საჭიროებს წარმოადგენს საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო საკანონმდებლო დონეზე არეგულირებს უმაღლესი განათლების უზრუნველყოფის ზოგიერთ ასპექტს, მისი ხელმისაწვდომობა ვრცელდება მხოლოდ გარკვეული ტიპის დაწესებულებებში განთავსებულ პატიმრებზე. უფრო მეტიც, მცირეა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართულ პატიმართა რაოდენობა, რაც პრაქტიკული მექანიზმების არაუფექტურობაზე მიუთითებს. კვლევა, ასევე, ცხადყოფს, რომ სახელმწიფოს მიერ უმაღლესი განათლებისთვის გამოყოფილ ბიუჯეტთან შედარებით პატიმართა განათლებისთვის გამოყოფილი სახსრები არსებითად მწირია, რაც არასაკმარისია ხარისხიანი საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად. კვლევის შედეგად გაანალიზდა ეროვნული საკანონმდებლო ბაზა საერთაშორისო სტანდარტებისა და ვალდებულებების პერსპექტივიდან, რაც მიზნად ისახავდა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მოთავსებული პატიმრებისთვის განათლების ხელმისაწვდომობის მნიშვნელობის გამოკვეთას.

საკვანძო სიტყვები: უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა, რეაბილიტაცია, მსჯავრდებულები, ციხეები, საქართველო.

შესავალი

განათლების უფლება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლებაა, რომლის რეალიზებაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ ინდივიდის, არამედ მთელი საზოგადოების პიროვნული და პროფესიული შესაძლებლობების განვითარებას. ის აუმჯობესებს სოციალურ უნარებს და საზოგადოების წევრებს ეხმარება ერთმანეთთან კომუნიკაციაში. ადამიანის მიერ სათანადო განათლების მიღება საზოგადოებაში ღირსეული ადგილის დაკმვიდრებას უკავშირდება. რაც უფრო მაღალია მთლიანად საზოგადოების განათლების დონე, მით უკეთესია მისი თითოეული წევრის კეთილდღეობა; თუმცა, საკმარისი არ არის მხოლოდ ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში განათლების უფლების გარანტირება, არამედ, მნიშვნელოვანია მისი პრაქტიკული რეალიზება და საზოგადოების ყველა წევრისთვის მასზე წვდომის

¹ სტატია მომზადდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტის ინგლისურენოვანი ადამიანის უფლებებსა და დემოკრატიზაციაში რეგიონული სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში დაცული სამაგისტრო ნაშრომის საფუძველზე ნინო ლაპიაშვილის ხელმძღვანელობით, ელექტრონული ფოსტა: salome.abuladze.97@gmail.com

უზრუნველყოფა. ამავდროულად, მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ თანაბარი შესაძლებლობები, მიიღონ მათი სურვილებისა და შესაძლებლობების შესაბამისი განათლება (Akbar 1952, 89; Jenks 1946, 40–41).

როტმანი აღნიშნავს, რომ პატიმრობას თავისთავად სარეაბილიტაციო, გამოსასწორებელი მიზანი აქვს. ამასთანავე, ის ეხმარება პატიმრებს საკუთარი თავის აღმოჩენის და სოციალური პასუხისმგებლობის გაძლიერების პროცესში, რაც, საბოლოოდ, ავალდებულებს ხელისუფლებას იზრუნოს მსჯავრდებულთა კეთილდღეობაზე და მინიმუმამდე დაიყვანოს პატიმრობის არასასურველი გვერდითი მოვლენები (Rotman 1986, 1025–1029; 1034–1035). თუ პატიმრები უზრუნველყოფილნი არ იქნებიან რეაბილიტაციის შესაძლებლობებით, დანაშაულის შემცირების მიზანი ვერ იქნება მიღწეული, რადგან ისინი ვერ შეძლებენ საკუთარი თავის უზრუნველყოფას და დანაშაულის ხელახლა ჩადენის თავიდან არიდებას (*Ibid.* 1061). განათლების უფლება მიჩნეულია რეაბილიტაციის შესაძლებლობად (*Ibid.* 1057). რამდენიმე კვლევამ აჩვენა, რომ ციხის განათლება აუმჯობესებს პატიმართა საცხოვრებელ პირობებს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში და ამცირებს რეციდივს; თუმცა, მსჯავრდებულთა განათლების ზოგადი დონე უფრო დაბალია, ვიდრე დანარჩენი საზოგადოების (Hetland et al. 2007, 146).

ევროპული ციხის წესების 28-ე მუხლის პირველი პუნქტი ხაზს უსვამს ციხეებში განათლების აუცილებლობაზე და აღნიშნავს, რომ ყველა ციხე უნდა ცდილობდეს თითოეული პატიმრის უზრუნველყოფას ისეთ საგანმანათლებლო პროგრამებზე წვდომით, რომლებიც მაქსიმალურად ყოვლისმომცველია და აკმაყოფილებს მათ ინდივიდუალურ საჭიროებებს. ამ მუხლის კომენტარი გამოკვეთს ახალგაზრდა პატიმრებისთვის საგანმანათლებლო შესაძლებლობების მოწყობის მნიშვნელობას (CoE 2006, 57).

ციხიდან გათავისუფლების შემდეგ პატიმრებს სხვადასხვა გამონვევასთან გამკლავება უწევთ. მთავარ გამონვევას დასაქმების საკითხი წარმოადგენს (Nally et al. 2014, 17). როგორც წესი, ყოფილ პატიმრებს უჭირთ სამუშაოს მოძიება, სტიგმატიზაციის გამო. აგრეთვე, გარკვეული პერიოდის განმავლობაში მათ აქვთ ნასამართლობის სტატუსი, რა დროსაც, საქართველოს შემთხვევაში, აკრძალულია საჯარო სამსახურში მუშაობა. ამას გარდა, არც კერძო სექტორია მთლად ღია ყოფილი პატიმრებისთვის, რაც ნიშნავს, რომ მათ ფინანსების ალტერნატიული წყაროების მოძიება უწევთ, რამაც შეიძლება ისინი განმეორებითი დანაშაულის ჩადენამდე მიიყვანოს (Case and Fasenfest 2004, 25).

მაშინ, როდესაც ევროპული ქვეყნების უმეტესობა პატიმართა განათლებაზე ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს, საქართველო კვლავ მნიშვნელოვანი გამონვევების წინაშე რჩება. მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი განათლების მიღება ინდივიდის ნებასა და არჩევანზეა დამოკიდებული, საქართველოს მთავრობამ უნდა გადადგას უფრო აქტიური ნაბიჯები ამ პროცესში პატიმართა დინამიური ჩართულობის წახალისებისა და წერილობითი ნორმების პრაქტიკული რეალიზებისათვის.

2017 წელს საქართველოს პატიმრობის კოდექსის 1151-ე მუხლში განხორციელდა ცვლილება, რომლის თანახმადაც, გათავისუფლებისთვის მომზადების და დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, ასევე, არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულებებს მიეცათ განათლების მიღების უფლება აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატი). მოგვიანებით, 2019 წლის პირველი ნოემბრის ცვლილების შედეგად, მაგისტრატურის საფეხურიც გახდა ხელმისაწვდომი გათავისუფლებისთვის მომზადების და დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფი მსჯავრდებულებისთვის. მიუხედავად განხორციელებული პოზიტიური ცვლილებებისა, აღნიშნული ვრცელდება პატიმართა მხოლოდ განსაზღვრულ ჯგუფზე, მაშინ, როდესაც კონსტიტუციის 27-ე მუხლი ყველასთვის უზრუნველყოფს განათლების მიღების და მისი ფორმის არჩევანის თავისუფლებას.

წინამდებარე სტატია გამოკვეთს შემდეგს – მიუხედავად იმისა, რომ ყველა იმსახურებს და აქვს უმაღლესი განათლებაზე ხელმისაწვდომის უფლება, პატიმრების უმაღლესი განათლებას არანაკლები ყურადღება უნდა დაეთმოს სახელმწიფოს მხრიდან, რამდენადაც ისინი წარმოადგენენ მოწყვლად ჯგუფს და უმაღლესი განათლებაზე წვდომამ, დასაქმების შესაძლებლობების გაზრდის გზით, შესაძლოა, გაზარდოს მათი რეაბილიტაციის შანსები.

1. შინაარსობრივი და თეორიული მხარე

განათლების უფლება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლება და მთავარი ინსტრუმენტი საზოგადოების განვითარებისათვის. მნიშვნელოვანია მისი საკანონმდებლო დონეზე გარანტირებასთან ერთად,

პრაქტიკაში რეალიზება და საზოგადოების ყველა წევრისთვის მისი ხელმისაწვდომობა (Akbar 1952, 89; Jenks 1946, 40–41). ინდივიდებს მათი შესაძლებლობების შესაბამისი, საუკეთესო განათლების მიღების საშუალება უნდა მიეცეთ (Akbar 1952, 92–93).

სიტყვა რეაბილიტაცია დაკავშირებულია პატიმართა წახალისების გზით მათი მდგომარეობის გაუმჯობესებასთან, რათა დაუბრუნდნენ თავდაპირველ ცხოვრებას, რომელშიც ისინი ნასამართლობის სტატუსის გარეშე იმყოფებოდნენ. განათლების უფლება რეაბილიტაციის საშუალებად განიხილება (Rotman 1986, 1057). ვაკა (2004) აღნიშნავს, რომ ციხის სათანადო განათლება აუმჯობესებს პატიმართა დამოკიდებულებას ცხოვრების, დასაქმების გაზრდილი შანსების და ციხის გარემოსადმი, ასევე, დადებით გავლენას ახდენს პატიმართა ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე და ამცირებს დანაშაულის განმეორებით ჩადენის შემთხვევებს (297–299).

ლის მოსაზრებით, რაც უფრო მაღალია მიღებული განათლების საფეხური, მით უკეთესი შეიძლება იყოს პიროვნების მდგომარეობა (Lee 2013, 2). განათლება პატიმრებს აძლევს იმის რწმენას, რომ ისინი კვლავ საზოგადოების წევრები არიან და სჯერათ, რომ მათ აქვთ საზოგადოებაში რესოციალიზაციის და ახალი ცხოვრების დანყების შანსები.

1.1. განათლების უფლების ფილოსოფია

განათლების ფილოსოფიის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ამერიკელმა ფილოსოფოსმა, ფსიქოლოგმა და განათლების სპეციალისტმა ჯონ დიუიმ. დიუიმ შემოგვთავაზა ტერმინი „ინსტრუმენტალიზმი“, რამდენადაც იგი ცოდნას ადამიანის არსებობის საფუძვლად თვლიდა და მიაჩნდა, რომ სწორედ, მისი საშუალებით შეიძლებოდა გადაჭრილიყო ცხოვრებისეული გამოწვევები (Dewey 2001, 10–11). დიუის აზრით, ფიზიოლოგიური ცხოვრებისთვის რა მნიშვნელობაც აქვს კვებას და რეპროდუქციას, მსგავსი დანიშნულებისაა განათლება სოციალური ცხოვრებისთვის (*Ibid.* 13). განათლება კომუნიკაციის მეშვეობით ვრცელდება (*Ibid.*). გამოცდილებების გაზიარებისა და განათლების გავრცელების გზით კომუნიკაციის ორივე მხარე აღიქმება როგორც ერთი მთლიანობა (*Ibid.* 14). ამ ყველაფერში დიუი ახალგაზრდებსა და მოზარდებს შორის ხედავს მსგავსებას. როდესაც საზოგადოება წარმართავს ახალგაზრდის საქმიანობას, ის, ასევე, განსაზღვრავს მის მომავალს, რამდენადაც ახალგაზრდა მალე გახდება ამ საზოგადოების სრულფასოვანი წევრი. საზოგადოება, რომელიც ხასიათდება თავისუფალი და თანასწორი ურთიერთობებით და სადაც პროგრესს, განვითარებას და განათლებას დიდი მნიშვნელობა აქვს – დემოკრატიულია. (*Ibid.* 105). საზოგადოება იმდენად დემოკრატიულია, რამდენად სათანადო პირობებსაც ქმნის თავისი თითოეული წევრისთვის, რომ თანაბრად ისარგებლოს საზოგადოებრივი სიკეთით. მხოლოდ განათლების საშუალებით არის შესაძლებელი ინოვაციების გავრცელება, თითოეულ ინდივიდში პირადი ინიციატივებისა და ადაპტაციის უნარების განვითარება. ადამიანის ცხოვრების ინდივიდუალურობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი თავის თავს საკუთარი ნებით ქმნის, რაც შეიძლება მიღწეულ იქნას განათლებით, რომლის უზრუნველყოფაც სახელმწიფოს ფუნქციას წარმოადგენს (*Ibid.* 100–105). განათლება არ ცვლის მხოლოდ იმას, რაც ვიცით; ის ჩვენს რწმენებს, მიდრეკილებებს და ჩვევებსაც ცვლის (Stoller and Kramer 2018, 6).

ციხეში პატიმრებს შეზღუდული აქვთ სხვადასხვა, მათ შორის, ხმის მიცემის, თავისუფლების თუ სხვა სახის უფლებები (*Ibid.*). ვორჰაუსის მოსაზრებით, პატიმრების განათლებით უზრუნველყოფისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან არგუმენტს წარმოადგენს პირადი, სოციალური ან ეკონომიკური სიკეთის, მაგალითად, დასაქმების პერსპექტივების ან საზოგადოებაში რეინტეგრაციის შესაძლებლობის ხელშეწყობა (*Ibid.*). მეორე მხრივ, ვორჰაუსი აღიარებს, რომ ციხეში განათლების მიღების უფლების მნიშვნელობის მტკიცე დასაბუთების არარსებობა სავარაუდო მიზეზთაგანია, რის გამოც ეს უფლება პრაქტიკაში მყარად რეალიზებული არ არის, და ასკვნის, რომ ამ კუთხით ყოვლისმომცველი კვლევებია საჭირო ყველა ორგანიზაციის აღმოსაფხვრელად (*Ibid.* 172).

2. განათლების უფლების სამართლებრივი რეგულირება

იმაზე მსჯელობისას, დაცულია თუ არა პატიმართა უმაღლესი განათლების უფლება საქართველოში, მნიშვნელოვანია განისაზღვროს, აკისრებს თუ არა სამართლებრივი წყაროები სახელმწიფო ორგანოებს ამ კუთხით გარკვეული ნაბიჯების გადადგმის ვალდებულებას. ასეთი რეგულაციების გარეშე ხელისუფლების ქმედებების შეფასება აზრს მოკლებულია.

2. 1. საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები

უმთავრეს საერთაშორისო სამართლებრივ რეგულაციას ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 26-ე მუხლი წარმოადგენს. საქართველო გაეროს წევრი 1992 წელს გახდა. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი (ICESCR) განათლების უფლების კიდევ ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს, რომელიც აყალიბებს სამართლებრივ მექანიზმს, თუ როგორ უნდა იქნას დაცული და უზრუნველყოფილი აღნიშნული უფლება წევრი სახელმწიფოების მხრიდან. პაქტის მე-13 მუხლი ყველა ადამიანის განათლების უფლებას ადგენს. უმაღლესი განათლება ყველა-სთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს; პარალელურად, იგი მონაწილე სახელმწიფოებისგან მოითხოვს ეტაპობრივად დანერგონ უფასო უმაღლესი განათლების პროგრამები (UN 1966a). სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი, ასევე, ითვალისწინებს განათლების უფლებას მე-18 მუხლში, თუმცა, ის მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლებისთვის მათი შვილების რელიგიური და მორალური განათლების საკუთარი რწმენის შესაბამისად მიცემის ავტონომიას უზრუნველყოფს (UN 1966b), რაც ნიშნავს, რომ სახელმწიფო ვალდებულია არ ჩაერიოს მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების არჩევანის თავისუფლებაში, როდესაც შვილების რელიგიური/მორალური განათლების მათ რწმენასთან შესაბამისობის საკითხს წყვეტენ.

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საქმიანობაა ICESCR-ში გარანტირებული უფლებების შესახებ შექმნილი კომენტარები, რომლებიც თითოეული მუხლის კომიტეტისეულ ანალიზს შეიცავს. მათი საშუალებით, წევრ სახელმწიფოებს უკეთ შეუძლიათ შეასრულონ პაქტით ნაკისრი ვალდებულებები (UN 2020b). მესამე გენერალურ კომენტარში კომიტეტი აღნიშნავს, რომ ტერმინში „ხელმისაწვდომი რესურსების მაქსიმუმი“ იგულისხმება არა მხოლოდ შიდა სახელმწიფოებრივი ფინანსური რესურსები, არამედ საერთაშორისო რესურსებიც, რომელთა მიიღებაც სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობისა და მხარდაჭერის ფარგლებშია შესაძლებელი (para. 13) (OHCHR, n.d. 1990, 1-4).

მე-13 გენერალურ კომენტარში კომიტეტი ხაზს უსვამს განათლების გადამწყვეტ როლზე და მას ძალაუფლების მიმნიჭებელ უფლებად მოიხსენიებს (para. 1). განათლება ერთ-ერთი მომგებიანი რამაა, რომელზედაც სახელმწიფოს ხარჯების გაღება შეუძლია (*Ibid.*). კომენტარი ხაზს უსვამს განათლების უფლების ოთხ ძირითად მახასიათებელს, რომელთა დაკმაყოფილებაც წევრი სახელმწიფოს მხრიდან ამ უფლების სრულყოფილ რეალიზებაზე მიუთითებს. პირველი და ძირითადი მოთხოვნა ქვეყნის მასშტაბით მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამებისა და დაწესებულებების არსებობას უკავშირდება. მეორე კრიტერიუმია ხელმისაწვდომობა, რომელიც მოითხოვს, რომ ყველა საგანმანათლებლო დაწესებულება იყოს არადისკრიმინაციული, ფიზიკურად და ეკონომიკურად ხელმისაწვდომი. არადისკრიმინაციულობა ყველაზე მონყვლადი ჯგუფებისთვის ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო ინსტრუმენტებს გულისხმობს, სტუდენტების ყოველგვარი დიფერენცირების გარეშე. ფიზიკური ხელმისაწვდომობა დაკავშირებულია უშუალოდ როგორც ფიზიკურ ხელმისაწვდომობასთან, მაგალითად, სასწავლო დაწესებულებების შესაბამის მდებარეობასთან, ასევე, დისტანციურ – ელექტრონულ სწავლებასთან. ეკონომიკური ხელმისაწვდომობა ნიშნავს ხელმისაწვდომ ფასებს. მესამე ფაქტორი მისაღებობაა, რომელიც დაკავშირებულია სასწავლო პროცესის შინაარსთან. ხოლო, საბოლოო პირობა არის ადაპტირებულობა. განათლება უნდა იყოს ცოცხალი მექანიზმი, რომელიც საზოგადოებასთან ერთად გავითარდება და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი იქნება (OHCHR, n.d. 1999b, 2-3).

კომენტარის 46-ე პუნქტში, კომიტეტი ხაზს უსვამს მონაწილე სახელმწიფოების სამ ძირითად ვალდებულებას: პატივი სცენ, დაიცვან და სრულყოთ განათლების უფლება, მგავსად სხვა უფლებებისა. პირველი ვალდებულება გულისხმობს ყველა არსებული საშუალების გამოყენებას განათლების უფლების რეალიზებისთვის. მეორე კრიტერიუმი მონაწილე სახელმწიფოებისგან მოელის მესამე პირობის მხრიდან ამ უფლებაში ყოველგვარი ჩარევის აღკვეთას. ხოლო განათლების უფლების სრულყოფა სახელმწიფოებისგან მოითხოვს ყველა პოზიტიური ზომის მიღებას, რომელიც საშუალებას მისცემს და დაეხმარება ინდივიდს ამ უფლებით სარგებლობაში. (OHCHR, n.d. 1999b, 10-11).

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასჯელაღსრულების დაწესებულებაში განთავსებულ პირებთან მიმართებაში (UN 2009, para. 10). ადამიანის ღირსება, რომელიც ყველა უფლების საფუძველია, სასჯელაღსრულების ორგანოებს ავალდებულებს, პატივი სცენ ინდივიდის როგორც არსებულ, ასევე, პოტენციურ უნარებს (para. 18). საგანმანათლებლო შესაძლებლობების შეთავაზება არ შეიძლება ისე იქნას გაგებული, თითქოს, აღნიშნული პატიმრობით გამო-

წვეული ზიანის კომპენსირებას ისახავს მიზნად. იგი პატიმრებისთვის იმ პოტენციალის შეთავაზებას ემსახურება, რომელიც მანამდე არ ჰქონიათ და როგორც მათი, აგრეთვე მთელი საზოგადოების ინტერესების შესაბამისია (para. 20).

ზოგიერთი ქვეყანა, მაგალითად, პერუ, გვატემალა, ალჟირი, მავრიკი, პოლონეთი, დომინიკის რესპუბლიკა, ტუნისი, საგანმანათლებლო აქტივობებში ჩართული პატიმრებისთვის გირაოს, პირობით მსჯავრის გამოყენების ან სასჯელის ვადის შემცირების შესაძლებლობას ითვალისწინებს. აგრეთვე, საჯარო და არასამთავრობო სექტორის, სამოქალაქო საზოგადოების, სასჯელაღსრულების სტრუქტურების აქტიური ჩართულობა ამ კუთხით ბევრად უფრო პროდუქტიული იქნება პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით (para. 65). გარდა ამისა, უმჯობესია თუ პატიმრების განათლების უფლება კონსტიტუციის და სხვა ეროვნული რეგულაციების დონეზე გაიწესება; აგრეთვე, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადეკვატური რესურსები გამოიყოფა მათი განათლებისთვის (UN 2009, 24–25).

2.2. რეგიონული სტანდარტები

ისტორიული ნაბიჯი გადაიდგა 1948 წელს, როდესაც მიღებულ იქნა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, რომელმაც აღიარა ადამიანის უფლებების უნივერსალური ბუნება და ხელშეუხებლობა. ამას მალევე, 1950 წელს, მოჰყვა ევროპის საბჭოს მზადყოფნა, მხარი დაეჭირა ადამიანის უფლებებისთვის და მიეღო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია. მისი ხელმომწერი სახელმწიფოები გარანტიას იძლევიან, რომ ძირითადი უფლებები უზრუნველყოფილი იქნება მოქალაქეებისა და მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფი ყველა პირისთვის. 1952 წელს მიღებულ იქნა პირველი დამატებითი ოქმი, რომელიც განამტკიცებს ყველა ადამიანის განათლების უფლებას (CoE 1952, 3). აღნიშნული ოქმი საქართველოსთვის ძალაში 2002 წლის შვიდ ივნისს შევიდა (CoE 2020).

საქართველო ევროპის სოციალური ქარტიის ხელმომწერი 2000 წელს გახდა, ხოლო მისი რატიფიცირება 2005 წლის 22 აგვისტოს მოახდინა. თუმცა, ქვეყანამ მხოლოდ ქარტიის მე-7 მუხლის ფარგლებში აიღო ვალდებულება და მზადყოფნა გამოთქვა, მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა იმისათვის, რომ ბავშვებს და ახალგაზრდებს ჰქონდეთ განათლება, რომელიც მათ სჭირდებათ და ამ მიზნის მისაღწევად შექმნას ან შეინარჩუნოს სათანადო დაწესებულებები და სერვისები (CoE 1996).

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო რეკომენდაცია ციხის განათლების შესახებ, რომლის პრეამბულაშიც განათლების უფლება ფუნდამენტურ უფლებადაა აღიარებული, რომელიც მნიშვნელოვანია საზოგადოებისა და თავად ინდივიდის განვითარებისთვის (CoE 1989, 1). ევროპული ციხის წესები 1987 წლის 12 თებერვალს მიღებულ იქნა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ და ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი (6) არის ის, რომ ყველა საპატიმრო ხელს უნდა უწყობდეს თავისუფლებადაღკვეთილი პირების საზოგადოებაში რეინტეგრაციას. ერთი მხრივ, 28(1) პუნქტი ხაზს უსვამს ყველა პატიმრის საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფის საჭიროებას, მათი მიზნებისა და სპეციალური საჭიროებების გათვალისწინებით; მეორე მხრივ, 28(3) პუნქტი ცალსახად გამოკვეთს ახალგაზრდა პატიმრების განათლების მნიშვნელობას. უფრო მეტიც, განათლება ციხეში იმგვარად უნდა იყოს მოწყობილი, რომ მისი გაგრძელება გათავისუფლების შემდგომაც დაუბრკოლებლად განხორციელდეს 28(7) (CoE 2006).

უმაღლესი განათლების სტანდარტების გასაუმჯობესებლად განხორციელებულ შემდეგ მიღწევას ბოლონიის დეკლარაცია წარმოადნეს, რომელიც 29 ევროპული ქვეყნის განათლების მინისტრის მიერ იქნა ხელმწიფილი 1999 წლის 19 ივნისს. მისი მიზანი იყო საერთო ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის (EHEA) შექმნა. ამჟამად, EHEA აერთიანებს 48 წევრ სახელმწიფოს. განვრვიანების წინაპირობაა ეროვნული უმაღლესი განათლების სისტემაში გარკვეული ცვლილებების განხორციელების სურვილი, რომელიც შესაბამისობაში იქნება ბოლონიის პროცესის მისწრაფებებთან (EHEA 2020a). საქართველო ბოლონიის პროცესის მონაწილე 2005 წელს გახდა (EHEA 2020b). მან შეიმუშავა ბოლონიის პროცესის განხორციელების ძირითადი მიმართულებები და სამოქმედო გეგმა 2010 წლისთვის, რომელმაც მიმოიხილა არსებული გამოწვევები, ძლიერი, სუსტი მხარეები, შესაძლებლობები, პრიორიტეტული მიმართულებები და უმაღლესი განათლების სისტემის დანერგვისა და განვითარების სამოქმედო გეგმა (Eurasia Foundation 2005, 4). თუმცა, ბოლონიის დეკლარაცია არ შეეხება უმაღლესი განათლების სისტემის პენიტენციურ დაწესებულებებში დანერგვას.

ევროპასა და საქართველოს შორის არსებული ასოცირების ხელშეკრულება, რომელიც ძალაში 2016 წლის პირველ ივლისს შევიდა, სპეციალურ თავს უთმობს უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის გაუმჯობესების მოთხოვნას. შეთანხმების საფუძველზე, საქართველომ პასუხისმგებლობა აიღო დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების შექმნაზე, რომელიც უმაღლესი ხარისხის განათლებასა და ახალგაზრდების განვითარებაზე იქნება ორიენტირებული; ასევე, სტუდენტების დასაქმების გაზრდის კუთხით განათლების სექტორსა და შრომის ბაზარს შორის თანამშრომლობის განვითარებაზე; ყურადღება დაეთმობა ასევე, „ცხოვრების მანძილზე სწავლას“, რაც კარიერული ზრდისა და სამუშაოს უსაფრთხოების მთავარი ასპექტია და საზოგადოების წევრებს საჯარო ცხოვრებაში აქტიური წვლილის შეტანის საშუალებას აძლევს. რეგულირების სფეროში ხვდება უმაღლესი განათლების სფეროში თანამშრომლობის გაძლიერება, რომელიც მრავალფეროვანი გაცვლითი პროგრამების დანერგვას ისახავს მიზნად. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ასოცირების შეთანხმების არც ერთი პუნქტი არ შეეხება პატიმართა უმაღლესი განათლების საკითხს (Association Agenda 2017–2020, 55). იმავდროულად, 2014–2016 წლების ასოცირების სამოქმედო გეგმის 37-ე პუნქტის თანახმად, საქართველო მიზნად ისახავს სისხლის სამართლის სფეროში რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პოლიტიკის განხორციელებას, არასაპატიმრო სასჯელის, საზოგადოებრივი შრომის, პირობითი მსჯავრის, პირობით ვადამდე გათავისუფლების, განრიდების და მედიაციის გამოყენების გზით. უფრო მეტიც, ის მიზნად ისახავს ეფექტური სარეაბილიტაციო და რესოციალიზაციის პროგრამების დანერგვას და საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართულ პატიმართა რაოდენობის გაზრდას (Government of Georgia 2015). გარდა ამისა, 2017–2020 წლების ასოციაციის სამოქმედო გეგმა ხაზს უსვამს სახელმწიფოს მიერ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სარეაბილიტაციო და რესოციალიზაციის პროგრამების რეალიზაციის ვალდებულებას, რათა მოხდეს დანაშაულის განმეორებით ჩადენის პრევენცია და უზრუნველყოს ბალანსი საზოგადოებრივ წესრიგს, უსაფრთხოებასა და ადამიანის უფლებებს შორის (Association Agenda 2017–2020, 15).

3. პატიმართა უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს საკანონმდებლო პოლიტიკა და სტატისტიკური მონაცემები

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება. უმაღლესი განათლების შესახებ კანონის 43-ე მუხლი განსაზღვრავს სტუდენტების უფლებებს, მათ შორის, მათთვის სასურველი საგანმანათლებლო პროგრამის არჩევის უფლებას. აღნიშნული საკანონმდებლო აქტი იძლევა შესაძლებლობას, რომ პატიმარი იყოს სტუდენტი. გარდა ამისა, პატიმრობის კოდექსი უმაღლეს განათლებას რესოციალიზაციის საშუალებად მოიხსენიებს (Parliament of Georgia 2019). აღნიშნული კოდექსი მსჯავრდებულებს, რომლებიც იმყოფებიან გათავისუფლებისთვის მომზადების და დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, 2017 წლის ცვლილების შედეგად, უფლებას აძლევს ისწავლოს ბაკალავრიატის საფეხურზე, ხოლო 2019 წლის რეგულაციით – ხელმისაწვდომი გახდა მაგისტრატურის საფეხურიც. ასევე, უმაღლესი განათლების პირველი საფეხური ხელმისაწვდომია არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულებისთვისაც. კოდექსი დამატებით განსაზღვრავს ფაკულტეტებს, რომელზე სწავლაც შესაძლებელია და ესენია: ბიზნესის ადმინისტრირება, სამართალი, ინჟინერია, სოციალური მეცნიერებები, ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები და ინტერდისციპლინარული სპეციალობები.

აღსანიშნავია საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია, რომელიც მიისწრაფვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის ჩამოყალიბების, სასჯელაღსრულების და პრობაციის დაწესებულებებში პირობების გაუმჯობესების, მსჯავრდებულთა და ყოფილ მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის ხელშეწყობისა და შესაბამისი პროგრამების დანერგვისკენ (Parliament of Georgia 2014). სისხლის სამართლის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო მიზნად ისახავს რაც შეიძლება მეტი მსჯავრდებული ჩართოს საგანმანათლებლო პროგრამებში (Tabatadze and Qelbaqiani 2019, 5–6). აღნიშნული მიზნები გათვალისწინებული იყო ასოცირების შეთანხმების 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმაშიც.

საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის, აგრეთვე, განათლების მინისტრის 2018 წლის ერთობლივი ბრძანებით გათვალისწინებულია პატიმართათვის განათლების მიწოდების წესები. ბრძანება, მისი ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში, საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს ავალდებულებს, შექმნას სპეციალური ელექტრონული პროგრამა მსჯავრდებულთათ-

ვის აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატი) განათლების მისაღებად (Minister of Corrections 2018).

ICESCR-ის მე-13 მუხლის თანახმად უმაღლესი განათლება თანაბრად უნდა იყოს ხელმისაწვდომი ყველასთვის, რაც შესაძლოა უზრუნველყოფილი იქნას დისტანციური სწავლების საშუალებითაც კი. შესაბამისად, ეროვნული საკანონმდებლო რეგულაცია ამ პრინციპთან თანხვედრაშია, რამდენადაც ითვალისწინებს პატიმართა სწავლების უზრუნველყოფას სპეციალური ელექტრონული სისტემით.

როგორც აღინიშნა, კომიტეტი წევრი სახელმწიფოების მხრიდან განათლების უფლების პატივისცემას, მის დაცვას და სრულყოფას მოელის. ერთ-ერთი ამ კრიტერიუმის დაუკმაყოფილებლობა ქვეყნის მხრიდან ვალდებულების დარღვევაზე მიანიშნებს (OHCHR, n.d. 1999b, 10–11). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ საქართველოს კანონმდებლობა პატივს სცემს და იცავს პატიმართა უმაღლესი განათლების უფლებას, თუმცა, მისი სრულყოფის ვალდებულების ნაწილში, პრაქტიკა აჩვენებს, რომ არსებობს გამოწვევები. აქვე, მნიშვნელოვანია ხაზგასმით აღინიშნოს, რომ კომიტეტის განმარტებით, წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან, უზრუნველყონ პაქტით გათვალისწინებული უფლებები, როდესაც ინდივიდს ან ინდივიდთა ჯგუფს, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო და მის ხელთ არსებული საშუალებებით არ შეუძლია თავად განახორციელოს ეს უფლება (*Ibid.*). უპირველეს ყოვლისა, ეროვნული კანონმდებლობა მსჯავრდებულებს უფლებას აძლევს უმაღლესი განათლების პირველ ან მეორე საფეხურზე მიღების შესაძლებლობას, თუ ისინი მოთავსებულნი არიან წინასწარი გათავისუფლების, დაბალი რისკის ან არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებებში, რაც ნიშნავს იმს, რომ სხვა ტიპის პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფ პატიმრებს იმთავითვე ჩამორთმეული აქვთ უფლება. გარდა ამისა, პატიმართა რაოდენობა, რომლებიც ჩარიცხულნი არიან უმაღლეს სასწავლებლებში, მცირეა და წლიურად ხუთიდან ოცამდე სტუდენტს შორის მერყეობს, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ კარგად გაწერილი რეგულაციები პრაქტიკაში არ არის აღსრულებადი. ამასთან, შესწავლილი არ არის სტუდენტი პატიმრების მოსაზრებები, მათი აქტივობის დონე, პროფესიული გადამზადების პროგრამების მონაწილე პატიმართა გამოცდილება (მწირი, ერთფეროვანი კურსები, ბიბლიოთეკის სამუშაო გრაფიკი, მოძველებული ლიტერატურა) კი, ვარაუდის საფუძველს იძლევა, რომ არსებობს არაერთი ფაქტორი, რომელიც პატიმრებისთვის უნივერსიტეტში ჩაბარების ბარიერებს ქმნის.

კვლევისას გამოიკვეთა, რომ 2015 წელს პენიტენციურ დაწესებულებაში ფიქსირდებოდა რამდენიმე მაგისტრატურის სტუდენტი, რაც დამატებით შესწავლას საჭიროებს, რადგან, ოფიციალურად, მხოლოდ 2019 წლის საკანონმდებლო ცვლილებებით გახდა სამაგისტრო სწავლება პატიმრებისთვის ხელმისაწვდომი. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2016 წელს სამი მსჯავრდებული ჩაირიცხა საბაკალავრო, ხოლო ერთი – სამაგისტრო პროგრამაზე; 2017 წელს ათი პატიმარი, მათ შორის სამი ბრალდებული სწავლობდა საბაკალავრო პროგრამაზე, ერთი – მაგისტრატურაზე; 2018 წელს ექვსმა პატიმარმა, ხოლო 2019 წელს ათმა მსჯავრდებულმა ჩააბარა წარმატებით ერთიანი ეროვნული გამოცდები, მაგრამ რამდენმა მათგანმა განაგრძო სწავლა უცნობია. რაც შეეხება ქალ პატიმრებს, აღსანიშნავია, რომ 2016 წელს მათგან არც ერთი არ ყოფილა სტუდენტი, ხოლო 2017 წელს ბაკალავრიატის საფეხურზე სწავლობდა ერთი მსჯავრდებული და ერთი ბრალდებული. ოფიციალური წყაროები მიუთითებს მხოლოდ იმ პატიმართა რაოდენობაზე, რომლებიც სტუდენტის სტატუსის მქონენი არიან, თუმცა, დამატებითი ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა შედეგით სრულდება სწავლება და იღებენ თუ არა შესაბამის ხარისხს პატიმრები, უცნობია. არასამთავრობო ორგანიზაციების კვლევებიც მიუთითებს მხოლოდ იმაზე, რომ რამდენიმე სტუდენტი პატიმარი არსებობს, თუმცა, არ იძლევა ინფორმაციას მაგალითად, სწავლების მეთოდების თაობაზე. სახალხო დამცველის ანგარიშებში არაფერია ნახსენები პატიმართა უმაღლესი განათლებაზე. აგრეთვე, დადასტურებული არ არის სპეციალური ელექტრონული პლატფორმის არსებობა, რომლის მეშვეობითაც სასწავლო პროგრამები ტარდება. იმის გათვალისწინებით, რომ საკანონმდებლო დონეზეც კი არ არის დარეგულირებული თუ რა კურსები შეიძლება შეეთავაზოთ პატიმრებს სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, გაუგებარია როგორ ხორციელდება მისი პრაქტიკაში რეალიზება. აქედან გამომდინარე, არ არის სრული და ზუსტი მონაცემები ეროვნულ პენიტენციურ დაწესებულებებში საგანმანათლებლო პროგრამების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის თაობაზე. ამავდროულად, სახელმწიფოსგან პატიმართა განათლებაზე თანხების გამოყოფის გაურკვეველი სისტემა ართულებს ზოგადად უმაღლეს განათლებასა და ციხეებში მყოფი სტუდენტების უმაღლეს განათლებაზე გამოყოფილი რესურსების ერთმანეთთან შედარების და მიწოდებული განათლების ხარისხის შეფასების შესაძლებლობას. ასევე, არსებობს ურთიერთგამომრიცხავი მონაცემები პატიმა-

რთა უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის შესახებ, რაც შეიძლება იმით იყოს განპირობებული, რომ მათ ჯერ კიდევ დაკავებამდე ჰქონდათ სტუდენტის სტატუსი, რომელიც ელექტრონული ბაზაში კვლავ შენარჩუნებულია. უნივერსიტეტში სემესტრული რეგისტრაციის გაუვლელობა ავტომატურად იწვევს სტუდენტის სტატუსის შეჩერებას ხუთი წლის განმავლობაში. თუ პირი ამ ხუთი წლის განმავლობაში გათავისუფლდება, შეუძლია სწავლის გაგრძელება, მანამდე კი სტუდენტის სტატუსი ნარჩუნდება.

მსჯავრდებულთა რაოდენობა, რომლებიც უმაღლესი განათლების მიღების მსურველ პირთა პოტენციურ ჯგუფს განეკუთვნებიან (18-35 წლამდე), საკმაოდ მაღალია. მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 77 პროცენტს აქვს საშუალო განათლება, რაც საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობას წარმოადგენს, ხოლო 18,6 პროცენტს აქვს უმაღლესი განათლება (General Report of National Statistics Office of Georgia 2019, 41), რომელიც აერთიანებს როგორც ბაკალავრებს, ასევე, მაგისტრებს. შესაბამისად, მათ ნაწილს შესაძლოა, კვლავ სურდეს ამ საფეხურზე სწავლის გაგრძელება, მაგალითად, ბაკალავრს სურდეს მაგისტრის სტატუსის მოპოვება. ამავდროულად, პატიმართა უმუშევრობის დონე სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხვედრამდე, სამუხაროდ, ძალიან მაღალია და მათი ოდენობა პატიმართა საერთო რაოდენობის 83,6 პროცენტს შეადგენს (*Ibid.* 41). ყველა დასახელებული მონაცემი, საბოლოო ჯამში, გამოკვეთს საქართველოში პატიმართა უმაღლესი განათლების გაუმჯობესების აუცილებლობას, რადგან მსჯავრდებულთა შორის უმუშევრობის დონე უკიდურესად მაღალია, რაც შეიძლება მათ მიერ განმეორებითი დანაშაულის ჩადენის მაპროვოცირებელი იყოს, ვინაიდან შრომის ბაზარზე უმეტესად დიპლომის მქონე პირთა ინტეგრაცია ხორციელდება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი და წარმატებული ცვლილებები, სწორედ, მცირე ჯგუფების მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გზით იწყება. ამავდროულად, დანაშაულის ჩადენა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მსჯავრდებულებმა დაკარგეს იმ წარსულის შეცვლის უფლება, რომელმაც ისინი საპატიმროებამდე მიიყვანა.

4. რეკომენდაციები

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში საქართველომ არაერთი მნიშვნელოვანი პოზიტიური ნაბიჯი გადადგა პატიმართა განათლების უზრუნველსაყოფად (საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს), კვლავ არსებობს გარკვეული გამოწვევები: სასწავლო გეგმების ნაკლებობა, ინფორმაციის სიმწირე ბაკალავრიატის/მაგისტრატურის სტუდენტი პატიმრების თაობაზე, პატიმართა ჩართულობის დაბალი მაჩვენებელი. თუ პატიმრები არ არიან დაკავებულნი რაიმე საქმიანობით, დიდია იმის ალბათობა, რომ ისინი გახდნენ ასოციალურები. აღსანიშნავია, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფი პირები არიან პირები, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული, სწორედ, მძიმე სოციალური პირობების გამო. ზოგიერთ მათგანს არ გააჩნია სათანადო განათლება, უნარ-ჩვევები და ცოდნა, რაც გამოადგება ციხიდან გათავისუფლების შემდეგ. შესაბამისად:

1. სახელმწიფომ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა წაახალისოს პატიმრები უმაღლესი განათლების მიღებაზე, მათთვის მრავალფეროვანი პროგრამების შეთავაზებისა და შესაბამის ლიტერატურაზე წვდომის მინიჭების გზით. მაგალითისთვის, ქვეყნები, როგორებიცაა ალჟირი, გვატემალა, პოლონეთი, პერუ, ტუნისი, დომინიკის რესპუბლიკა, იყენებენ პირობით მსჯავრს, გირაოს ან პატიმრობის ვადის შემცირებას საგანმანათლებლო აქტივობებში ჩართული მსჯავრდებულებისთვის (UN 2009, 24-25).

2. მისასალმებელია სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი პატიმრებისთვის უმაღლესი განათლების უფლების მინიჭება, თუმცა, უკეთესი იქნება თუ ასეთი უფლება არა მხოლოდ კონკრეტული ტიპის დაწესებულებებში განთავსებულ პირებს მიეცემათ, არამედ, უმჯობესია თუ იარსებებს რამდენიმე სასჯელაღსრულების დაწესებულება, რომელიც აღჭურვილი იქნება საგანმანათლებლო საჭიროებებით და მათით სარგებლობა ყველა დაინტერესებული პატიმრისთვის იქნება შესაძლებელი, მათი ქცევისა და სხვა გარემოებების გათვალისწინებით, მიუხედავად დანაშაულის სიმძიმისა და სასჯელის ხანგრძლივობისა. ამისათვის საჭიროა შეიქმნას სპეციალური განყოფილება, რომელიც დაადგენს პატიმართა უმაღლესი განათლების მიღების სურვილს, რის შემდეგაც ისინი გადაყვანილ იქნებიან შესაბამის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, რომელიც სათანადოდ იქნება აღჭურვილი და სადაც შესაძლებელი იქნება ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის მომზადება, აგრეთვე, უმაღლესი განათლების მიღება.

3. გარდა აღნიშნულისა, COVID-19-ის პანდემიის შედეგად დაინერგა ახალი შესაძლებლობები, კერძოდ, საგანმანათლებლო დაწესებულებები მთელი მსოფლიოს მასტაბით, მათ შორის, საქართველოშიც, გადავიდნენ დისტანციურ სწავლებაზე. შესაბამისად, მრავალთვიანმა გამოცდილებამ დახვეწა

სასწავლო გეგმები და შესაძლებელი გახდა განათლების ხელმისაწვდომობა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეშიც კი, რამაც ახალი შესაძლებლობები შეუქმნა თავად პატიმრებს. კერძოდ, შესაძლებელია საჭირო პროგრამული უზრუნველყოფისა და აღჭურვილობის შექმნა, ლექციების ჩაწერა და შემდეგ ჩანაწერების გაგზავნა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ან ონლაინ ლექციების ჩატარება შესაბამისი პირების თანდასწრებით, რათა უზრუნველყოფილი იქნას უსაფრთხოების ზომები. აღნიშნული ტექნოლოგიური წინსვლის გამოყენება ციხეებში უზრუნველყოფს პატიმრების ფიზიკურ ხელმისაწვდომობას უმაღლეს განათლებაზე მინიმალური ფინანსური დანახარჯების პირობებში.

4. სახელმწიფომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განათლებაზე ხარჯების განაწილებისას უნდა გაითვალისწინოს საჯარო ინტერესიც, რაც, საბოლოო ჯამში, ეკონომიკური სარგებლის მომტანი იქნება. გასათვალისწინებელია პატიმრების ნახალისების მნიშვნელობა ნაყოფიერად გამოიყენონ თავიანთი დრო ციხეში, განსაკუთრებით ახალგაზრდა პატიმრების შემთხვევაში, რომელთა ოდენობა საკმაოდ მაღალია და განათლების კომპონენტი მათთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რამდენადაც ცხოვრების საუკეთესო წლების ციხეში გატარება მოგვიანებით შესაძლოა განმეორებითი დანაშაულის ჩადენის საფუძველი გახდეს. გარდა ამისა, ქვეყნებში, რომლებშიც საგანმანათლებლო აქტივობებში ჩართული პატიმრების რაოდენობა მცირეა, არასამთავრობო ორგანიზაციების, საჯარო სექტორის, სამოქალაქო საზოგადოების და პენიტენციური სტრუქტურების აქტიური ჩართულობა ბევრად უფრო პროდუქტიულია პრაქტიკის გაუმჯობესების კუთხით (para. 65) (UN 2009, 24–25).

დასკვნა

სტატიის მიზანს წარმოადგენდა პატიმრებისთვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის მნიშვნელობის გამოკვეთა, გამომდინარე იქიდან, რომ ისინი წარმოადგენენ ერთ-ერთ ყველაზე მარგინალიზებულ ჯგუფს, რომელიც საჭიროებს სახელმწიფოსა და საზოგადოების ყურადღებას, რათა თავიდან იქნას აცილებული სასჯელაღსრულების დაწესებულებაში დაბრუნება. პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნისას პირის სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილეობის მიღებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დაწესებულების დატოვების შემდგომ მისი რესოციალიზაციისა და საზოგადოებაში რეინტეგრაციისთვის.

პრაქტიკის ანალიზმა ცხადყო, რომ მიუხედავად საქართველოს მხრიდან განხორციელებული მისასალმებელი ცვლილებებისა, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა კვლავ გამონვევად რჩება. უპირველეს ყოვლისა, კანონი ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საფეხურზე განათლების მიღების უფლებას ანიჭებს მხოლოდ გათავისუფლებისთვის მომზადების, დაბალი რისკის ან არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მოთავსებულ პირებს. გარდა ამისა, აღნიშნული დაწესებულებებიდან მხოლოდ რამდენიმე სტუდენტი სწავლობს, თუმცა, სწავლების ფორმა და საშუალებები უცნობია. დადებითად უნდა შეფასდეს ეროვნული საკანონმდებლო ბაზა, ასევე, განხორციელებული ცვლილებების დინამიკა. მიუხედავად ამისა, არის გამოწვევები: არ არის დადასტურებული ინფორმაცია დისტანციური სწავლების ინსტრუმენტის არსებობის თაობაზე, მიუხედავად იმისა, რომ კანონი ამ მიზნით შესაბამის დაწესებულებებს ავალდებულებს შექმნან სპეციალური პლატფორმა. მთავრობა არ უზრუნველყოფს სამაგისტრო პროგრამების ხელმისაწვდომობას, რამდენადაც ჯერ კიდევ არ არის განსაზღვრული რა კურსებს სთავაზობს პატიმრებს; ხოლო, რაც შეეხება საბაკალავრო პროგრამას, ის ვერ უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გარანტიას, რადგან, პირველ რიგში, განასხვავებს პატიმრებს იმ დაწესებულებების მიხედვით, სადაც ისინი არიან მოთავსებულნი და მეორეც, განათლებაზე ფიზიკური წვდომის კრიტერიუმები ელექტრონული სწავლების კუთხით არ არის დანერგილი.

შემდეგი ძირითადი საკითხი, რომელიც სხვადასხვა წყაროს ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, დაკავშირებულია უმაღლესი განათლების მქონე პატიმართა რაოდენობასთან, რომელიც დაბალი განათლების საფეხურის მქონე პატიმრებთან შედარებით, მცირეა. ერთ-ერთი საკითხი, რომელმაც იჩინა თავი, არის ის, რომ ახალგაზრდა პატიმართა (18-35 წლამდე) რიცხვი, რომელთაც შესაძლოა სურდეთ უმაღლესი განათლების მიღება, უტოლდება ყველა პატიმართა საერთო რაოდენობის ნახევარს. გარდა ამისა, არსებულმა სტატისტიკურმა მონაცემებმა აჩვენა, რომ პატიმართა უმრავლესობა დაწესებულებაში მოხვედრამდე უმუშევარი იყო, რაც კიდევ უფრო მეტად გამოკვეთს უმაღლესი განათლების სათანადო რეალიზების მნიშვნელობას. კერძოდ, საქართველო პატიმრებისთვის იძლევა უმაღლესი განათლების უფლების გარანტიას, თუმცა, არ აღასრულებს მას, რამდენადაც იგი ხელმისაწვდომია

მხოლოდ რამდენიმე ტიპის პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი პატიმრებისთვის, რაც მიანიშნებს, რომ დანარჩენთათვის უმაღლესი განათლება საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი; გარდა ამისა, კვლევამ აჩვენა, რომ მონაცემები, რომელიც სახელმწიფოსგან სასჯელაღსრულების დაწესებულებებისთვის განათლების უზრუნველსაყოფადაა გამოყოფილი, რაც ამ თანხების სიმცირეს ან სიჭარბეს შეაფასებდა, საჭაროდ არ არის ხელმისაწვდომი. ამასთან, წარმოდგენილი სტატისტიკა მიანიშნებს, რომ ქვეყნის მხრიდან კანონმდებლობის გასაუმჯობესებლად განუვლი ძალისხმევა არც თუ ისე ეფექტურია, რადგანაც უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართულ პატიმართა რაოდენობა დაბალია.

ეს არის პირველი კვლევა, რომელიც პატიმართა უმაღლესი განათლების უფლებაზე საქართველოს საკანონმდებლო ბაზის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას აფასებს; ამასთან ერთად, წინამდებარე კვლევა პირველია, რომელიც ცდილობდა გაერკვია კანონის აღსრულების პრაქტიკული ასპექტები. ასევე, სტატია ცდილობს წარმოაჩინოს პატიმრები, როგორც ადამიანთა ჯგუფი, რომელთაც სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში უმაღლესი განათლების მიღების ლეგიტიმური უფლება გააჩნიათ. აღნიშნულზე სრული პასუხისმგებლობა კი სახელმწიფოს ეკისრება და სწორედ, მის ვალდებულებას წარმოადგენს ამ მოწყვლად ჯგუფზე ზრუნვა, რათა, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფილი იქნას როგორც ცალკეული ინდივიდების, ასევე, საზოგადოებისა და მთელი სახელმწიფოს კეთილდღეობა. ნაშრომი წარმოაჩენს პატიმართა უმაღლესი განათლების შესახებ კანონმდებლობას და ამ კუთხით დასახულ პოლიტიკაში არსებულ ხარვეზებს, ასევე, გამოკვეთს აღსრულებასთან დაკავშირებულ პრობლემებს და შეიმუშავებს რამდენიმე რეკომენდაციას, რომლებიც შესაძლოა არსებული პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით გამოყენებულ იქნას ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავებისას.

გამოყენებული ლიტერატურა

- Akbar, Syed Ali. 1952. "THE RIGHT TO EDUCATION." *The Indian Journal of Political Science*, Vol. 13, No. 3/4 (July-September & October-December, 1952), 89–94.
- "Association Agenda between the European Union and Georgia." 2017–2020.
- Case, Patricia, and David Fasenfest. 2004. "Expectations for Opportunities Following Prison Education: A Discussion of Race and Gender." *Journal of Correctional Education (1974-)*, Vol. 55, No. 1 (March 2004), 24–39.
- Council of Europe. 2020. Chart of signatures and ratifications of Treaty 009. Status as of November 17, 2020.
- . 2006. "European Prison Rules." Council of Europe Publishing, June 2006.
- . 1996. European Social Charter (Revised). European Treaty Series – No. 163. Strasbourg, 3.V.1996.
- . 1952. Protocol 1 to the European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms. March 20, 1952.
- Council of Europe Committee of Ministers. 1989. "Recommendation No. R (89) 12 of the Committee of Ministers to Member States on Education in Prison." Adopted by the Committee of Ministers on 13 October 1989 at the 429th meeting of the Ministers' Deputies.
- Dewey, John. 2001. "Democracy and Education." *A Penn State Electronic Classics Series Publication*, 2001.
- Eurasia Foundation, CSI, and USAID. 2005. "Main Directions and Action Plan for Implementing the Bologna Process in Georgia Until 2010." Tbilisi, 2005.
- EHEA. 2020a. "How does the Bologna Process Work?" Accessed July 11, 2020.
- . 2020b. "Ministerial Declarations and Communiqués." Accessed July 13, 2020.
- General Report of National Statistics Office of Georgia on Criminal Statistics. 2020. "*Siskhlis samartlis statistikis ertiani angarishi, saangarisho periodi–2020 tslis ivlisi.*" [*Criminal Statistics – Reporting Period July 2020*]. July, 2020.
- . 2019. "*Siskhlis samartlis statistikis ertiani angarishi, saangarisho periodi–2019 tslis noemberi.*" [*Criminal Statistics – Reporting Period December 2019*]. December, 2019.
- Government of Georgia. 2015. *Sakartvelos Mtavrobis Gankarguleba N59. [Order of the Government of Georgia N59]*. January 26, 2015.

- Hetland, Hilde, Ole-Johan Eikeland, Terje Manger, Age Diseth, and Arve Asbjornsen. 2007. "Educational Background in a Prison Population." *Journal of Correctional Education (1974-)*, Vol. 58, No. 2, International Perspectives in Correctional Education (June 2007), 145–156.
- Jenks, Wilfred C. 1946. "The Five Economic and Social Rights." *The Annals of the American Academy of Political and Social Science*, Vol. 243, Essential Human Rights (Jan., 1946), 40–46.
- Lee, Sharon E. 2013. "Education as a Human Right in the 21st Century." *Democracy & Education*, vol. 21, no 1.
- Minister of Corrections and Probation of Georgia. 2018. *Msjavrdebulis mier Akademiuri Umaghlesi Ganatlebis Pirvel Safexurze (Bakalavriati) Ganatlebis Mighebis Tsesisa da Pirobebis da Shesabamis Specialobata Chamonatvalis Gansazghvris Shesaxeb. [On the Definition of the Rules and Conditions of Receiving Education at the First Level of Academic Higher Education (Bachelor) by the Convict and the List of Relevant Specialties]*. Order of the Minister of Georgia, March 23, 2018.
- Nally, J. M., Lockwood, S., Ho, T., & Knutson, K. 2014. "Post-release recidivism and employment among different types of released offenders: A 5-year follow-up study in the United States." *International Journal of Criminal Justice Sciences*, 9, 16–34. Accessed January 17, 2020.
- OHCHR. n.d. "General Comment No. 13: The right to education (Article 13 of the Covenant) (1999b)." Adopted by the Committee on Economic, Social and Cultural Rights at the Twenty-first Session, E/C.12/1999/10, December 8, 1999.
- . n.d. "General Comment No. 3: The nature of States parties' obligations (Art. 2, para. 1, of the Covenant) (1990)." Adopted by the Committee on Economic, Social and Cultural Rights at the Fifth Session, December 8, 1990.
- Parliament of Georgia. 2019. Law of Georgia: Imprisonment Code. March 09, 2010. Consolidated publication November 29, 2019.
- . 2014. *Sakartvelos Parlamentis Dadgenileba: "Sakartvelos Adamianis Uflebata Dacvis Erovnuli Strategiis (2014–2020 Tslabistvis)" Damtkicebis Shesakheb. [Resolution of the Parliament of Georgia: On Approval of the National Strategy for the Protection of Human Rights of Georgia (2014– 2020)]*. April 30, 2014.
- Roth, Beate Buanes, Arve Asbjornsen, and Terje Manger. 2016. "The relationship between prisoners' academic self-efficacy and participation in education, previous convictions, sentence length, and portion of sentence served." *Journal of Prison Education and Reentry*, Vol. 3 No. 2, December 2016: 106–121.
- Rotman, Edgardo. 1986. "Do Criminal Offenders Have a Constitutional Right to Rehabilitation?" *The Journal of Criminal Law and Criminology (1973-)*, Vol. 77, No. 4 (Winter, 1986), 1023–1068.
- Stoller Aaron, and Eli Kramer. 2018. "Introduction: Toward a Philosophy of Higher Education." *Contemporary Philosophical Proposals for the University* (pp.1-23), February 13, 2018.
- Tabatadze Natia, and Anton Qelbaqiani. 2019. *Msjavrdebulta Reabilitatsia-resotsializatsiis Protsesi Penitentsiur Sistemashi: Sakhelmtsipo Politikis Dokumentebis Analizi/Kvleva. [Rehabilitation-Resocialization of Convicts in the Penitentiary System: Analysis / Research of State Policy Documents]*. Rehabilitation Initiative for Vulnerable Groups, 2019.
- UN General Assembly. 2009. PROMOTION AND PROTECTION OF HUMAN RIGHTS, CIVIL, POLITICAL, ECONOMIC, SOCIAL AND CULTURAL RIGHTS, INCLUDING THE RIGHT TO DEVELOPMENT: The right to education of persons in detention. Report of the Special Rapporteur on the right to education, Vernor Muñoz, A/HRC/11/8, April 2, 2009.
- . 1966a. International Covenant on Economic, Social and Cultural Rights, 16 December 1966, United Nations, Treaty Series, vol. 993.
- . 1966b. International Covenant on Civil and Political Rights, 16 December 1966, United Nations, Treaty Series, vol. 999.
- United Nations Human Rights Office of the High Commission. 2020. Human Rights Treaty Bodies–General Comments. OHCHR 1996–2020.
- Vacca, James. S. 2004. "Educated Prisoners Are Less Likely to Return to Prison." *Journal of Correctional Education (1974-)*, Vol. 55, No. 4 (December 2004), 297–305.

Salome Abuladze¹

8. ACCESS TO HIGHER EDUCATION AS A MEANS OF REHABILITATION FOR PRISONERS: THE CASE OF GEORGIA

Abstract

Higher education plays a vital role in the development of individuals and increases chances of employment. Proper attention needs to be paid to providing prisoners with the correct facilities to obtain higher education since they represent one of the most marginalized groups and their rehabilitation is of great importance to prevent recidivism, promote their full re-socialization, and strengthen their employment opportunities. This study aims to explore the compatibility of the Georgian legislative framework regarding the prisoners' right to higher education with the international standards as well as the current situation and challenges in Georgian prisons. Based on a combination of qualitative research, more specifically, case studies, and existing scholarship on the topic, as well as reports of the authoritative international and local public and/or third sector organizations, the study shows that access to higher education is an essential need for convicted persons in Georgia. Even though Georgia's legislative framework regulates some aspects of ensuring access to higher education, its availability is restricted only to limited types of institutions. Moreover, there is a scarcity of prisoners engaged in higher educational programs, which indicates the deficiency of practical mechanisms. The study also reveals that the budget allocated by the state for the education of inmates compared to the overall funds envisaged for higher education is substantially meager, which is utterly insufficient to implement high-quality educational programs. The study provided legal research of the existing national legal framework from the perspective of existing international universal and regional standards and obligations, which was provided in the context of a theoretical framework aimed at outlining the importance of higher education in lockups.

Key words: access to higher education, rehabilitation, convicts, prisons, Georgia.

Introduction

The right to education is one of the most essential rights, the realization of which depends not only on the development of the personal and professional capability of an individual, but on the whole of society. It improves the social competence of people and helps them in communicating with others. Obtaining a full and proper education by a person is connected with getting a decent place in society. The higher the level of education of the society as a whole, the better the welfare of each member of society is; however, it is not sufficient just to guarantee the right to education within local legislation, but to put it into practice and give all members of society, who are seeking, access to it. Simultaneously, citizens must have equal opportunities to obtain the level of education upon their will and abilities (Akbar 1952, 89; Jenks 1946, 40–41).

Rotman signifies that imprisonment itself has a rehabilitative, initially correctional goal. Simultaneously, it assists inmates to boost their self-discovery process and awaken their sense of social responsibility, which, eventually, obliges authorities to take care of the well-being of convicts and minimize the unwilling side effects of incarceration (Rotman 1986, 1025–1029; 1034–1035). If prisoners are not provided with rehabilitation opportunities, the goal to reduce crime, will not be achieved as inmates will not be able to self-support themselves and not re-offend (*Ibid.* 1061). The right to education is considered a rehabilitative tool (*Ibid.* 1057). Several studies have shown the importance of prison education, which increases inmates living conditions in

¹ This article had been created on the basis of the Master Thesis, which was defended within the frames of the English-taught interdisciplinary Regional Master's Programme in Human Rights and Democratization and supervised by Nino Lapiashvili, Director of the Institute for European Studies at Ivane Javakishvili Tbilisi State University/TSU. E-mail: salome.abuladze.97@gmail.com

penitentiaries and diminishes recidivism; however, convicts' educational level is lower than the rest of society (Hetland et al. 2007, 146).

Paragraph 28(1) of European Prison Rules also emphasizes the need for education in prisons, it denotes: "Every prison shall seek to provide all prisoners with access to educational programs which are as comprehensive as possible and which meet their individual needs while taking into account their aspirations." The general comment of this rule highlights the significance to arrange education facilities for young prisoners (CoE 2006, 57).

After release from prison, inmates have to overbear different challenges to successfully reenter society. The main challenge is employment (Nally et al. 2014, 17). They usually undergo difficulty finding a job, as they face stigmatization because of their ex-prisoner status, for certain periods they have the status of a "convicted" person, which, in the case of Georgia, forbids them to work in the public service under this label. Besides public service, the private sector is also not so open to ex-prisoners, which means that they need to find alternative sources of finances, which can lead to committing further crimes (Case and Fasenfest 2004, 25).

Whilst most European countries provide prisoners with access to education, Georgia still faces significant challenges. Although getting a higher education depends on the will and choice of the individual, the Georgian government should take more proactive steps to encourage a dynamic engagement of the inmates in this process; hence, the understanding of this right should shift from its negative connotation into its more positive understanding, where the role of government is substantially increasing in terms of giving the written norms a real life.

Despite the progressive amendments in the Code of Imprisonment of Georgia made in 2017 (Article 1151) – specifically, convicts placed in a pre-release/low-risk/juvenile rehabilitation facilities were entitled to receive education at the first stage of academic higher education (Bachelor's degree), later on, after the changes of 1st November in 2019 Master's degree became attainable as well, noteworthy, they apply to just a defined group of prisoners, under the umbrella of the Constitutional provision Article 27 which guarantees everyone's opportunity to get access to and decide on the form of education.

